

178
1989



ქართული
ლიბრეოთეკა

ISSN 0132-5981

საბჭოთა საპარტიალო



1989

697

178

4

პასუხისმგებელი მდივანი
გელა გერქენიშვილი

სარედაქციო კოლეგია:

- ლევან ალექსიძე
- ანზო არსენაშვილი
(მეცნიერ-რედაქტორი)
- ანუშო გაბიანი
- ფოთა გორგოძე
- აბაკი კარანაძე
- დურმიშხან ლორია
- ვახტანგ რაჭმაძე
- გრიგოლ რომენიშვილი
- თამაზ შავჭულიძე
- ვიქტორ შარაშენიძე
- ირაკლი ჩიქოვანი
- სერგო ჯორჯენაძე

Ответственный секретарь
Бердзенишвили Г. Д.

Редакционная коллегия:

- Алексидзе Л. А.
- Арсанашвили А. Г.
(научный редактор)
- Габiani А. А.
- Горгодзе Ш. В.
- Джорбенадзе С. М.
- Каранадзе А. Г.
- Лория Д. А.
- Размадзе В. А.
- Роинишвили Г. В.
- Чиковани И. П.
- Шавгулидзе Т. Г.
- Шарашенидзе В. А.



საჭმომთა სამკრთაღი

N 4

ივნილი

1989 წელი

შურნალი გამომცემი 1926 წლის 1 მაისიდან

**საქართველოს სსრ იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების,
რესპუბლიკის პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს
მეცნიერულ-პრაქტიკული შურნალი**

შ ი ნ ა ა რ ს ი

სსრ კავშირის სხალსო დეპუტატთა შრილოზა

ა. ერემოვი — საბჭოთა კავშირის ახალი დემოკრატიული ორგანოები	3
<u>შრილოზის ეპო</u>	
ბ. კეკელია — ორი კვირა ტელეეკრანთან	12
ქალაქ თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარ ამბებთან დაკავშირებული გარემოებების გამომძიებელი კომისია	17
დასკვნა 1989 წლის 9 აპრილს კომენდატის საათის შემოღების კანონიერების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქალაქ თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ამბების გარემოებათა გამომკვლვეი კომისიის ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ქვე-კომისიის მიერ გაწეულ სამუშაოთა დასკვნა	19
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1989 წლის 9 აპრილს თბილისში მომხდარ გარემოებათა გამომკვლვეი კომისიის სამედიცინო ქვეკომისიის დასკვნა	24
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქ. თბილისის 1989 წლის 9 აპრილის ამბების გარემოებათა გამომკვლვეი კომისიის საგამომძიებო ქვეკომისიის წინასწარი დასკვნა	26
	25

28 მაისი — საქართველოს დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღე

ი. ფუტყარაძე — საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის სამართლებრივი ასპექტები	46
--	----

დავით აღმაშენებელი — 900

კ. ნადარეშიძე — სახელმწიფო და სამართალი, სოციალური წყობილება და კულტურა დავით აღმაშენებლის ეპოქის საქართველოში	55
--	----

თეორიის საპიტხეზი

გ. ნაჭყებია — დანაშაულის კვალიფიკაციის ორმაგი ბუნების შესახებ	59
---	----

გარდაქმნა და კადრები

ვ. სიმონიშვილი — საჭიროა თუ არა პროფესიული დახასიათება? ინფორმაცია	65 69
--	----------

კრიმინალისტიკის ისტორიიდან

ცნობილი სისხლის სამართლის საქმეები	75
იგავი	80

СОДЕРЖАНИЕ

Съезд народных депутатов СССР

Г. Еремов — новые демократические органы Советского Союза 3

Эхо съезда

М. Кекелия — Две недели у телеэкрана 12

Комиссия по расследованию обстоятельств, имевших место 9 апреля 1989 г. в г. Тбилиси 17

Заключение о законности введения комендантского часа 9 апреля 1989 г. 19

Заключение о проделанной работе химико-токсикологической подкомиссией комиссии Верховного Совета Грузинской ССР по расследованию обстоятельств, имевших место 9 апреля 1989 г. в г. Тбилиси 24

Заключение медицинской подкомиссии комиссии Верховного Совета Грузинской ССР по расследованию обстоятельств, имевших место 9 апреля 1989 г. в г. Тбилиси 26

Предварительное заключение следственной подкомиссии комиссии Верховного Совета Грузинской ССР по расследованию обстоятельств, имевших место 9 апреля 1989 г. в г. Тбилиси 35

26 мая — День восстановления независимости и государственности Грузии

И. Путкарадзе — Правовые аспекты восстановления государственности Грузии 46

Давид Агмашенебели — 900

Г. Надареишвили — Государство и право, социальный строй и культура эпохи Давида Агмашенебели в Грузии 55

Вопросы теории

Г. Начкебия — О двойственной природе квалификации преступления 59

Перестройка и кадры

В. Симоишвили — Нужна ли профессиональная характеристика? 65

Информация 69

Из истории криминалистики

Известные уголовные дела 75

Басня 80



© „საბჭოთა სამართალი“, 1989 წ.

რედაქციის მისამართი. 880110, თბილისი, ღვთისმშობლის ქ. 108, ტ. 95-88-49, 95-58-87

გადაეცა წარმოებას 5.06.89 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 4.07.89 წ., ფორმატი 70×108¹/₁₆, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 7. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5. შეკვ. № 1269 ტირაჟი 40.500 უე 04687

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.



საბჭოთა კავშირის ახალი დემოკრატიული ორგანოები

ზრიგოლ ვარაზი,
პროფესორი.

19103
მიმდინარე წლის 25 მაისს თავიანთ ყრილობაზე შეიკრიბნენ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატები. ყრილობის მუშაობის პერიოდში მთელი პლანეტის მოსახლეობის ყურადღება მიპყრობილი იყო მოსკოვისადმი. ამით დაიწყო საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების კვამარიტად დემოკრატიული ეტაპი, დაიბადა „ახალი საბჭოთა პარლამენტი“, შეიქმნა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ახალი სისტემა, დამკვიდრდა ამ ორგანოთა ორგანიზაციული მუშაობის ახალი ფორმები.

როგორც მ. ს. გორბაჩოვმა განაცხადა, ყრილობის მუშაობა მიმდინარეობდა „ცხოვრების დემოკრატიული განახლების, საზოგადოებაში ღრმა რევოლუციური პროცესების ტალღაზე“.

განხორციელდა საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემის რეფორმის პირველი ეტაპი. იგი შეეხო სსრ კავშირის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს. მეორე ეტაპზე რეფორმა შეეხება მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს, აგრეთვე მხარეებში და ოლქებში, ქალაქებსა და რაიონებში, სადაბო და სასოფლო მასშტაბით ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების ახალი სტრუქტურის შექმნას. ასეთი რეფორმა ჩატარდება 1990 წლის გაზაფხულზე, სწორედ მაშინ, როდესაც ვადა გაუდის ამ ერთეულებში მოქმედი საბჭოების უფლებამოსილებას.

მანამდე ბევრი ახალი კანონი იქნება მიღებული, მრავალი ცხოვრებისეული ცვლილებანიც მოხდება ქვეყნის გარდაქმნის ფონზე, შემუშავდება სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია, შესაბამისი ცვლილებები შევა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებშიც.

დამახასიათებელია, რომ ყრილობაზე გარდა დეპუტატებისა სათათბირო ხმის უფლებით ესწრებოდნენ არა დეპუტატებიც, აგრეთვე საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები. საჯაროობის პრინციპიდან გამომდინარე, ყრილობის მუშაობის მთელი მსვლელობა პირდაპირ გადაიცემოდა როგორც საბჭოთა ისე უცხოეთის ქვეყნების ტელევიზიით და სხვა საინფორმაციო საშუალებებით. ყრილობის მუშაობის სრული სტენოგრაფიული ანგარიში ქვეყნდებოდა გაზეთ „იზვესტია“-ში.

როგორც ვნახეთ, ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ორგანიზაციული მუშაობის ფორმა მისი მუშაობის დასაწყისიდანვე შეიცვალა. მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ ადრე ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს ახალი მოწვევის პირველ სხდომას ხსნიდა უხუცესი დეპუტატი. დღეისათვის სსრ კავშირის კონსტიტუციის 110-ე მუხლით „არჩევნების შემდეგ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის პირველ სხდომას უძღვება სსრ კავშირის სა-

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. ნესპუბ.

ხალხო დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, შემდეგ კი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ან მისი მოადგილე“. სწორედ ამიტომ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობა გახსნა ვ. მ. ორლოვმა.

1988 წ. 1 დეკემბერს სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციაში ცვლილებათა შეტანის შედეგად შეიქმნა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

ყრილობის შემადგენლობას ირჩევს საბჭოთა ხალხი, უმაღლეს საბჭოს ირჩევენ ყრილობაზე სახალხო დეპუტატებისაგან ფარული კენჭისყრით. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი კი შედგება სსრ კავშირის კონსტიტუციის 118-ე მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირთა შემადგენლობით.

სახალხო დეპუტატთა ყრილობის არჩევა მიზნად ისახავს ჩვენს ქვეყანაში სახალხო ხელისუფლების განმტკიცებას. როგორც მ. ს. გორბაჩოვმა სსრ კავშირის XI მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მე-12 სესიაზე აღნიშნა „წარმომადგენლობითი სისტემის უზენაესობა, მისი მთლიანობა და ერთიანობა გაცილებით მტკიცდება ისეთი დიდმნიშვნელოვანი ელემენტის შემოღების წყალობით, როგორც არის სახალხო დეპუტატთა ყრილობები საერთო საკავშირო და რესპუბლიკურ დონეებზე. ეს სიახლე უწინარესად ნაკარნახევია იმ ამოცანით, რომ გამოვრიცხოთ ძალაუფლების ბოროტად გამოყენება სახელმწიფო შენობის ზედა სართულზე“.

* * *

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა, ამის გამო იგი უმაღლესი კანონმდებელი ორგანოცაა. ყრილობა უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს სსრ კავშირის გამგებლობაში შემავალი ნებისმიერი საკითხი, ამავე დროს კონსტიტუციით (108-ე მუხლი) გათვალისწინებულია ისეთი საკითხებიც, რომელთა გადაჭრაც მხოლოდ და მხოლოდ ყრილობას შეუძლია. აქ იგულისხმება ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტა: სსრ კავშირის კონსტიტუციის მიღება, მასში ცვლილებათა შეტანა; გადაწყვეტილებათა მიღება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხებზე, რომლებიც სსრ კავშირის გამგებლობას მიეკუთვნება; სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტიული სახელმწიფო გეგმების დამტკიცება; სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევა; სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისა და მისი პირველი მოადგილის არჩევა; სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დამტკიცება. ასევე სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, სსრ კავშირის გენერალური პროკურორის, სსრ კავშირის მთავარი სახელმწიფო აბიტრის დამტკიცება; სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის არჩევა და ა. შ.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის შემადგენლობაში შედის 2250 დეპუტატი. მათგან 750 დეპუტატი ირჩევა ტერიტორიული საარჩევნო ოლქებისაგან, 750 — ეროვნულ-ტერიტორიული საარჩევნო ოლქებისაგან და 750 დეპუტატი კი საერთო საკავშირო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან. სსრ კავშირის კონსტიტუცია განსაზღვრავს ეროვნულ-ტერიტორიული სა-

არჩევნო ოლქებისათვის წარმომადგენლობით ნორმებს: თითოეული მოკავშირე სს რესპუბლიკისაგან 32 დეპუტატს, ავტონომიური სს რესპუბლიკებისაგან 11 დეპუტატს, ავტონომიური ოლქისაგან 5, ხოლო ავტონომიური ოკრუგისაგან თითო დეპუტატს. ამის მიხედვით სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისათვის მოკავშირე სს რესპუბლიკებს უწევთ (15X32) 480 დეპუტატის არჩევა, ავტონომიური სს რესპუბლიკებისაგან (20X11) 220 დეპუტატისა, ავტონომიური ოლქებისაგან (8X5) 40 დეპუტატის და ავტონომიური ოკრუგისაგან (10X1) 10 დეპუტატისა, სულ მათი ჯამი, როგორც ითქვა, შეადგენს 750 დეპუტატს.

ამის შესაბამისად კონსტიტუციითვე დამტკიცებულია ტერიტორიული საარჩევნო ოლქების იგივე რაოდენობა, რომლებიც უნდა შეიქმნას „ამომრჩეველთა თანაბარი რიცხვით“, მაგრამ როგორ გავიგოთ თუ რა რაოდენობის ამომრჩევლებზე უნდა შეიქმნას თითო ტერიტორიული საარჩევნო ოლქი?

ტერიტორიული საარჩევნო ოლქის შემადგენლობა განისაზღვრება სსრ კავშირის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობით. ეს უკანასკნელი გაიყო ტერიტორიულ საარჩევნო ოლქების რაოდენობაზე, ე. ი. 750-ზე. ამით დადგინდა ამომრჩეველთა ნორმა საარჩევნო ოლქისათვის. ამიტომ, როცა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობის არჩევასთან დაკავშირებით სსრ კავშირის XI მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მე-12 სესიამ მიიღო დადგენილება არჩევნების დღის (1989 წ. 26 მარტის) დანიშვნის შესახებ, იქვე დადგენილების მეორე პუნქტში ჩაწერა, რომ „დადგინდეს ამომრჩეველთა ნორმა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების ერთ ტერიტორიულ საარჩევნო ოლქზე 257,3 ათასი ამომრჩევლის ანგარიშით“.

რაც შეეხება საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან სსრ კავშირის დეპუტატთა ყრილობის შემადგენლობის მესამედის, ე. ი. 750 დეპუტატის არჩევას, იგი, სსრ კავშირის კონსტიტუციის 109-ე მუხლის მიხედვით ხდება „სსრ კავშირის დეპუტატთა არჩევის შესახებ კანონით დადგენილი წესით“ (იხ. მისი მე-18 მუხლი).

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა ქვეყნის სახსრებით ახალი უმაღლესი ორგანოა, რომელსაც „ეკუთვნის მთავარი სიტყვა უაღრესად დიდმნიშვნელოვანი კონსტიტუციური საკითხების გადაწყვეტაში“ (მ. ს. გორბაჩოვი).

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ რუსეთში და სხვა სოციალისტურ რესპუბლიკებში, ხოლო შემდეგ სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციით, არსებობდა ყრილობა, როგორც ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, მაგრამ არა „დეპუტატთა ყრილობა“, არამედ „საბჭოების ყრილობა“. ამ ცნებებში გარკვეული აზრია ჩაქსოვილი. აქ სხვაობაა არჩევის წესში, რწმუნების ვადაში, შემადგენლობის მასობრიობის ფარგლებში და ა. შ.

* * *

ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა სისტემაში სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს შუალედური რგოლი უკავია. უმაღლესი საბჭო ამჟამად არც ერთადერთი საკანონმდებლო და არც მხოლოდ და მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოა. კანონებს უკვე დებულობენ სახალხო დეპუტატთა ყრილობა და უმაღლესი საბჭო. ამავე დროს უმაღლესი საბჭო არ არის მარტო საკანონმდებლო, არამედ არის განმკარგულებელი და საკონტროლო ორგანოც. ფუნქციათა ასე-

თი ცვლილებების შედეგად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო სსრ კავშირის კონსტიტუციის 111-ე მუხლით, გარდაიქმნა „სახელმწიფო ხელისუფლების მუდმივმოქმედ ორგანოდ“.

აქამდე სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს უშუალოდ ხალხი ირჩევდა. ამჟამად ჩვენ ვირჩევთ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატებს, ეს უკანასკნელი კი თავიანთ ყრილობაზე ირჩევენ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ჩვეულებრივად ისევ ორი პალატისაგან შედგება. პალატები თანასწორუფლებიანი არიან, ისინი ირჩევიან თანაბარი რაოდენობრივი შემადგენლობით.

რაგორი წესით ირჩევა ყრილობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო? კონსტიტუციით დადგენილია, რომ ეროვნებათა საბჭო აირჩევა ეროვნულ-ტერიტორიული საარჩევნო ოლქებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან არჩეულ სახალხო დეპუტატთა რიცხვიდან ნორმებით: 11 დეპუტატი თითოეული მოკავშირე სს რესპუბლიკისაგან, 4 დეპუტატი თითოეული ავტონომიური სს რესპუბლიკისაგან, 2 დეპუტატი თითოეული ავტონომიური ოლქისაგან და ერთი დეპუტატი თითოეული ავტონომიური ოკრუგისაგან.

ამის შედეგად ეროვნებათა საბჭოს შემადგენლობაში ირჩევა მოკავშირე სს რესპუბლიკათაგან (15X11) 165 დეპუტატი, ავტონომიური სს რესპუბლიკებიდან (20X4) 80 დეპუტატი, ავტონომიური ოლქებისაგან (8X2) 16 დეპუტატი და ავტონომიური ოკრუგებისაგან (10X1) 10 დეპუტატი. სულ 271 დეპუტატი. აქედან გამომდინარე, კავშირის საბჭოსთვისაც ირჩევა 271 დეპუტატი ტერიტორიული საარჩევნო ოლქებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან მოკავშირე რესპუბლიკებისა და სხვა ეროვნული ერთეულების ამომრჩეველთა რაოდენობის გათვალისწინებით.

ამრიგად, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში ირჩევა 542 დეპუტატი. თითოეული პალატა ირჩევს თავმჯდომარეს და ორ მოადგილეს. ყოველწლიურად ყრილობა ახლებს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს შემადგენლობის მეხუთედს, ახდენს როტაციას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მუშაობის მუდმივი ხასიათი იმაში გამოიხატება, რომ იგი იწვევა ხანგრძლივი ვადით — 3-4 თვით, მოწვევა ხდება ორჯერ: გაზაფხულზე და შემოდგომაზე. სესიები მოიწვევა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ. პალატების ცალკეულ სხდომებს უხელმძღვანელებენ პალატის თავმჯდომარე ან მოადგილე, გაერთიანებულ სხდომებს კი რიგრიგობით უხელმძღვანელებენ კავშირის საბჭოსი და ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეები ან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, მისი პრივილეი მოადგილე, კონსტიტუციით გათვალისწინებულია სესიების რიგგარეშე მოწვევაც.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომპეტენცია განსაზღვრულია სსრ კავშირის კონსტიტუციის 113-ე მუხლით. მასში არ არის მოცემული ის უფლებები, რაც კონსტიტუციით „მხოლოდ და მხოლოდ“ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის კომპეტენციაშია გათვალისწინებული.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომპეტენციაში გათვალისწინებულია: სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების დანიშვნა და ამ მიზნით ცენტრალური საარჩევნო კომისიის დამტკიცება; სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობის დამტკიცება; სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს შექმნა;

სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს არჩევა; სსრ კავშირის გენერალური პროკურორისა და სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრის დანიშვნა, მათი კოლეგიების დამტკიცება; სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების შედგენა; საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიკაცია და დენონსაცია; საზოგადოებრივ ორგანიზაციათა სამართლებრივი სტატუსის საფუძვლების განსაზღვრა და ა. შ.

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს უფლება აქვს გამოსცეს საერთო საკავშირო აქტები ამინსტიის შესახებ, უფლება აქვს გააუქმოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის განკარგულებანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი და განკარგულებანი.

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს უფლება აქვს სესიაზე კანონპროექტის გამოტანამდე მნიშვნელოვანი საკითხები თავისი გადაწყვეტილებით გამოიტანოს საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

წინა კონსტიტუციათა მსგავსად სსრ კავშირის ახლად ჩასწორებული კონსტიტუციაც ითვალისწინებს კანონთა მიღებისას პალატათა შორის უთანხმოების შემთხვევას. აქაც ნავარაუდევია, რომ ასეთ შემთხვევაში ორივე პალატის შემადგენლობიდან პარიტეტულ საწყისებზე შეიქმნება შემთანხმებელი კომისია, რომელსაც დაეკისრება საკითხის გადაწყვეტა. ამის შემდეგ საკითხს განმეორებით განიხილავენ ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე. თუ ვერც ამ შემთხვევაში მიიღწევენ პალატები თანხმობას, მაშინ საკითხს გაიტანენ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის გადასაწყვეტად. ამასთან დაკავშირებით მ. ს. გორბაჩოვი თავის მოხსენებაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მე-12 სესიაზე, ამბობს: „ყრილობა უმაღლესი არბიტრი იქნება უმაღლესი საბჭოს პალატებს შორის უთანხმოების შემთხვევაში — კანონმდებლები მოვალენი არიან გაითვალისწინონ მოვლენათა ასეთი შემობრუნებაც. მათ დამკვიდრებული აქვთ უფლება გააუქმონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტები“.

* * *

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა ირჩევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს და მის პირველ მოადგილეს (მუხ. 91, 108).

სავსებით ახალი მუხლებია შეტანილი სსრ კავშირის კონსტიტუციაში უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ზოგადი დახასიათებისა და მისი კომპეტენციის შესახებ (მუხ. 120, 121). სსრ კავშირის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა სისტემაში წარსულში ასეთი ინსტიტუტი არ არსებობდა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე საკავშირო სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირია, მას, როგორც ითქვა, ირჩევს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა სახალხო დეპუტატთაგან ფარული კენჭისყრით ხუთი წლის ვადით და არა უმეტეს ორი ვადით ზედიზედ.

კონსტიტუციით აქვე გათვალისწინებულია, რომ „იგი შეიძლება ნებისმიერ დროს ფარული კენჭისყრით გაიწვიოს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობამ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე წარმოადგენს საბჭოთა

სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ურთიერთობაში. თავის მოქმედებაზე იგი ანგარიშვალდებულია სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსადმი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ორგანიზაციულ მუშაობას ეწევა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე გასატანი საკითხების მომზადების საქმეში. მისი ხელმოწერით ქვეყნდება კანონები და სხვა აქტები, რასაც ლებულობენ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ყრილობას წარუდგენს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე ასარჩევ კანდიდატურას, აგრეთვე წინადადებებს კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის პერსონალური შემადგენლობის შესახებ; წარუდგენს მოხსენებებს სსრ კავშირის დეპუტატთა ყრილობასა და უმაღლეს საბჭოს ქვეყნის მდგომარეობისა და სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, ქვეყნის თავდაცვაუნარიანობისა და უშიშროების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მეთაურობს სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს. იგი წარადგენს კანდიდატურებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, სსრ კავშირის გენერალური პროკურორის, სსრ კავშირის მთავარი სახელმწიფო არბიტრის თანამდებობებზე დასანიშნავად ან ასარჩევად. ეს წინადადებები წარედგინება ჯერ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს, ხოლო შემდეგ კი ამ თანამდებობის პირთ დასამტკიცებლად წარუდგენს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს უფლება აქვს გამოსცეს განკარგულებები.

კონსტიტუციის 21-ე მუხლის ბოლო ნაწილში ლაპარაკია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და მოადგილეების კომპეტენციაზეც.

* * *

სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა სისტემაში მნიშვნელოვანი რგოლია აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, იგი მუდმივმოქმედი ორგანოა და კონსტიტუციით მნიშვნელოვანი უფლებებითაც არის აღჭურვილი განსაკუთრებით უმაღლესი საბჭოს სესიათა შორის პერიოდში (მუხ. 119).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი უზრუნველყოფს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მუშაობის ორგანიზაციას, თავის მხრივ იგი ანგარიშვალდებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინაშე.

სიახლე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შექმნაში ის არის, რომ ამჟამად იგი აღარ ირჩევა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ, არამედ მისი შემადგენლობა კონსტიტუციის 118-ე მუხლით წინასწარ მთლიანად არის გათვალისწინებული სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთაგან თანამდებობის

მიხედვით. მასში შედიან: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც ამავე დროს სათავეში უდგას უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის 15 მოადგილე — მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების თავმჯდომარეების სახით, კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეები, სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების მუდმივი კომისიებისა და კომიტეტების თავმჯდომარეები.

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს მოუხდება არა პრეზიდიუმის არჩევა, არამედ, ვფიქრობთ, დასახელებულ თანამდებობათა მიხედვით პერსონალების დამტკიცება. აღნიშნულ თანამდებობაზე პიროვნების შეცვლის შემთხვევაში თანამდებობიდან გადაყენებული პირი გამოყვანილი იქნება პრეზიდიუმის შემადგენლობიდან, ხოლო მის მავივრად მოცემულ თანამდებობაზე დანიშნული ახალი პირი კი შეყვანილი იქნება პრეზიდიუმში. ამ ფაქტს ესაჭიროება ცნობად მიღება და სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში მისი დამტკიცება.


სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოშიც და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაშიც შედიან მხოლოდ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატები, ამ გაგებით ორივე ეს ორგანო სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის ორგანულ ნაწილს შეადგენენ.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაც, უმაღლესი საბჭოც და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმიც კოლექტიურ ორგანოებს წარმოადგენენ, კონსტიტუციით გათვალისწინებულია მათ მიერ თავიანთი აქტების დამტკიცების წესი. კერძოდ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი თავის ბრძანებულებებსა და დადგენილებებს იღებს პრეზიდიუმის საერთო შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ორგანიზაციული მუშაობის ძირითადი ფორმაა სხდომა. ყოველდღიურ მუშაობას ატარებს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მთელი აპარატი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კომპეტენცია ამჟამად გათვალისწინებულია სსრ კავშირის კონსტიტუციის 119-ე მუხლში. დღემდე მისი კომპეტენცია უფრო ფართე იყო. ამჟამად, ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ახალი სისტემის შექმნის შედეგად, კომპეტენციის გარკვეული ნაწილი პრეზიდიუმისაგან დაეთმო სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს, ეს მოხდა იმის შედეგად, რომ თვით უმაღლესი საბჭოს მნიშვნელოვანი ფუნქციები დღეისათვის გადაცემული აქვს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს რჩება შემდეგი ძირითადი უფლებანი: იწვევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიებს; ორგანიზაციას უწევს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის სხდომებისა და უმაღლესი საბჭოს სესიების მომზადებას; კოორდინაციას უწევს უმაღლესი საბჭოს პალატების მუდმივი კომისიებისა და კომიტეტების საქმიანობას; უზრუნველყოფს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატებს საჭირო ინფორმაციით და ეხმარება მათ უფლებამოსილების განხორციელებაში; უზრუნველყოფს, რომ მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციები და კანონები შეესაბამებოდნენ სსრ კავშირის კონსტიტუციასა და სსრ კავშირის კანონებს; ორგანიზაციას უწევს საყოველთაო-სახალხო კენჭისყრისა (რეფერენდუმისა) და საყოველთაო-სახალხო განხილვის საჭიროებისამებრ მოწყობას; ანიჭებს სსრ კავშირის მოქალაქეობას



და წყვეტს ისეთ საკითხებს, როგორც არის მოქალაქეობიდან გასვლა, მოქალაქეობის ჩამორთმევა ან თავშეფარების უფლება; ახორციელებს შეწყალებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს გააჩნია უფლებამოსილება ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობიდან გამომდინარე სახელმწიფო უშიშროების ინტერესების დაცვისათვის და სხვ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აქვეყნებს მოკავშირე რესპუბლიკების ენებზე სსრ კავშირის კანონებსა და სხვა აქტებს, რომლებსაც მიიღებენ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო, მისი პალატები, თვით უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

* * *

შეიქმნა სსრ კავშირის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ეს ახალი სისტემა. განსაკუთრებით დიდი პათოსით ჩატარდა სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობა და უმაღლესი საბჭოს სესია. დემოკრატის ფაქტობრივად ჩვენ ახლა ვსწავლობთ, ამ მიმართებით ყრილობის მუშაობა მნიშვნელოვანი აღზრდის სკოლად იქცა სახალხო დეპუტატებისათვის და არა მარტო მათთვის. ყრილობის მაღალ ტრიბუნაზე ჩვენ ვნახეთ დეპუტატები პარტიის წევრნი და უპარტიოები, ახალგაზრდები, ქალები, მრავალი ათეული ერისა და ეროვნების წარმომადგენელი. ისინი ლაპარაკობდნენ ცხოვრებისეულ საკითხებზე, ღიად, აშკარად, ვისაც არ უნდა ენებოდეს იგი. მიუხედავად თანამდებობის პირისა.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობამ თავისი დემოკრატიული თვისებებით მიიზიდა ყოველი საბჭოთა მოქალაქის ყურადღება, საერთოდ „ასეთი ყრილობა ვ. ი. ლენინის შემდეგ არა გვქონია“ — ჩაწერილია გაზ. „პრაგდის“ 1989 წ. 12 ივნისის მოწინავეში. იგი გახდა დემოკრატიის, საქაროობის, კარგანსნილობის სკოლა.

ყრილობა უაღრესად დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკური რეფორმის გზაზე. მართალია, იგი მუდმივმოქმედი ორგანო არ არის. მართალია, მას ჯერჯერობით არსებითი ხასიათის საკანონმდებლო აქტები არ მიუღია და ტარდებოდა ძირითადად მისი საორგანიზაციო ხასიათის სხდომები. მაგრამ ამითაც ყრილობამ ბევრ საგანს თავისი ადგილი მიუჩინა. აქ მოსმენილ იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოხსენება „სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა შესახებ“, ასევე მთავრობის თავმჯდომარის მოხსენება „სსრ კავშირის მთავრობის მომავალი საქმიანობის პროგრამის შესახებ“. ბევრი რამ გაიჩვენა. ბევრი კი ალტერნატიული ხასიათისაც იყო.

ყრილობამ აიჩნია მრავალი კომისია, მათ შორის საკონსტიტუციო კომისია, საბჭოთა კავშირ-გერმანიის 1939 წლის თავდაუხსნელობის ხელშეკრულების პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების კომისია და სხვ. აგრეთვე „ქალაქ თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარ ამბებთან დაკავშირებული გარემოებების გამომძიებელი კომისია“. თუ გავითვალისწინებთ, რომ დიდი ხანია უკვე მანამდე ამ ხაზით მუშაობდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მსგავსი კომისიები, ყრილობაზე ასეთი კომისიის ხელახალი გამოყოფა, ჩემი აზრით, საქმეს აკიანურებს, რაც კარგის მომასწავებელი არ უნდა იყოს. მით უმეტეს, რომ დეპუტატთა გარკ-

ვეული ნაწილი ყრილობაზე ოვაციითაც კი შეხვდა 9 აპრილს დატრიალებული უბედურების ორგანიზატორს — გენერალ პოლკოვნიკ ი. ნ. როდიონოვს.

ამდენი კომისიების მუშაობის პროცესში რატომ არ უნდა გამოორკვეულიყო ის, თუ ვინ გასცა განკარგულება იარაღისა, თუ მომწამვლელი გაზების გამოყენების შესახებ, ალბათ სჯობდა ყრილობას თავისი მუშაობის პროცესშივე მიეღო გადაწყვეტილება ქართველი ერის თვითმყოფადობისათვის ხელმყოფი უკანონო აქციის მიძიმე შედეგებზე, დიდ ტრაგედიაზე და ყველასათვის თავისი მიეგო.

ყრილობაზე ყველა საკითხის შესახებ როდი იყო ერთსულოვნება. იყვნენ სახალხო დეპუტატები, რომელნიც უკიდურესი ხასიათის მოთხოვნებს აყენებდნენ — პარტიის ხელმძღვანელი როლის უარყოფას, სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-6 მუხლის გაუქმებას, მრავალპარტიულობის შემოღებას, რსფსრ-ში უმაღლესი საბჭოს ორპალატიანი სისტემის შექმნას და ა. შ.

ისიც ფაქტია, რომ ჩვენს ქვეყანაში არსებული ეროვნებათაშორისი გამწვავებული ურთიერთობის მოსაწესრიგებელი გზები ყრილობას არ გამოუნახავს. ყრილობის მუშაობის პირდაპირი გადაცემა ტელევიზიით, ცხადია, მისასაღმებელია, მაგრამ, მეორე მხრივ, ორი კვირის განმავლობაში იგი ხელშემშლელიც გახდა, ერთგვარად მოშალა ქვეყანაში შრომის პროცესი. ამავე დროს, ფართო მასებს ვაჩვენებდით, რომ ჩვენ მხოლოდ ახლა ვიწყებთ პარლამენტური დემოკრატიის შესწავლას და, რომ შეიძლება ჩვენ ამისათვის არც კი ვიყავით მზად. ამიტომ იყო, რომ დეპუტატმა ჩინგიზ აიტმატოვმა ყრილობაზე განაცხადა: „ამ სამშენებლო მოედანზე, სადაც ჩვენ ერთად ვაგებთ ახალი დემოკრატიის შენობას, ჭერჭერობით დიდი ზედანორაა, არაორგანიზებულობა, თავშეუკავებლობა“.

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველმა ყრილობამ აირჩია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო, მაგრამ მისთვის სრული სახელწოდება ჯერ კიდევ არ მიუციათ. საინტერესოა, რომელი მოწვევის უმაღლესი საბჭოა იგი? მართალია, არა ხალხმა, არამედ ხალხის მიერ არჩეულმა სახალხო დეპუტატებმა თავიანთ I ყრილობაზე აირჩიეს იგი, მაგრამ საერთოდ ხომ მეთორმეტეჯერ არის იგი არჩეული. ამიტომ მიმაჩნია, რომ მას უნდა ეწოდოს „სსრ კავშირის მეთორმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია“.

წარმატებითი მუშაობა ვუსურვოთ ყრილობის მომავალ სხდომებს და უმაღლესი საბჭოს სესიებს.

ორი კვირა ტელეკრანთან

მიხეილ კაკელია,

პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი

დიდებულად უთქვამს წინაპარს: „სულ ბოლოს იმედი კვდებოა“. ღმერთმა ნურასდროს ჩავვიქროს იმედის ნაპერწკალი. თუ არა იმედი, მაშ რა ძალა ატარებდა საქართველოს მუდამ სიკვდილ-სიცოცხლის სამანით, იმედს თავდადებული ბრძოლითა და შრომით აქცევდა იგი სინამდვილედ.

იმედით გავითვისეთ გარდაქმნის იდეაც და ახლახან დამთავრებული სახალხო დეპუტატთა ყრილობაც, საიდანაც ბევრი მართალი, სამხილი სიტყვა მოვისმინეთ. თუმცა, წინააღმდეგობებიც, უცნაური წინააღმდეგობები და მორჩილებას შეჩვეულთა ღიმილისმომგვრელი გამოსვლებიც არ იყო იშვიათი.

აქვე დავაზუსტებთ: ყრილობის დელეგატთა უმრავლესობისაგან არც მოველოდით სხვა რამეს

მე კი მხოლოდ საქართველოდან წარგზავნილთა შესახებ გეტყვით საკუთარ აზრს. საქმე ის არის, რომ მათი ჰაბიტუსი სამსახოვანია, რომელთაგან პირველებს ეროვნულ ბოროტმოქმედთა დალი აზით, სწორედ მათი ცოდვაა რომ ეგზომ ამძიმებს იქ წარგზავნილ ერთ მუჟა მამულიშვილთა ჰაპანს, მეორენიც სამკვდრო-სასიცოცხლოდ უპირისპირდებიან ყოველგვარ ეროვნულს. იგი მოხელე-ჩინოვნიკთა ისეთი გაერთიანებაა, რომლებიც ყველაფერს კისრულობენ და კვლავაც იკისრებენ მათთვის ბოძებული პრივილეგიური მდგომარეობის საშვილიშვილოდ შესანარჩუნებლად. დროდადრო მესამე ჯგუფის დეპუტატთა სახეებიც შეიცნობა. ისინი თავიანთი ინტელექტით და მიზანსწრაფვით როგორც ცა დედამიწას, ისე არიან დაცილებულნი საკანონმდებლო საქმიანობას.

და ბოლოს ერთი მუჟა პატრიოტებიც, რომლებიც გალიაში დამწყვდეულნი იყვნენ ბორჯავენ. ეროვნული ირონია ამაზე შორს ვერ წავა.

საერთოდ, დარბაზში გაბატონებულ კლიმატზე არას ვიტყვი. ასეთმა საკრებულომ კი უნდა მისცეს 9 აპრილის ტრაგედიას პოლიტიკური და ეროვნული შეფასება. გამოვიჩინოთ ტრადიციულად დამახასიათებელი შემწყნარებლობა და შევუნდოთ მეორე და მესამე ჯგუფისიანებს, ისინი მშვიდად ისხდნენ. პირველებზე კი აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ბედმა კეთილისმყოფელი არჩევანი მაინც არ დაიშურა მათთვის, „სანუკვარი“ ტრიბუნიდან აღიარონ დანაშაული და ამხილონ კულისებში მიფარებული შეფები. ეროვნულ ზნეობაზე რა სათქმელია, მაგრამ როგორც ადამიანებს, სხვაგვარი უფლება არც გააჩნიათ.

ჰოდა, ასეთ ვითარებაში, ასეთ „თანამზრახველთა“ იმედით დარჩენილ ერთ მუჟა პატრიოტებზე, რომელთა ყოველდღიური საქმიანობა მუდამ იმსახურებდა პატივსა და მოკრძალებას, რაღა გვეთქმის სასაყვედურო (ახლაც ზარივით რეკავს თ. გამყრელიძის საბრალდებო გამოსაფხიზლებელი სიტყვა). მაგრამ მაინც არ შეგვიძლია თავი შევიკავოთ მოსაზრებებისაგან დეპუტატთა

მთელი კორპუსის საქმიანობაზე. საკითხი შეეხება ზოგიერთ ორგანიზაციულ თუ პროცესუალური ხასიათის ისეთ ნაკლს, რაც მომავალში აუცილებლად უნდა გამოსწორდეს.

ყრილობის კულისებში ჩაუწვდომელი ტელე ეკრანიდან და პრესიდან მიღებული ინფორმაციით ვბედავ რა მოსაზრებათა გამოთქმას, გამორიცხული არაა აღნიშნულმა ბოდიშიც მომახდევინოს.

მაინც ვბედავ.

აი, რამ მიიქცია ჩემი ყურადღება:

საქართველოდან წარგზავნილ 91 სახალხო დეპუტატს, მიუხედავად მათი სხვადასხვა ეროვნების, სოციალური ფენის, ინტელექტის, პროფესიის და ასაკისა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, აუცილებლად უნდა დაესახათ მოქმედების საერთო გეგმა და შეემუშავებინათ ერთიანი პოზიცია, მიეღწიათ იმისათვის, რომ უბრაოდ მაინც არ დარჩენილიყვნენ ერთმანეთთან. ასე მოქმედების სარგებლიანობა ექვ-მუეტანლად დაადასტურა ბალტიისპირეთის, შუა აზიის, სომხეთის, აზერბაიჯანის და რუსეთის ცალკეული რეგიონების დეპუტატთა საქმიანობამ. ჩვენები კი ოკეანეში ჩაძირულ ქვებად და ზედაპირზე მოტივტივე რამდენიმე ნაფოტად წარმოგვიდგნენ.

და რაკი შიგა ერთობის ხიდი აღმოჩნდა ჩატეხილი, არამარტო მისი აღდგენისათვის უნდა გვეზრუნა იმთავითვე, არამედ ორი ათასზე მეტ კაციან დარბაზშიც უნდა ვცდილიყავით გაგვეჩინა თანამდგომი. ქართველმა დეპუტატებმა, ყველას დასანახად, ვერც ეს შესძლეს, ვერ გააბეს საქმიანი კავშირი რომელიმე რესპუბლიკის დელეგაციასთან.

პირიქით, ვითარებამ შექმნა ისეთი პირობები, რომ ყველას დასანახად სამოკავშიროდ შევეყროდით ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს მაინც, რომლებმაც კაცურად მიიტანეს გულთან ჩვენი ტკივილი. ჩვენ კი მათ მიმართ ბოლომდე ყრუდ გულცივნი აღმოვჩნდით. ასე მოხდა ცალკეულ პირთა მიმართაც.

ღიას, ვალად დაგვრჩა ეროვნული გულმხურვალებით მათთვის თანდგომის გამოცხადება. არადა, რა ადვილად შეგვეძლო, თუ გინდ ერთი გაელვებული რეპლიკით ან განცხადებით მიგვეღზო სამაგიერო შეგობრებისათვის. ასეთი პოლიტიკური თავყრილობის დროს მიზანი ხომ მარტო იმით არ შემოიფარგლება შენ ეძიო თანმდგომი, არამედ იმითაც, რომ სხვებმაც დაინახონ მისთვის სასურველი მოკავშირე. თანამოსაგრეთა ძებნის მიზანშეწონილება ყრილობამაც აღიარა პრაქტიკულად, ჩვენ კი თვითიზოლაციის გზას დავადექით.

ჩვენი აზრით რომელიმე ამხანაგს უნდა დავალებოდა პირველ სიტყვაშივე მთელი სკრუპოზულობით ჩამოეყალიბებინა საქართველოს დეპუტატთა კორპუსის პოლიტიკური, ეროვნული, ეკონომიკური თუ სხვა ხასიათის პოზიცია, განესაზღვრა გენერალური ხაზი, რომლის შემდეგაც ყველა სიტყვა, რეპლიკა, განცხადება თუ კითხვა ამ ხაზის ცალკეულ დეტალად იქცეოდა. ასეთი პროგრამა იმთავითვე მისცემდა დარბაზში მყოფთ ჩვენთან დაახლოების შესაძლებლობას.

როცა ბრალად დაგვდეს თითქოს 9 აპრილის წინა დღეებიდანვე მომიტინგეთა შორის გაისმოდა სხვა ერთა თუ სოციალურ ფენათა მიმართ ფიზიკურად გასწორების მოწოდებაო, ვალდებული ვიყავით საქართველოდან წარგზავნილ რუსთა, სომეხთა, აზერბაიჯანელთა, ოსთა თუ სხვა ერთა შორის ერთი კაცი მაინც გვეპოვნა ისეთი, რომელიც ომახიანად ამხელდა ასეთი განცხადების დე-

მაგოგიურ ხასიათს და მიუთითებდა ქართველი ხალხის მიერ, საკუთარ ტერიტორიაზე, ყველა ეროვნების შემწყნარებლობის ფაქტებზე. თუ ჩვენდა საუბედუროდ და დასაფიქრებლად მართლაც არ აღმოჩნდებოდა ასეთი ვინმე, იგი გაკვეთილად მაინც გამოგვადგებოდა სამომავლო საქმიანობაში.

გასაოცარია, თითზე ჩამოსათვლელ ნამდვილ დეპუტატთა შორის, ისე მაინც რატომ არ განისაზღვრა ვინ რა საკითხზე უნდა გამოსულიყო, სულ ერთია, სიტყვით, განცხადებით, რეპლიკით და ა. შ., რათა ამ გზით მაინც გამართლებულიყო სათქმელი. დავიჯერო რომ აქაც შეუძლებელი იქნებოდა შეთანხმება?

მართო ჩვენთან კი არა, ყრილობაზე საერთოდ იგრძნობოდა ორატორულ ხელოვნებას დაუფლებულთა დეფიციტი. მერედა როგორ ხელეწიფებოდათ ქართველებს იგი ოდითგანვე?! ცნობებს ამის შესახებ ძველთაძველ ცივილიზებულ ხალხთა დამწერლობაშიც ვხედავთ. აი ისინიც: იბერთა მეფე ფარსმან პირველი (I საუკუნე), ორატორი ბაკური (IV საუკ.) სრული სახითაა ჩვენამდე მოღწეული მეფე გუბაზის, აიეტის და ფარტაზის მკვევრ-მეტყველური სიტყვები. ზოგი მათგანი სანიმუშოდ იმდროინდელ სახელმძღვანელოებშიც კი იყო შეტანილი. რაც მთავარია, მსოფლიო სახელი ჰქონდა მოხვეჭილი III საუკუნეში დაარსებულ კოლხეთის რიტორიკულ სკოლას. ქართველი ორატორები თავიანთი მართალი და მგზნებარე სიტყვებით რუსეთის იმპერიას აზანზარებდნენ. ასე მოვედით ქვეყნის გასაბჭოებაამდე. შემდეგ კი, როცა საკანონმდებლო თუ მმართველობის ორგანოებში გამოსულთა სიტყვები გაზეპირებულმა ქება-დიდება და ყალბმა, უაზრო ციფრებმა დაიჭირა, რაც არ მოითხოვდა ორატორულ ნიჭს და ინტელექტს, „პრანჭვა-გერხვა“ შეერქვა სიტყვის ოსტატობას. ასე მოვედით დღემდე. და აი ახლა, თითქოს უეცრად ვიგრძენით მართალი სიტყვის ხალხამდე ეფექტურად მიტანის საჭიროება. ყრილობაზე იგრძნობოდა კიდევ უიმისობა, ორატორული ხელოვნების ცალკეული ნიუანსის ცოდნას და დაცვას სისხლის ფასი დაედო. ასეთ დროს მთელი სიმწვავეით დგას საკითხი იმასთან დაკავშირებით, რა ვთქვათ, როდის ვთქვათ და როგორ, რით შევცვალოთ ვრცელი სიტყვა-განცხადება, რა დროს გავტყორცნოთ რეპლიკა, როგორ ვამხილოდ მოწინააღმდეგე შეკითხვით, რა დროს და რაზე მივანიშნოთ მიმიკით, ყესტით, პაუზით, პროტესტის ნიშნად როდის -და რამდენი ხნით დავტოვოთ ტრიბუნა თუ დარბაზი და ა. შ.

როგორც ჩანს, ორატორული ხელოვნების არსენალში სათქმელის ხალხამდე მიტანის მრავალი იარაღი დევს. სწორედ ასეთი პოზიციიდან ვლაპარაკობთ, რომ ყრილობაზე ვერა და ვერ მოვისმინეთ თავდაცვისა თუ შეტევისათვის გამიზნული ვერცერთი რეპლიკა, განცხადება და კითხვა, ფაქტიურად განიარაღებული აღმოვჩნდით, არადა, რამდენჯერ იყო მისი საჭიროება.

სხვას რომ თავი დავანებოთ ფიქსირებული მაინც დარჩებოდა ჩვენი გულისტკივილი.

მივეუთითებთ ორატორული ხელოვნების მოთხოვნათა დაუცველობის რამდენიმე მაგალითზე: როცა ავად სახსენებელმა გენერალმა, 9 აპრილის დემონსტრაცია დაახასიათა როგორც სხვა ეროვნების ხალხთა და კომუნისტთა მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორებისათვის მომწოდებელი აქცია, თქვა, რომ იგი საფრთხეს უქმნიდა საბჭოთა კავშირის მთლიანობას, რაც იმაში

მდგომარეობდა, რომ მოითხოვდნენ საქართველოს გამოსვლას საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან.

ვინ, რომელი თქვენგანი იძლევა იმის გარანტიას, რომ ხვალაც არ განმეორდება ჩვენში ასეთი მოთხოვნები? გამორიცხული არაა ასეთი მიზნის მისაღწევად მომავალში მამა-პაპური წესით „ქუღზე კაციც კი გამოვიდეს“, მთელი ერი აღდგეს ერთპირ და ერთზრახვად. მაშინ ალბათ მთელი ერი უნდა ამოგვწყვიტონ დღისით, მზისით, მსოფლიოს თვალწინ?! ვითარებისადმი ასეთი ბარბაროსული დამოკიდებულება ნუთუ არ უნდა აღელვებდეს ყველა დეპუტატს, რომელი ერის წარმომადგენელიც არ უნდა იყოს იგი, თუ მართლა სანაღბრო დეპუტატად მიაჩნია მას თავი.

ქართველთაღმი ანტისიმპატიურად განწყობილნი უცბად იშველიებდნენ შეთითხნილ მოსაზრებას და ამტკიცებდნენ აპრილის გამოსვლები ერთმა მუჰა ექსტრემისტმა და არაფორმალემა მოაწყვესო. ეს სიცრუეა, იგი მოაწყო მთელმა საქართველომ, — ახალგაზრდამ და ხანდაზმულმა, მუშამ, გლეხმა და ინტელიგენტმა, საქართველოში მცხოვრებმა ზოგიერთი სხვა ეროვნების პროგრესულმა ძალებმა. იგი ძმობის და თავისუფლების მოთხოვნის დემონსტრირება იყო. ჩიქურ არ გსურთ ირწმუნოთ? კარგი, თუ ასეა მეტი გზა არ დაგვრჩენია, მოვითხოვოთ რეფერენდუმის ჩატარება.

ერთ რამესაც მივაპყრობ თქვენს ყურადღებას. საინტერესოა ვის უფრო უნდა გაეწიოს ანგარიში კანონმდებლობით აღიარებული სუვერენული უფლებების მოპოვებისათვის მებრძოლთა შორის, ვინც ეკეკლუცება ამ მოთხოვნებს და ნახევრად გასაგონი ხმით მოითხოვს მათ, თუ იმათ, ვინც აღშფოთებულნი არიან კონსტიტუციისა და დაპირებების შეუსრულებლობით, მუშტებს იბრახუნებენ მკერდზე „მოგვეციოთ დაკანონებული სუვერენული უფლების განხორციელების შესაძლებლობაო“.

ასეთი განმარტება გენერლის გამოსვლის შემდეგ მაინც ჩააფიქრებდა ბევრ რამეში როგორც ხელისუფალთ, ისე საკითხის შემსწავლელ სათანადო კომისიას და რაც მთავარია, დეპუტატთა უმრავლესობას.

ახლა ყრილობის მიერ რეგლამენტირებული წესით, განცხადების გაკეთებისათვის მოცემული შესაძლებლობის ხელიდან გაშვებასთან დაკავშირებით.

ჩერ კიდევ ადრე და შემდეგ ყრილობის დროსაც, უამრავი კოლექტიური თუ ცალკეულ პირთა კითხვა შევიდა პრეზიდენტში 9 აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებით. ისინი მოითხოვდნენ დაუყოვნებლივ პასუხს თუ ვინ გასცა განკარგულება აღნიშნული სახეობის ჯარებისა და მათ მიერ ხალხის საყლეტად საბრძოლო ბარებისა და ქიმიური მომწამვლელი ნივთიერებების გამოყენებაზე. ვითარების შემსწავლელი კომისია გაარკვევს აღნიშნულსო — ასეთი პასუხი ჩვენ არ გვაკმაყოფილებს. დანაშაული უკვე სახეზეა, ხელისუფლება კი აღიარებს რომ დღემდე არ იცის ვინ გასცა ბრძანება. თუ ასეა, გამორიცხული არაა ხვალაც განმეორდეს ქვეყნის რომელიმე კუთხეში მსგავსი საბედისწერო თვითნებობა.

ჩვენ ვერ დავიჭვრებთ რომ ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლება და სამხედრო უწყება მართლაც არ იყო საქმის კურსში. ამიტომ უთქმელი პასუხი ერთია: ისინი ცდილობენ როგორმე აარიდონ თავი პასუხსაც და პასუხისმგებლობასაც. მიაჩნიათ, რომ „დრო და კომისია მათ სასარგებლოდ იმუშავებს“. განა ძნელი იყო ამის თქმა ყრილობის ტრიბუნლიდან?!

ახლა კითხვებისათვის განკუთვნილი წესის გამოუყენებლობაზე. ტელე-

მაყურებლის წინაშე დაიბადა ერთი სულის შემხუთავი ასეთი კითხვა: წინა-აღმდეგობაა ჭუმბერ პატიაშვილის სიტყვასა და მისი ხელის მოწერით გამოქვეყნებულ დეპეშებს შორის. ჩვენ, მიტინგის მონაწილეებმა ვიცით, რომ ვითარების გაშუქების მიზნით შეითხზნენ დეპეშაში აღნიშნული ფაქტები, დემონსტრანტთა სიმთვრალესა და ნარკოტიკით გაბრუნებულთა მოძალადეობაზე, აღმაშფოთებელი მონაჩმახია. ამიტომაც აუცილებელია განმარტოს პატიაშვალმა თუ რამ გამოიწვია ასეთი შინაარსის დეპეშების გაგზავნა. ეს მით უფროა საჭირო, რომ პასუხი გაეცეს რესპუბლიკის ყოფილი პარტიული ლიდერის პასუხისმგებლობას ერის წინაშე.


გასაოცარია, მაგრამ ფაქტია: ნუთუ ჩვენს დეპუტატებს, უფრო სწორად კანონმდებლებს, ერთხელ მაინც არ აღეძრათ სურვილი, უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოებში თუ გინდ ერთი საკანონმდებლო ნორმის სახით მაინც ჩამოეყალბებებიათ თავიანთი გულის წადილი?! ბოლოს და ბოლოს ეს ხომ მათი უშუალო მოვალეობაა, რომლითაც აკი სარგებლობს კიდევ ბევრი რესპუბლიკა.

გამოვლინდა, რომ ჩვენი დეპუტატები ზომაზე მეტად ენდნენ საკუთარ შესაძლებლობებს და კონსულტანტ-მრჩეველებად თან არ იახლეს პოლიტოლოგები, იურისტები, ისტორიკოსები (ეს მწვავედ ვიგრძენით აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით) და ერთაშორისი ურთიერთობის სპეციალისტები. ამიერიდან მაინც უნდა ვიცოდეთ, რომ რაოდენ კომპეტენტურიც არ უნდა იყოს კაცი, ორის აზრი მაინც სხვაა, მით უფრო ერის სახელით ლაპარაკის დროს. დიახ, მარტო სპორტსმენები არ საჭიროებენ მწვრთნელთა და მრჩეველთ დელეგაციას, დეპუტატებსაც უნდა ახლდეს ტექნიკური პერსონალი, ყველანი ერთად უნდა ცხოვრობდნენ და საქმიანობდნენ.

საერთოდ, ჩვენი შეცდომები ყრილობაზე მარტო იმით კი არაა განპირობებული, რომ ვერ შევძელით უკეთესად გვეკეთებინა საქმე, არამედ იმითაც, რომ სამწუხაროდ ძალიან შევცდით საკუთარი შესაძლებლობის შეფასებაში. არჩევნებში გამარჯვებით თვითკმაყოფილნი არ ვითვალისწინებდით იმას, თუ როგორ შევძლებდით ნდობის გამართლებას კანონმდებლის ტრიბუნლიდან. ამიერიდან ასეთი რამ ალბათ აღარ გვეპატიება.

არ კმარა სადებუტატო კაცის გულწრფელი სურვილი, რომ იგი თავდადებულია ხალხის სამსახურისათვის. პასუხი უნდა გასცემოდა ელემენტარულ კითხვას: გააჩნია კი მას სათანადო ცოდნა, ორატორული ღირსებანი, ინტუიციის უნარი და ა. შ. ემოციების გარეშე უნდა დავუკვირდეთ: ვინ როგორ დებუტატობის კანდიდატს უპირისპირდება, გარდა დიდი სიყვარულისა, ვინ უკეთ ზიდავს ეროვნულ მძიმე ჯვარს.

მინდა შეგობარი დებუტატების ყურადღება ერთ რამესაც მივაქციო: ჯერ მსოფლიოში არ ყოფილა ისეთი საკანონმდებლო ორგანო, სადაც ცალკეულ კანონმდებელს (ფიზიკურ პირს) რეგლამენტით შეზღუდვის გამო არ შეძლებოდა თავისი მოსაზრების გამოთქმა თქვენ კი, დღევანდელ ფორუმზე ასე ხანგრძლივ დროის განმავლობაში პაექრობისას მთელი რესპუბლიკიდან (91 კაციდან) მხოლოდ სამ კაცს მიეცა სიტყვის თქმის უფლება. ეს იმას ნიშნავს, რომ საკრებულოს არსებული რიცხობრივი შემადგენლობა (2250 კაცი) ელემენტარულ პირობებსაც არ ქმნის თითოეული დებუტატის საკანონმდებლო საქმიანობისათვის. აქ ხომ რჩეულთა შორის რჩეულები არიან წარმოდ-



გენილნი. იქნებ ის ერთი 2250-ე კაცი იტყოდა იმას, რაც აზრად არ მოუვიდოდა 2249-ეს და რასაც ასე გულისფანტკალით ელოდა ქვეყანა.

ამდენად, დარბაზის შეფასებისას დეპუტატთა მრავალრიცხოვნება კი არ მეტყველებს დემოკრატიაზე, არამედ ის, თითოეულ მათგანს, როგორც კანონმდებელს, აქვს თუ არა სრული შესაძლებლობა შეუზღუდველად, დროის განუსაზღვრელად იმსჯელოს და იბეჭდოს ქვეყნის საჭიროებოთა საკითხებზე.

დიახ, ცხადად გამოაშკარავდა კარგად მომზადებული ეროვნული პოლიტოლოგების და იურისტების საჭიროება. ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა დაისახოს დონისძიება, რათა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე დაიწყოს საერთაშორისო სამართლის სპეციალისტთა საგულდაგულო მომზადება. ასევე საჭიროა იმ საკითხების კვლევა, რაც საქართველოში ერთაშორისი ურთიერთობისადმი მიძღვნილი.

ალბათ უნდა აუცილებლად შემოვიღოთ „მკერვმეტყველების კურსი“ და ეროვნულის გათვალისწინებით მოხდეს მეტნაკლებად თითქმის ყველა იურიდიული დისციპლინის სწავლება. ასეთი რამ კი სამწუხაროდ საგსებით უგულებელყოფილია დღემდე. დიახ, სუვერენულ რესპუბლიკას ეროვნული პრინციპებით ვაცისკროვნებული სამართალი უნდა ჰქონდეს.

მე ძველი ქართული სამართლის და ეროვნული ზნე-ჩვეულებების მკვლევარი ვარ. ამიტომ მსურს აქვე შეგახსენოთ: ეროვნული სამართალი და ზნეობა იმის უფლებას გვაძლევს, რომ საყოველთაო სიძულვილი გამოვუცხადოთ ყველას, ვინც თავის ერსა და ქვეყანას უღალატებს. ჩემი აუხდენელი ოცნებაა, მოქმედმა სისხლის სამართალმა დანაშაულის ცნებაში აღიაროს დანაშაული მიმართული ერის წინააღმდეგ, ერის მოღალატისათვის სასჯელად აღადგინოს სამშობლოდან მისი გაძევებისა და რისხვის სამანის ჩადგმის წესი.

ჩვენ საკმაოდ გვაქვს პანთეონები, სადაც უღირსები განისვენებენ, მაგრამ არ გაგვაჩნია „რისხვის სამანის“ ჩასადგმელი ადგილი. თუ დაგაინტერესებთ, მიბრძანდით აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში და რამდენსაც გინდათ იმდენს ნახავთ ასეთ ადგილებს.

ქალაქ თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარ ახმავეთან დაკავშირებული გარემოებების გამოძიებელი

კომისია

ასშიაე ხარდო იულოს ძე — გაერთიანება „ესტონეთმსუბუქმრეწვის“ საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროს „მაინორის“ სექტორის გამგე, ქ. ტალინი.

ანდრონატი სერგი ანდრიას ძე — უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. ვ. ბოგატსკის სახელობის ფიზიკა-ქიმიური ინსტიტუტის დირექტორი, ქ. ოდესა.

ბეხტერევა ნატალია პეტრეს ასული — სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

საქ. სსრ კ. მარქსის

ტის დირექტორი, ქ. ლენინგრადი.

ბოროვიკი ჰენრიხ ავიეზერის ძე — საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, ქ. მოსკოვი.

გაზენკო ოლეგ გიორგის ძე — აკადემიკოსი, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამედიცინო-ბიოლოგიური პრობლემების ინსტიტუტის დირექციის მრჩეველი, ქ. მოსკოვი.

გოლიაკოვი ალექსანდრე ივანეს ძე — საბჭოთა კავშირის ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ქ. მოსკოვი.

გოვოროვი ვლადიმერ ლეონიდეს ძე — სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო თავდაცვის უფროსი — მინისტრის მოადგილე, ქ. მოსკოვი.

ვასილიევი ბორის ლევის ძე — კინოდრამატურგი, ქ. მოსკოვი.

იაკოვლევი ალექსანდრე მაქსიმეს ძე — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სექტორის გამგე, ქ. მოსკოვი.

ლიხაჩოვი დიმიტრი სერგის ძე — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის რუსული ლიტერატურის ინსტიტუტის სექტორის გამგე, ქ. ლენინგრადი.

ლუკინი ვლადიმერ პეტრეს ძე — კოლომნის ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის თბომავალსაშენებელი ქარხნის აირმჭრელი, მოსკოვის ოლქი.

მარტიროსიანი ვილენ არუთინის ძე — ჯარის ნაწილის მეთაური, როგონოს ოლქი.

მიროშნიკი ვიქტორ მიხეილის ძე — ყაზახეთის სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე.

ნაზარბაევი ნურსულთან აბიშის ძე — ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

ნეჩაევი კონსტანტინე ვლადიმერის ძე — ვოლოკოლამსკისა და იურიევის მიტროპოლიტი პიტირიმი, ქ. მოსკოვი.

ოჯიევი რიზოალი კადამშის ძე — კოოპერაციული გაერთიანება „ინტერნაციონალისტის“ თავმჯდომარე, ქ. დუშანბე.

საგდევი როალდ ზინურის ძე — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კოსმოსური კვლევის ინსტიტუტის ანალიზური კვლევის სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის ხელმძღვანელი, ქ. მოსკოვი.

სოზრაკი ანატოლი ალექსანდრეს ძე — ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კათედრის გამგე.

სტანკევიჩი სერგი ბორისის ძე — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ქ. მოსკოვი.

ტოლპეჟნიკოვი ვილენ თევდორეს ძე — რიგის ნ. ბურდენკოს სახელობის სასწრაფო სამედიცინო დახმარების პირველი საქალაქო კლინიკური საავადმყოფოს კაბინეტის გამგე.

ტომკუსი ვიტას პიატრის ძე — ჟურნალისტი, ქ. ვილნიუსი.

ფედოტოვა ვალენტინა ივანეს ასული — ჟურნალ „სოვეტსკაია ქენჭინას“ მთავარი რედაქტორი, ქ. მოსკოვი.

შენგელაია ელდარ ნიკოლოზის ძე — საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარე, ქ. თბილისი.

შეტკო პავლე ვადიმის ძე — ბელორუსიის ალკკ მინსკის საოლქო კომიტეტის პრობაგანდის განყოფილების ლექტორი.

დასკვნა

1989 წლის 9 აპრილს თბილისში კომუნდანტის საათის შემოღების
კანონიერების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქალაქ თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ამბების გარემოებათა გამომკვლევითი კომისიის ქვეკომისიებმა დაამთავრეს ზოგიერთი საკითხის გამოკვლევა. ვიწყებთ მათი დასკვნების გამოკვეყნებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში არსებული დოკუმენტების შესწავლის, პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მუშაკებისაგან მიღებული ახსნა-განმარტების, აგრეთვე 9 აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებით პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით გავრცელებული ცნობების ანალიზის საფუძველზე თბილისში კომუნდანტის საათის შემოღების საკითხთან დაკავშირებით გამოირკვა შემდეგი გარემოებანი.

1989 წლის 9 აპრილს გამთენიისას თბილისში მთავრობის სახლის წინ მოედანზე მრავალათასიანი უსანქციო მიტინგის დარბევის შემდეგ დედაქალაქში შექმნილი რთული, დაძაბული ვითარების ნორმალიზაციის მოტივით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ 9 აპრილს საჭიროდ მიიჩნია ქალაქში კომუნდანტის საათის შემოღება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოამზადა კომუნდანტის საათის შემოღების შესახებ ბრძანებულების პროექტი, რომელიც მოიწონა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ბიურომ და თავისი 1989 წლის 9 აპრილის დადგენილებით ბრძანებულების პროექტი განსახილველად გადასცა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

იმავე დღეს 19 საათზე მოიწვიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ პრეზიდიუმის თავმჯდომარე თ. ე. ჩერქეზია, თავმჯდომარის მოადგილე თ. შ. კაბულოვა, პრეზიდიუმის მდივანი ვ. ა. კვარაცხელია და პრეზიდიუმის წევრები ი. თ. ანდრიაძე, ვ. ბ. ბლაჟიევსკი, ზ. ა. კვაჭაძე, ვ. ა. კოჩოიანი, ჯ. ვ. მარგველიძე, კ. ს. მამედოვი, მ. ა. მეზვრიშვილი, რ. ნ. ჩიხლაძე. პრეზიდიუმის საერთო შემადგენლობაში მყოფი 19 პირიდან სხდომას დაესწრო — 11 (ოქმი № 37).

პრეზიდიუმის მდივნის ანხ. ვ. ა. კვარაცხელიას ჩანაწერიდან ირკვევა, რომ სხდომაზე ინფორმაციით არსებული ვითარების შესახებ გამოვიდა თ. ე. ჩერქეზია. მან აღნიშნა, რომ „ამჟამად ქალაქში რთული, დაძაბული ვითარებაა. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს საჭიროდ მიიჩნია შექმნილი ვითარების გათვალისწინებით ქალაქში კომუნდანტის საათის შემოღება. ამიტომ საკითხი შემოგვაქვს თქვენს განსახილველად“. აზრი გამოთქვეს ზ. კვაჭაძემ, ჯ. მარგველიძემ, მ. მეზვრიშვილმა, ვ. კვარაცხელიამ, რ. ჩიხლაძემ, ი. ანდრიაძემ, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ქალაქში კომუნდანტის საათის შემოღებას. ამ წინადადების წინააღმდეგ არავის გამოუთქვამს მოსაზრება.

ამრიგად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1989 წლის 9 აპრილის 19 საათზე ერთხმად მიიღო ბრძანებულება ქ. თბილისში კომუნდანტის საათის შემოღების შესახებ. ბრძანებულებაში ვკითხულობთ „შექმნი-

ლი ვითარების გათვალისწინებით შემოღებულ იქნეს ქალაქ თბილისში საკომენდანტო საათი 1989 წლის 9 აპრილიდან“.

იმავე დღეს საინფორმაციო პროგრამა „ვრემიამ“ ცენტრალური ტელევიზიით გადმოსცა ცნობა 9 აპრილს დილით თბილისში მომხდარი ამბების შესახებ, რომლებშიც ნათქვამი იყო, რომ რესპუბლიკის დედაქალაქში შემოღებულია კომენდანტის საათი. საინფორმაციო პროგრამა „ვრემიას“ დამთავრების შემდეგ 22 საათსა და 52 წუთზე საქართველოს ტელევიზიით გამოვიდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ი. ნ. როდიონოვი. მან განაცხადა, რომ იგი დანიშნულია ქალაქ თბილისის სამხედრო კომენდანტად და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილების შესაბამისად ქალაქ თბილისში 9 აპრილის 23 საათიდან წესდება კომენდანტის საათი (23 საათიდან დილის 6 საათამდე). ი. ნ. როდიონოვმა თავისი გამოსვლა დაამთავრა 22 საათსა და 56 წუთზე, ე. ი. 4 წუთით ადრე, ვიდრე კომენდანტის საათი ძალაში შევიდოდა.

1989 წლის 10 აპრილს საკედსმა საკავშირო პრესის საშუალებით გაავრცელა ინფორმაცია თბილისში მდგომარეობის შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ რესპუბლიკური ორგანოების გადაწყვეტილებით ქალაქში შემოღებულია კომენდანტის საათი (იხ. გაზ. „იზვესტია“ 1989 წ. 10 აპრილი).

1989 წლის 11 აპრილს რესპუბლიკურ გაზეთებში გამოქვეყნდა ი. ნ. როდიონოვის მიმართვა ქალაქ თბილისის მოსახლეობისა და მშრომელებისადმი, რომელიც 9 აპრილს მის სატელევიზიო გამოსვლას იმეორებდა.

1989 წლის 16 აპრილს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით (ტელევიზიით, რადიოთი) გადაიკა სამხედრო კომენდანტის ცნობა, სადაც აღნიშნულია: „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს რეკომენდაციით მიღებულია გადაწყვეტილება შემცირდეს კომენდანტის საათის ხანგრძლივობა. 16 აპრილიდან კომენდანტის საათი იმოქმედებს 24 საათიდან დილის 5 საათამდე“. რესპუბლიკურმა პრესამ ეს ცნობა გამოაქვეყნა 17 აპრილს (იხ. გაზ. „კომუნისტი“ 1989 წლის 17 აპრილი).

1989 წლის 17 აპრილს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ გამოიტანა დასკვნა, რომ 1989 წლის 18 აპრილიდან ქალაქში შეიქმნა კომენდანტის საათის სრული გაუქმების პირობები და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს რეკომენდაცია მისცა მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

იმავე დღეს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია, თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა, მდივანი ვ. კვარაცხელია და პრეზიდიუმის წევრები ი. ანდრიაძე, ბ. ვაშაქიძე, ვ. ბლაჟიევსკი, ზ. კვაჭაძე, ვ. კოჩოიანი, კ. მამედოვი, მ. მეზერიშვილი, ო. პატიაშვილი, რ. ჩიხლაძე (ოქმი № 38). რაიმე ჩანაწერი პრეზიდიუმის სხდომის მიმდინარეობის შესახებ არ არსებობს. პრეზიდიუმმა მიიღო შემდეგი შინაარსის ბრძანებულება: „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 9 აპრილის ბრძანებულებით ქალაქ თბილისში შემოღებული საკომენდანტო საათი გაუქმდეს 1989 წლის 18 აპრილის 5 საათიდან“.

აღნიშნული ბრძანებულების ტექსტი იმავე დღეს გადაიკა ტელევიზიითა და რადიოთი, პრესაში გამოქვეყნდა 18 აპრილს (იხ. გაზ. „თბილისი“ 1989 წ. 18 აპრილი).

ასეთია მიმდინარე წლის აპრილში თბილისში კომენდანტის საათის შემოღებისა და გაუქმების ფაქტობრივი გარემოებანი.

მათი იურიდიული შეფასებისათვის და იმის დასადგენად, თუ რამდენად კანონიერი იყო თბილისში კომენდანტის საათის შემოღება, საჭიროა გავითვალისწინოთ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მოქმედი კანონმდებლობის ის დებულებები, რომლებიც განკუთვნილია ასეთი შემთხვევებისათვის.

კომენდანტის საათი განსაკუთრებული ღონისძიებაა, რომელიც ითვალისწინებს მოქალაქეთა და ორგანიზაციათა ცხოვრებისა და საქმიანობის სპეციალურ წესებს, მთელ ქვეყანაში ან მის ცალკეულ ადგილებში სამხედრო წესების გამოცხადების დროს.

„სამხედრო წესების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 22 ივნისის ბრძანებულების თანახმად, სამხედრო წესების გამოცხადება ხდება სსრ კავშირის თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფისა და სახელმწიფო უშიშროების ინტერესებისათვის. სამხედრო წესების გამოცხადების შემთხვევაში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა ყველა ფუნქცია თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო უშიშროების სფეროში გადადის შესაბამისი ტერიტორიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს ხელში.

ზემო აღნიშნული ნორმატიული აქტის მესამე პუნქტში დეტალურად არის მოცემული ის წესები, რომლებსაც კომენდანტის საათის ცნების შინაარსი მოიცავს. სახელდობრ, დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობის დროის განსაზღვრა, ქუჩაში მოძრაობის, მოქალაქეთა მიმოსვლის აკრძალვა განსაზღვრული დროის შემდეგ, აუცილებლობის შემთხვევაში ჩხრეკა და მოქალაქეთა დაკავება, სამხედრო წესების ტერიტორიაზე შესვლისა და გასვლის შეზღუდვა და ა. შ.

მაშასადამე, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, კომენდანტის საათის შემოღება უნდა მოხდეს მას შემდეგ, როცა გამოცხადებული იქნება სამხედრო წესები.

ვინაიდან სამხედრო წესები გულისხმობს განსაკუთრებულ სამართლებრივ რეჟიმს, რომელიც მნიშვნელოვნად ზღუდავს მთელი რიგი კონსტიტუციური ნორმების მოქმედებას, მისი გამოცხადების უფლებამოსილება 1977 წლის სსრ კავშირის კონსტიტუციით (მასში შარშანდელ პირველ დეკემბერს შეტანილ ცვლილებამდე) ეკუთვნოდა მხოლოდ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს (121-ე მუხლის მე-15 პუნქტი). მოკავშირე რესპუბლიკების, მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრიობის მოთხოვნით სსრ კავშირის კონსტიტუციაში 1988 წლის 1 დეკემბრის კანონით შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების შემდეგ სამხედრო ან საგანგებო წესების გამოცხადების უფლება, მართალია, კვლავ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის უფლებამოსილებაში დარჩა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ამ საკითხს აუცილებლად განიხილავს შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან ერთად (119-ე მუხლის მე-14 პუნქტი). მაშასადამე, მოკავშირე რესპუბლიკას სამხედრო ან საგანგებო წესების დამოუკიდებლად გამოცხადების და შესაბამისად კომენდანტის საათის შემოღების უფლება არა აქვს. მას შეუძლია მხოლოდ გა-

მოქვეას თავისი წინადადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ ამ საკითხის გადაწყვეტისას.

1989 წლის აპრილში ქ. თბილისში კომენდანტის საათის შემოღებასთან დაკავშირებით არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და ამ საკითხის შესახებ არსებული კანონმდებლობის ანალიზი საფუძველს გვაძლევს გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 9 აპრილის ბრძანებულება ქ. თბილისში კომენდანტის საათის შემოღების შესახებ ანტიკონსტიტუციური აქტია, რადგან რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს არც სსრ კავშირის და არც საქართველოს სსრ კონსტიტუციებით ასეთი უფლებამოსილება არ გაჩანია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თანამდებობის პირებმა გადაამეტეს ხელისუფლებას, მიიღეს ისეთი სამართლებრივი აქტი, რომელიც აშკარად სცილდება მათთვის კანონით მინიჭებულ უფლებათა ფარგლებს.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პასუხისმგებელმა მუშაკებმა არაფერი იღონეს კომენდანტის საათის შემოღების თაობაზე. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დაუყოვნებლივ გამოქვეყნებისათვის, რითაც უხეზდ დაარღვიეს „საქართველოს სსრ კანონების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა აქტების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა და დადგენილებების გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 4 მარტის ბრძანებულების მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აქტები, რომლებიც ფართო და დაუყოვნებლივ გამოყენებას მოითხოვს, იბეჭდება რესპუბლიკურ გაზეთებში „კომუნისტში“, „ზარია ვოსტოკაში“, აგრეთვე შეიძლება გამოქვეყნდეს ტელევიზიითა და რადიოთი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თანამდებობის პირთა დაუდევრობის გამო თბილისის მოსახლეობა კომენდანტის საათის ძალაში შესვლამდე არ იყო ინფორმირებული ქალაქში ასეთი ღონისძიების შემოღების შესახებ. უფრო მეტიც, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ზემოაღნიშნული ბრძანებულების ტექსტი პრეზიდიუმის სახელით რესპუბლიკურ გაზეთებში არ გამოქვეყნებულა და ტელევიზიითა და რადიოთი არ გადაუციათ.

ამ გარემოებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 9 აპრილის ბრძანებულებაში კომენდანტის საათის შემოღების შესახებ არ იყო განსაზღვრული ბრძანებულებით გათვალისწინებული ღონისძიების ძალაში შესვლის საათი.

3. იმის გამო, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 9 აპრილის ბრძანებულება თბილისში კომენდანტის საათის შემოღების შესახებ სცილდება მისი კომპეტენციის ფარგლებს და ამდენად ანტიკონსტიტუციური აქტია, ხოლო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს არ გამოუცხადებია ქ. თბილისში სამხედრო ან საგანგებო წესები (ან თუნდაც კომენდანტის საათი), სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სათანადო სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნდა და შესაბამისად არც უფ-

ლება ჰქონდა ქ. თბილისის კომენდანტად დაენიშნა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი ი. ნ. როდიონოვი, ხოლო ამ უკანასკნელს განეხორციელებინა კომენდანტის საათით გათვალისწინებული საგანგებო ღონისძიებანი.

4. გენერალ-პოლკოვნიკმა ი. ნ. როდიონოვმა ჯეროვნად არ შეასრულა თავისი სამსახურებრივი მოვალეობა და კომენდანტის საათის შემოღება თბილისის მოსახლეობას აუწყა ამ ღონისძიების ძალაში შესვლამდე 4 წუთით ადრე, რის გამოც, მრავალი თბილისელი, აგრეთვე სხვა ადგილებიდან თბილისში ჩამოსული მოქალაქეები, რომლებმაც ვერ შეიტყვეს კომენდანტის საათის შემოღება, უნებლიედ გადაიქცნენ სამართალდამრღვევებად.


5. რამდენადაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს თანამდებობის პირების, აგრეთვე პირადად გენერალ-პოლკოვნიკ ი. ნ. როდიონოვის კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებს მოჰყვა განსაკუთრებით მძიმე შედეგები (კომენდანტის საათის ძალაში შესვლისთანავე სამხედრო მოსამსახურეთა მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შედეგად რამდენიმე მოქალაქის დაჭრისა და გარდაცვალების შემთხვევები და სხვა), საქართველოს სსრ პროკურატურამ და სსრ კავშირის სამხედრო პროკურატურამ კანონის შესაბამისად უნდა განიხილონ და გადაწყვიტონ ზემოაღნიშნულ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხი.

6. რესპუბლიკის პარტიულმა ხელმძღვანელობამ უხეშად დაარღვია სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციების მე-6 მუხლის, სკკპ წესდების მე-60 მუხლის სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებისა და სკკპ XIX კონფერენციის რეზოლუციის მოთხოვნები პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ფუნქციათა გამიჯვნის შესახებ.

ის გარემოება, რომ კომენდანტის საათის შემოღების, შემცირებისა და გაუქმების შესახებ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს გადაწყვეტილებებს ყველა შემთხვევაში წინ უსწრებდა ამავე საკითხებზე პარტიული ორგანოს გადაწყვეტილებანი და რეკომენდაციები, ადასტურებს, რომ ჩვენს ქვეყანაში სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირება ჯერ კიდევ ჩანასახის მდგომარეობაშია.

პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ფუნქციების ზუსტი გამიჯვნისათვის საჭიროდ მიგვაჩნია მიღებულ იქნეს ნორმატიული აქტი, რომელშიც განსაზღვრული იქნება სსრ კავშირში პოლიტიკური პარტიის (თუ პარტიების) სამართლებრივი სტატუსი, მისი კომპეტენციის ფარგლები და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთმოქმედების ფორმები.

7. მიუტევებელი ხარვეზებია სსრ კავშირის კანონმდებლობაში, რომელიც საგანგებო წესებს ეხება. სამხედრო წესების შესახებ მოქმედი ნორმატიული აქტი თითქმის ნახევარი საუკუნის წინათაა მიღებული და, ცხადია, შესაბამისი ეპოქის სულისკვეთებას გამოხატავს. სსრ კავშირის კონსტიტუციის 119-ე მუხლით სულ ახლახანს შემოღებული ინსტიტუტების „საგანგებო წესებისა“ და „მართვის განსაკუთრებული ფორმების“ შინაარსი ჯერჯერობით არცერთი ნორმატიული აქტით არ არის განსაზღვრული; ასევე ბურჟუსითაა მოცული ბოლო დროს პრაქტიკაში დანერგილი საგანგებო ღონისძიების—კომენდანტის საათის გამოცხადების პროცედურა. პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია, რომ სსრ



კავშირის 20-იანი წლების კანონმდებლობა ამ მხრივ უფრო სრულყოფილად გამოიყურება.

ცივილიზებულ სამართლებრივ სახელმწიფოში კანონიერების რეჟიმი უნდა მოქმედებდეს როგორც ნორმალურ, ისე განსაკუთრებულ პირობებში. ამისათვის აუცილებელია რაც შეიძლება მალე შეიქმნას საგანგებო კანონმდებლობა.

ჯონი ხეცურანი,

საგამოძიებო ქვეკომისიის თავმჯდომარის მოადგილე,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

დასკვნა განიხილა და დააბტკიცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქალაქ თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი აშხაგის გარემოებათა გამოკვლევა კომისიამ (1989 წლის 17 მაისი, ოქმი № 8).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქალაქ თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი აშხაგის გარემოებათა გამოკვლევა კომისიის ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ძვეკომისიის მიერ გაწეული სამუშაოთა

დასკვნა

ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ქვეკომისია, რომელიც (დაკომპლექტებულია რესპუბლიკის ცნობილი ტოქსიკოლოგებითა და ფარმაცოლოგებით, 1989 წლის 15 აპრილს შეუდგა იმ ქიმიური მომწამვლელი ნივთიერებების იდენტიფიკაციას, რომლებიც ჯარის ნაწილებმა გამოიყენეს ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მთავრობის სახლის წინ უსანქციო მშვიდობიანი მიტინგის დარბევისას. ამ ნივთიერებათა კვალი აღმოჩენილი იყო დაზარალებულთა ტანსაცმელზე, აგრეთვე ქალაქის სხვადასხვა ადგილას აღებულ გრუნტის სინჯებში და ჯარის ნაწილების მოქმედებისა და დისლოკაციის რაიონებში ნაპოვნ ნივთმტკიცებებში. ამას გარდა, გამოვიკვლიეთ სამხედრო უწყებების ხელმძღვანელობის მიერ კომისიისათვის გადაცემული ქიმიურ საშუალებათა ნიმუშები, რომლებიც თითქოს გამოიყენეს დემონსტრანტთა დარბევისას.

დადგინდა, რომ სამხედრო ნაწილებმა გამოიყენეს მრავალ სახეობის „ჩერიომუხა“, რომლის შემადგენლობაში ძირითადად შედის ცრემლდენი მომწამლავი ნივთიერება — ხლორაცეტოფენონი (ქაფი). აგრეთვე გამოყენებული იყო მეორე ძლიერი გამალაზიანებელი ნივთიერება „სი-ფხ-ი“. მას დიდი რაოდენობით იყენებდა ამერიკის შეერთებული შტატები ვიეტნამში.

„სი-ეს-ის“ მოქმედება ორგანიზმზე იმდენად სერიოზულ გართულებებს იწვევს, რომ აშშ იძულებული გახდა მოეხსნა იგი შეიარაღებიდან.

აღშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ საბჭოთა სამხედრო ნაწილებმა „სი-ეს-ი“ სწორედ თავიანთი ხალხის წინააღმდეგ გამოიყენეს.

9 აპრილს დაღუპულთა და დაზარალებულთა სამედიცინო გამოკვლევები არაფრით არ ეტევა მხოლოდ მოცემულ მომწამვლავ ნივთიერებათა ფარგლებში. ავადმყოფებს შეენიშნებათ ფსიქიკური მოშლილობა და ცენტრალური

ნერვული სისტემის დაზიანება სიკვდილის შედეგით. ამიტომ უყოყმანოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გამოყენებული იყო უფრო ძლიერმოქმედი მომწამვლელი ნივთიერებანი, რომლებიც გარდაუვლად აბლოკირებენ ცენტრალური ნერვული სისტემის სპეციფიკურ რეცეპტორებს.

ნიმუშების ქიმიურმა გამოკვლევამ დაადასტურა გამოყენებულ ნივთიერებათა ჰეტეროგენულობა, ანუ ის, რომ ისინი შეიცავდნენ გარკვეული რაოდენობის მინარევებს, რომლებიც რეაქციას ახდენენ, კერძოდ, მესამეულ ამინებზე. როგორც ცნობილია, წარმოებული ამინები ნეიროდამორფუნიკულ აგენტებს წარმოადგენენ. გამოყენებულ ნივთიერებათა ზუსტი იდენტიფიკაცია და მათი შემადგენლობის დადგენა საჭირო ინფორმაციის უქონლობის გამო, სამწუხაროდ, საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდს მოითხოვს.

თუმცა შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საშუალო კონცენტრაციის პირობებში ეს ნივთიერებები იწვევენ ხანგრძლივ ნერვულ მოშლილობას, ხოლო მაღალი კონცენტრაციისას — სიკვდილს.

მცირე კონცენტრაციის დროს სიკვდილის შემთხვევები არ არის, მაგრამ მათ მოქმედებას საკმაო ხანგრძლივობა ახასიათებს. სწორედ ამ გარემოებებით იყო გამოწვეული მთავრობის სახლთან და ქალაქის სხვა ადგილებში სამგლოვიარო ცერემონიის მონაწილეთა მოწამვლის მეორე ტალღა.

სიტუაციას აუარესებს ისიც, რომ სამხედრო ნაწილებმა კომენდანტის საათის მოხსნის შემდეგ დისლოკაციის ადგილებში დატოვეს კაფსულები და მომწამვლელი ნივთიერებები, რომლებიც განაგრძობდნენ მომწამლავ ზემოქმედებას. გამოუყენებელი ამპულები და პილზები დარჩა ქალაქის სხვა ადგილებშიც.

გარდა ამისა, უნდა ითქვას, რომ სამხედრო ნაწილებმა ვაცილებით მეტი მომწამვლელი ნივთიერება გამოიყენეს, ვიდრე პრესა იტყობინებოდა, რადგან სინამდვილეში 9 აპრილს მოიწამლა ქ. თბილისის ვრცელი ტერიტორია, რუსთაველის პროსპექტთან ახლომდებარე დაწესებულებები (თეატრალური ინსტიტუტი, № 1 სკოლა, კონსერვატორია და ა. შ.)

დღეისათვის 4000-მდე კაცმა მიმართა სამედიცინო დაწესებულებებს დახმარებისათვის. მათი ბედი და ჯანმრთელობა მძიმდება იმიტაც, რომ სამხედრო სპეციალისტები აქამდე არ გვატყობინებენ, თუ აღნიშნულის გარდა კიდევ რომელი მომწამვლელი ნივთიერებები გამოიყენეს. ამიტომაც დროულად ვერ დაიწყო შესაბამისი ანტიდოტებით მათი მკურნალობა, ხოლო, როგორც ცნობილია, გარკვეული პერიოდის შემდეგ მათ გამოყენებას აზრი აღარ აქვს.

სიტუაციას ართულებს ისიც, რომ არ ვიცით რა გენეტიკურ შედეგებს მოგვითანს გამოყენებული ნივთიერებები.

ამრიგად, ჯარების მიერ რესპუბლიკის მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ განხორციელებული იყო ყოვლად გაუმართლებელი ბარბაროსული აქცია ქიმიური მომწამვლელი ნივთიერებების გამოყენებით, რომელთა გამოყენების არც მორალური და არც იურიდიული უფლება მათ არ ჰქონდათ.

ვალსაზ ზაალიშვილი,

ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ქვეკომისიის თავმჯდომარე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1989 წლის 9 აპრილს
 თბილისში მომხდარ გარემოებათა გამოკვლევითი კომისიის
 სამედიცინო კვამისიის

დასკვნა

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის 1989 წლის 10 აპრილის ბრძანებით შეიქმნა საზოგადოებრივი საექსპერტო კომისია, რომელშიც შევიდნენ სხვადასხვა პროფილის თვალსაჩინო მედიკოსი სპეციალისტები, აგრეთვე საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. კომისია მუშაობდა 9 აპრილის ტრაგიკულ ამბებთან დაკავშირებულ ყველა სამედიცინო საკითხზე: პათოლოგიურ-ანატომიური გამოკვლევები; იმ პირთა გამოკვლევა, რომლებმაც მიიღეს ტრავმატული, ტოქსიკური და ცეცხლსასროლი იარაღით დაზარალება; სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობის ორგანიზაცია; მონაწილეობა კონსილიუმებსა და მკურნალობის მეთოდების განსაზღვრაში; ტოქსიკოლოგიური გამოკვლევები და სხვა.

შემდგომში აღნიშნული კომისია, რომელშიც, მხოლოდ მედიკოსი სპეციალისტები შედიოდნენ, დამტკიცდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისიის სამედიცინო ქვეკომისიად. ქვეკომისიის წევრები არიან: პროფესორი ნევროლოგი ვ. გაბაშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პათოლოგ-ანატომი თ. დეკანოსიძე, პროფესორი ქირურგი ზ. კახიანი, ნარკოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გ. ლეჟავა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, პათოლოგ-ანატომი ტ. ლომია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ფსიქიატრი ბ. ნანეიშვილი, პროფესორი ნეიროქირურგი თ. სიგუა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ტრავმატოლოგი თ. ლუღუშაური, ქირურგი რ. ხონელიძე, პროფესორი ჰემატოლოგი გ. ხუციშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მორფოლოგი გ. ჯავახიშვილი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ფსიქიატრი შ. გამყრელიძე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ფსიქიატრი ა. მამარდაშვილი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ნევროლოგი რ. შაქარაშვილი, პროფესორი თერაპეტი ბ. ნიშნიანიძე, დოცენტი ტოქსიკოლოგი თ. ქორიძე, პროფესორი პათოფიზიოლოგი გ. ლუმბაძე.

უნდა აღინიშნოს, რომ 9 აპრილის ტრაგიკული ამბების სამედიცინო ასპექტების შესწავლაში, განსაკუთრებით იმ პირთა გამოკვლევაში, რომლებმაც ტოქსიკური დაზარალება მიიღეს, მონაწილეობდნენ: სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი ტოქსიკოლოგი, პროფესორი ე. ა. ლუჟინიკოვი, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შრომის ჰიგიენისა და პროფპათოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კლინიკური განყოფილების გამგე, პროფესორი ი. ი. მუსიხიუკი, საბჭოთა კავშირის მწვავე მოწამვლათა მკურნალობის ცენტრის (მოსკოვი) უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი მ. მ. ფოცხვერია, ფსიქიკურ დაავადებათა თერაპიის საკავშირო ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი გ. ი. ავრუკი, მოსკოვის პირველი სამედიცინო ინსტიტუტის საკავშირო ნეფროლოგიური ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ლ. ვ. კოზლოვსკაია, სსრ კავშირის მედიცინის მეცნი-

რებათა აკადემიის ნევროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი დ. ნ. ჯიბლაძე, მოსკოვის პირველი სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კათედრის დოცენტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ა. ვ. ნედოსტუპი, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ცენტრალური გაერთიანებული ლაბორატორიის კლინიკური ტოქსიკოლოგიის კათედრის ასისტენტი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ი. ნ. ოსტაპენკო, საბჭოთა კავშირის ბავშვთა ტოქსიკოლოგიური ცენტრის ტოქსიკოლოგი ს. ა. იუშკოვი, საბჭოთა კავშირის ენდოკრინოლოგიის სამეცნიერო ცენტრის მეცნიერი თანამშრომელი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ა. ნ. ნაზაროვი; ზოგადი და სასამართლო ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (მოსკოვი) თანამშრომელთა ჯგუფი, რომელშიც შედიან: ვ. პ. კოტოვი, ბ. პ. შჩუკინი, მ. მ. მალცევა და ვ. ვ. გორინოვი, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სპეციალისტთა ჯგუფი (ტოქსიკოლოგი, ფსიქიატრი, თერაპევტი) გ. ა. საფრონოვის, ი. ი. ბონიტენკოს, ლ. ვ. პუსტოვალოვის, ნ. ა. ლოშადკინისა და ა. ი. ბანიკოვის შემადგენლობით. საერთაშორისო წითელი ჯვრის ორგანიზაციის (ყენევა) სპეციალისტთა ჯგუფი 4 სპეციალისტის შემადგენლობით ბერნის ნევროლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ მარკ მუმენტალერის მეთაურობით.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ტოქსიკური ქიმიური ნივთიერებებით მოწამლული პირების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ძირითად საკითხებში და მათი მდგომარეობის შეფასებაში სპეციალისტთა შორის რაიმე განსხვავებანი არ ყოფილა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქალაქ თბილისში 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკული ამბების შედეგად დაღუპულთა და დაშავებულთა შორის არიან პირები, რომლებიც მოიწამლნენ ქიმიური ნივთიერებებით. დაშავებულთა შორის აღინიშნა სხვადასხვა სიმძიმის, მათ შორის მძიმე მოწამვლა.

დღე-ღამის განმავლობაში არ ყოფილა მიღებული არავითარი ცნობა მომწამვლელ ნივთიერებათა მოქმედების ხასიათის შესახებ. სამხედრო უწყებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების წარმომადგენლებს შეკითხვაზე არ მიუციათ ინფორმაცია მომწამვლელ ნივთიერებათა შესახებ, უფრო მეტიც, ისინი კატეგორიულად უარყოფდნენ მათ გამოყენებას. ამასთან დაკავშირებით 1989 წლის 10 აპრილს დახმარების გასაწევად მოწვეული იყვნენ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სპეციალისტები, რომლებმაც დაადგინეს, რომ მოწამვლა გამოწვეულია გამღიზიანებელი (ცრემლსადენი) მოქმედების ნივთიერებებით, რომლებშიც შედის ნეიტრობული (ქოლინოლიტური) ეფექტის კომპონენტები. ნივთიერებათა მოქმედების ხასიათის შესაბამისად დაინიშნა მკურნალობა (დეზინტოქსიკაციური თერაპია, გალანტამინა და სხვ).

დიაგნოზის და მკურნალობის სქემის დასაზუსტებლად საჭირო იყო გამოყენებულ ნივთიერებათა შედგენილობის დადგენა. 1989 წლის 14 აპრილს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების და სამხედრო სარდლობის წარმომადგენლებმა დაადასტურეს მხოლოდ ქლორაცეტოფენონის (ცრემლსადენი ნივთიერების) გამოყენება. მაგრამ, მოწამვლის არსებული კლინიკური სურათი ვერ თავსდება მხოლოდ ქლორაცეტოფენონის ზემოქმედების ფარგლებში.

გამოყენებულ ქიმიურ ნივთიერებათა შესახებ ინფორმაციის უქონლობამ გააძნელა მოწამვლის მიზეზის და მკურნალობის ტაქტიკის დაზუსტება, გარ-

თულებათა მიზანმიმართული პროფილაქტიკა. კონკრეტულ ნივთიერებათა შესახებ ცნობების ნაკლებობა საშუალებას არ იძლეოდა შეგვემუშავებინა სანიტარიულ-ჰიგიენური ღონისძიებანი იმ ტერიტორიებისა და შენობების გაუფრებლებისათვის, სადაც გამოიყენეს ქიმიური ნივთიერებანი. შიში დადასტურდა — რამდენიმე დღის შემდეგ თეატრალური ინსტიტუტისა და № 1 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა, რომლებიც იმყოფებოდნენ მოვლენების ადგილის ახლომდებარე ტერიტორიაზე, მიმართეს ექიმებს მწვავე მოწამვლის ნიშნებით. დაზარალებულთათვის, რომლებსაც სხვადასხვა სიმპტომატიკა ჰქონდათ, კონსულტაციებისა და პრაქტიკული დახმარების გაწევის მიზნით საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ განმეორებით მოიწვია სპეციალისტთა ჯგუფი (ტოქსიკოლოგი, ბავშვთა ტოქსიკოლოგი, ნევროპათოლოგი, ფსიქიატრი, თერაპევტი, კარდიოლოგი, ენდოკრინოლოგი).

1989 წლის 21 აპრილს საზოგადოებრივი სამედიცინო კომისიის წევრებმა სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრს მიმართეს განცხადებით, რომ საქირთა წარმოადგინონ ინფორმაცია გამოყენებული ქიმიური ნივთიერებების თაობაზე. პასუხი არ ყოფილა. და კვლავ, 28 აპრილს, მთავრობის სახლის წინ ტერიტორიის დასუფთავებისას, მრავალმა მცხოვრებმა მიმართა ექიმებს მოწამვლის ჩივილებით, ათობით კაცი ჰოსპიტალიზებულია. ამ ავადმყოფებს კონსულტაცია გაუწია სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სპეციალისტთა ჯგუფმა, რომლებიც მივიდნენ დასკვნამდე, რომ მოხდა ადამიანთა მწვავე მოწამვლა გამაღიზიანებელი და ნეიროტროპული მოქმედების ნივთიერებით თუ ნივთიერებებით. ახლად შემოსულ ავადმყოფთა კლინიკური სურათი ისევ არ თავსდება ქლორაცეტოფენონის მოქმედების ფარგლებში. ყოველივე ამან გააღრმავა საერთო სიტუაცია, ხელი შეუწყო ნევროზული მდგომარეობის (ფსიქოგენიის) განვითარებას, რასაც მოწმობს მოწამვლის გამო მიმართვების რაოდენობის მკვეთრი ზრდა.

რესპუბლიკის, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის მტკიცე მოქმედების წყალობით, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საკავშირო საზოგადოების ხელშეწყობით მივიღეთ ინფორმაცია, 9 აპრილს „ჩერიომუხას“ პირობითი სახელწოდებით სპეციალური საშუალებების გამოყენების შესახებ, რომლებშიც შედის: ქლორაცეტოფენონი ხლადონი, იზოპროპილის სპირტი, მცენარეული ზეთი და ზოგიერთში დენთი. — ხლადონი ნეიტრალური გაზი, საფრქვეველია, ქლორაცეტოფენონი — გამაღიზიანებელი მოქმედების მომწამვლელი ნივთიერება (კრემლსადენი). იზოპროპილის სპირტი არის გამხსნელი, ტოქსიკურია. მცენარეული ზეთი ხელს უწყობს ფიქსაციას.

პირველად იყო მოწოდებული ოფიციალური ცნობა გამაღიზიანებელი მოქმედების მეორე ქიმიური ნივთიერების (სი-ესი, მალონმჟავის დინიტრილორთოქლორბენზალი), გამოყენების შესახებ, რომელიც გამაღიზიანებელი მოქმედების ძალით 10-ჯერ აღემატება ქლორაცეტოფენონს და ამავე დროს, მაღალი კონცენტრაციით აქვს ნეიროტროპული ეფექტი. სი-ესი გარკვეულ პირობებში მედეგია გარემოში (4 კვირაზე მეტი). სი-ესი, როგორც პოლიციური გაზი და საბრძოლო აგენტი, ვიეტნამში იხმარა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ლიტერატურის მონაცემებით, გარკვეულ პირობებში, მაღალი კონ-

ცენტრაციების ზემოქმედებისას აღინიშნება სიკვდილის ცალკეული შემთხვევები.

ვიტვალისწინებთ რა ავადმყოფთა შორის კლინიკური გამოვლინებების ხასიათს, ზემოქმედების სხვადასხვა ექსპოზიციის დროს ზემოთ აღნიშნული ნივთიერებების შესაძლო შეუღლებადობასა და სხვადასხვა კონცენტრაციას, შეიძლება დავასკვნათ, რომ მოწამვლის არსებული სურათი თავსდება ქლორაცეტოფენონისა და სი-ესის ზემოქმედების ფარგლებში. ამავე დროს გრძელდება დამატებითი კვლევა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქლორაცეტოფენონი და სი-ესი კარგად შესწავლილი ნივთიერებებია როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთაც, რამაც შესაძლებლობა მოგვცა საჭირო შემთხვევებში მოგვეხდინა მკურნალობის კორექტირება სი-ესის გამოყენების შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ.

სულ ქალაქ თბილისის სამკურნალო დაწესებულებების სტაციონარებში (რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო, მე-4 მთავარი სამმართველოს მე-2 საავადმყოფო-პოლიკლინიკა, თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის სტაციონარი, ქალაქის № 1, № 7, № 8 საავადმყოფოები, რკინიგზის საავადმყოფო, ქირურგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ნევროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი) მოთავსებულია 584 დაშავებული. დახმარებისათვის მიმართა და ამბულატორიული მკურნალობა მიიღო 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენების დროს, აგრეთვე მომდევნო დღეებში 3.515 დაზარალებულმა (№ 1 საშუალო სკოლის მოსწავლეები, თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტები და თანამშრომლები, მთავრობის სახლთან ტერიტორიის დასუფთავების მონაწილენი და ა. შ.).

სამედიცინო დოკუმენტაცია ინახება აღნიშნულ სამკურნალო დაწესებულებებში. ვაკვეთის მასალებისა და ჰისტოლოგიური პრეპარატების, საამბულატორიო რუკებისა და დაავადებათა ისტორიების შესწავლის საფუძველზე ქვეკომისიას წინასწარი წესით შეუძლია აღნიშნოს შემდეგი.

სულ დახმარებისათვის მიმართა 4099 კაცმა. მათ შორის სტაციონარებში 583. სხვადასხვა ხარისხის ტრავმებით სტაციონარებში იმყოფებოდა 198 დაზარალებული, მათგან დაჭრილია 28 (მათ შორის 5 ცეცხლსასროლი იარაღით), მოტეხილობა აქვს 12-ს, თავის ქალის დახურული ტრავმები — 94-ს, დაჟეჟილობა — 64-ს. 198 ტრავმატული დაზიანებიდან 10 შემთხვევაში არის კომბინირებული დაზიანება (ტრავმები ქიმიურ მოწამვლასთან ერთად).

ამბულატორიული სამკურნალო დახმარება მიიღო ტრავმატული დაშავების მქონე 92 კაცმა, მათგან: ჭრილობების მქონე — 22, მოტეხილობისა — 10, თავის ქალის დახურული ტრავმებისა — 10 და დაჟეჟილობისა — 50 კაცმა.

ჰოსპიტალიზებულ ავადმყოფთა შორის 300-ზე მეტს შეადგენენ პირნი, რომლებიც მოიწამლნენ ქიმიური ტოქსიკური ნივთიერებების გამოყენების შედეგად; სამი ათასზე მეტმა კაცმა ქალაქის სამკურნალო დაწესებულებებს მიმართა მოწამვლის ჩივილებით.

ტრავმატული დაზიანებანი, არცთუ იშვიათად, შეუღლებულია ტოქსიკური ქიმიური ნივთიერებებით მოწამვლასთან.

იყო ნეიროქირურგიული დაშავების 60-მდე შემთხვევა: თავის ტვინის შერყევა თავის რბილი ქსოვილების დაჟეჟილობითა და ჭრილობებით, სხე-



ულის და კიდურების მრავალრიცხოვანი ნაკდვეი და სისხლჩაქცევა. ერთ შემთხვევაში აღინიშნა წინამხრის ძვლების მოტეხილობა, რომლებიც განაპირობა ბლავგი საგნით დარტყმამ. ორ შემთხვევაში აღინიშნა თავის ქალის ძვლების მოტეხილობა, რომელმაც მოითხოვა ოპერაციული ჩარევა. ერთ-ერთ მათგანში აღინიშნა ქალა-ტვინის ღია ტრავმა რბილი ქსოვილების დაკეპილი ჭრილობისა და თავის ქალის ძვლების მოტეხილობის სახით, მაგარი ტვინის გარსის და ტვინოვანი ნივთიერების დაზიანებით, რომელიც დამთავრდა ლეტალურად; მეორე შემთხვევაში — თავის ქალის ძვლების ჩაზნექილი მოტეხილობა. კიდევ ერთ შემთხვევაში იყო თავის ტვინის ცეცხლსასროლი იარაღით გამჭოლი იარა, რომელიც დამთავრდა ლეტალურად (თავში ჭრილობა მიღებულა კომენდანტის საათის გამოცხადებიდან 30-40 წუთის შემდეგ).

დაშავებულთ აღენიშნათ აგრეთვე ზურგის სფეროში და კიდურების დაკეპილი ჭრილობები, სხეულის დაჟეჟილობანი, სახის დაჟეჟილი და ნაკვეთი ჭრილობები და ა. შ.

რესპუბლიკურ თვალის კლინიკურ საავადმყოფოში მიიყვანეს დაშავებული, რომელსაც ჰქონდა თვალის ყრუ ტრავმა, სკლერის ჭრილობა თვალის შიგთავსის ამოვარდნით; მეორე დაზარალებულს აღენიშნა მარჯვენა თვალის რეტრობულბური ჰემატომა, ჰემოფთალმი. სხეულის უამრავი დაჟეჟილობა.

რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილებაში დღემდე იმყოფება ავადმყოფი 29 წლის მამაკაცი, რომელმაც მიიღო ცეცხლსასროლი იარაღით გამჭოლი ჭრილობა თავში 1989 წლის 9 აპრილს. დიაგნოზი: ტვინის ქალის მძიმე ტრავმა ორივე თვალის დაზიანებით (მარჯვენა თვალის გლეჯილი ჭრილობა შიგთავსის გამოდენით და მარცხენა თვალის კაკლის დაკარგვა), ტვინის ქსოვილის კონტუზიით, ტვინის ქალის სითხის გამოდევნა, თავის ქალის და სახის ფუძისა და თალის უამრავი მოტეხილობით.

ტოქსიკურ-ქიმიური ნივთიერებებით მოწამლულთა ნევროლოგიური გამოკვლევა ავლენს ნერვული სისტემის ორგანულ დაზიანებას, რომლებიც წარმოდგენილია შემდეგი ყველაზე ტიპური ნევროლოგიური სინდრომებით: ქერქოვანი პირამიდული, ღეროვან-ვესტიბულარული, ამნეზიურ-აბულიური, ექსტრა-პირამიდული ტოქსიკური მოშლილობებითა და ჰიპერკინეზებით, კრუნჩხვითი, ზურგ-სეგმენტური და ზურგ-ფესვაკური, დიენცეფალურ-ჰიპოთალამიკური, ვეგეტო-განლიონური, პოლირადიკულო-ნევრიტული, დიზავტონომიურ-პოლინეიროპათიკური. 4,8 პროცენტ შემთხვევებში ეტიოპათოგენეტიკური ფაქტორებით ნავარაუდვე იყო ტვინის ქალის ტრავმის შეუღლება და გამაღიზიანებელი მოქმედების ქიმიური ნივთიერებებით ინტოქსიკაცია, 95,2 პროცენტ შემთხვევებში ნევროლოგიური პათოლოგია შეიძლება დაავკავშირებინა მხოლოდ ტოქსიკურ და ფსიქოსტრესორულ ფაქტორებთან. პრაქტიკულად ყველა დაზარალებულს აღენიშნა ასთენიურ-ნევროტიკული სინდრომი.

კლინიკურ-ნევროლოგიური სიმპტომატოლოგია წარმოდგენილი იყო შემდეგი სუბიექტური და ობიექტური ნიშნებით: საერთო სისუსტე (შეენიშნებოდა ავადმყოფთა 45,6 პროცენტს), გულის რევა (43,7 პროცენტს), თავის ტკივილი (39,8 პროცენტს), თავბრუსხვევა (37,8 პროცენტს), კანის ალერგიული გამოვლინებანი (25,2 პროცენტს), ცრემლდენა და თვალის წვა (25,2 პროცენტს), ხუთვის გრძნობა (24,2 პროცენტს), ხველა (22,2 პროცენტს), გო-

ნების ხანმოკლე დაკარგვა (19,1 პროცენტს), ტაქიკარდია (18,4 პროცენტს), სხვა კარდიოვასკულური გამოვლინებანი (18,4 პროცენტს), ნისტაგმი (14,5 პროცენტს), მუცლის ჰერა (13,5 პროცენტს), სუბკონიუნქტივალური სისხლჩაქცევები (12,6 პროცენტს), პირის სიმშრალე (12,6 პროცენტს), ალგუნება (11,6 პროცენტს), გულისრევა (10,6 პროცენტს), ჰიპერთერმია (10,6 პროცენტს), ასთენია (8,7 პროცენტს), ტვინის ქალის ნერვების პარეზები (8,7 პროცენტს), ჰიპოსომნია (7,8 პროცენტს), გასტროინტესტინალური გამოვლინებანი (7,8 პროცენტს), არტერიული წნევის მომატება (6,7 პროცენტს), კომა (5,8 პროცენტს), ცნობიერების აბნევა (5,8 პროცენტს), ამნეზიური სინდრომი (5,8 პროცენტს), ჰიპერჰიდროზი (5,8 პროცენტს), ანიზორეფლექსია (5,8 პროცენტს), გაშლის პათოლოგიური რეფლექსები (5,8 პროცენტს), კუნთების ტონუსის დარღვევა (4,8 პროცენტს), ლუმბოსაკრალური ტკივილის სინდრომი (4,8 პროცენტს), ქავილი (3,8 პროცენტს), პარესთეზიები (3,8 პროცენტს), სოპორი (3,8 პროცენტს), რეტროგრადული ამნეზია (3,8 პროცენტს), ბრადიკარდია (3,8 პროცენტს), მიდრიაზი (3,8 პროცენტს), ჰიპერკინეზები (3,8 პროცენტს), მუცლის რეფლექსების დაქვეითება (3,8 პროცენტს), შარდგამომყოფი სისტემის დარღვევა (3,8 პროცენტს), ანთეროგრადული ამნეზია (2,9 პროცენტს), ჰიპერსომნია (2,9 პროცენტს), დეპრესია (2,9 პროცენტს), არითმიები (2,9 პროცენტს), კიდურების პერიფერიული პარეზები (2,9 პროცენტს), კოორდინაციისა და წონასწორობის დარღვევები (2,9 პროცენტს), რეფლექტორული ჰემისინდრომი (2,9 პროცენტს), დეზორიენტაცია (1,9 პროცენტს), ჰალუცინოზი (1,9 პროცენტს), სხვადასხვა ვეგეტაციური კრიზი (1,9 პროცენტს), პალპაციის დროს თვალის კაკლების მტკივნეულობა (1,9 პროცენტს), ეპიბნედა (1,9 პროცენტს).

ელექტროენცეფალოგრაფიულად აღინიშნება ტვინის ელექტროგენეზის დიფუზური ცვლილებანი, რომლებიც მოწმობს არასპეციფიკური სტრუქტურების პათოლოგიას.

14 დაკვირვებიდან, რომელთა დროს ეწყობოდა ოტონევროლოგიური კვლევა, 9 შემთხვევაში აღინიშნა ვესტიბულურ-ღეროვანი დისფუნქცია, ხოლო 5 შემთხვევაში — სუპრატენტორული დონის ვესტიბულოპათია.

5 შემთხვევაში ოფთალმოსკოპიურმა კვლევამ გამოავლინა ვენურ-რეტინალური ჰიპერტენზია.

ნეიროფსიქოლოგიური შემთხვევების 6 გამოკვლევაში აღინიშნა ამა თუ იმ დონით ფსიქიკური აქტიურობის დაქვეითება, მეხსიერების მრუდში პროდუქტიულობის დაქვეითება, თანმდები ასოციაციების ამოტივტივება, კონტამინაციები ვერბალური სტიმულების რეპროდუქციის პროცესში, აგრეთვე ხანმოკლე მეხსიერებაში სტიმულების რეპროდუქციაზე ინტერფერენციის გავლენის ზრდა.

მოცემული ნეიროფსიქოლოგიური სიმპტომატიკა აღნიშნავს ლიმბიკორეტტიკულარული კომპლექსის დისფუნქციის სინდრომს, სადაც ჭარბობს გამაქტივებელი სისტემის დისფუნქცია.

ყურადღებას იპყრობს ვეგეტაციური ნერვული სისტემის დაზიანების მქონე ავადმყოფთა შორის ტოქსიკური სოლარიტების გამოვლენის სიხშირე, რომლებიც მიმდინარეობს აბდომინალური კრიზებით და ვაგო-ინსულარული სიმპტომოკომპლექსით (ციფრობრივი მონაცემები მუშავდება), აგრეთვე დაავადების შედარებით მოგვიანო ვადებში (ინტოქსიკაციის უმწვავესი პერიო-

დიდან 8-14 დღის შემდეგ) დიზავტონომიური პოლინეიროპათიის (შაი დრეიჯერის სინდრომი) მოვლენათა განვითარება. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ მთელ რიგ შემთხვევებში (მონაცემები სტატისტიკურად მუშავდება) ნერვული სისტემის იზოლირებული ტოქსიკური დაზიანების მქონე ავადმყოფთა ნევროლოგიური სიმპტომოკომპლექსის დინამიკა შეიძლება მოწმობდეს, რომ ვითარდება ტვინის ნივთიერების ატროფია და ჰიდროცეფალია ცერებრალური დაზიანების დროს კომპიუტერულ-ტომოგრაფიული პატერნებით და მიეღწევიან ნეიროპათიის აქსონალურ ნეიროპათიაზე ჰარბობის ელექტრონეიროგრაფიული ნიშნებით. ორგანული ხასიათის ნევროლოგიურ აშლილობათა ტოქსიკური გენეზი შეიძლება დიფერენცირებული იყოს პრემორბიდულად არსებული პათოლოგიის მიხედვით პროგრესიულ ან რეგრესიულ დინამიკად, რომელიც აღინიშნა დაკვირვებათა 42 პროცენტში, დანარჩენ 58 პროცენტს პათოგენეტიკური და სიმპტომატიკური თერაპიის ფონზე დინამიკა ჯერჯერობით არ აღენიშნება.

ტოქსიკური ქიმიური ნივთიერებებით მოწამლულ პირთა ფსიქიკური გამოკვლევის შედეგად აღინიშნა გაღიზიანება, მსუბუქი დაუძლურება, თავბრუ, უგუნებობა, საერთო სისუსტე, ძილის დარღვევა და ა. შ. ავადმყოფები ძირითადად უჩივიან უამრავ ცერებრულ-ორგანულ დარღვევებს: თავის ტკივილს, თავბრუს, გულისრევას, ჰაერის უკმარისობას, დაბნეულობას, მეხსიერების დაქვეითებას, ზოგიერთს აქვს მკაფიოდ გამოხატული ასთენია, რასაც თან ახლავს აღინაშია და მეტყველებითი აღზნება. ფაქტების აღდგენისას, კონფაბულაციები უკავშირდება ტრავმის მომენტებს. აწუხებთ უძილობა, ძნელად იძინებენ. აღნიშნულ მდგომარეობას (ზოგ შემთხვევაში) წინ უძღვის მხედველობითი მენთიზმი. მისი შინაარსი ისევე, როგორც წყვეტილი სიზმრების კომპარული შინაარსებიც, ასახავს მომიტინგეთა დარბევის დროს განცდილ საშინელ სცენებს, რომლებსაც თან სდევს შიშისა და აქტივაციის გრძობები. ავადმყოფებს აღენიშნებათ აგრეთვე მკვეთრად გამოხატული გაღიზიანება, შეშფოთება, დაძაბულობა, ეფექტური დარღვევა უგუნებობის სახით, ზოგ შემთხვევაში გამოხატული დეპრესიით, უიმედო მომავლით. ისინი უჩივიან არტერიული წნევის მკვეთრ ცვალებადობას (დაბალ-მაღალი), პირის სიმშრალეს, სახის ჰიპერემიას, თვალების ტკივილსა და წვას, გულის არეში ტკივილებსა და სიმძიმის შეგრძნებას, სმენის დაქვეითებას (ერთ შემთხვევაში ცალი ყურის, სხვა შემთხვევაში ორივე ყურის), ოფლიანობას, აკროციანოზს, აგრეთვე აღენიშნებათ მსუბუქად გამოხატული ამნეზიური აფაზია, უჭირთ სიტყვების გახსნება, აღინიშნება „უკვე ნახის“ და „უნახავის“ ფენომენი; ქცევის კონტროლის დაკარგვა და მეტყველებითი აღზნება, აგრეთვე დერეალიზაციის ელემენტები. არის რეტროგრადული და ანტეგრადული ამნეზიის ხანმოკლე ეპიზოდები, აგრეთვე აღინიშნება მხედველობის დაქვეითების შეგრძნება, ატაქტიკური სიარული, ორიენტაციის დაკარგვა, ენერჯის მოზღვაუებისა და კლემბის პერიოდული შეგრძნებები, კოორდინაციის დარღვევა, ეიფორია, კრიტიკის შენელება. ავადმყოფურად განიცდიან და აშინებთ მოსალოდნელი იმპოტენცია.

ექსპერიმენტული მონაცემებით აღინიშნება პროდუქტიულობის დაქვეითება. ავადმყოფები დაინტერესებული არიან ექსპერიმენტით, მაგრამ ბოლომდე ვერ მიჰყავთ გამოხატული დაუძლურების გამო. ასევე აღინიშნება მოციმ-

ციმე გამოფიტვა, რომელიც მეტ წილ შემთხვევებში ვლინდება მოწამვლისა და სისხლძარღვთა დარღვევების დროს.

გამოკვლევულ ავადმყოფთა აქტიურ ყურადღებას, რომელიც შესწავლილია ბურდონისა და კრეპელინის ტესტებით, ახასიათებს მისი შესრულების დროის მკვეთრი მომატება და დაშვებული შეცდომების დიდი რაოდენობა; ყურადღების კონცენტრაციის მკვეთრი დაქვეითება, საუბრის გადატანის გაძნელება, ფსიქიკური პროცესების რეგიდულობა, მკვეთრად გამოხატული ოკულოსტატიკური ფენომენი.

მეხსიერების გამოკვლევისას ავადმყოფებს, მეტ წილ შემთხვევებში აღენიშნებათ ფიქსაციისა და რეპროდუქციის დაქვეითება, აგრეთვე ისევე როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, — რეტროგრადული და ანტეროგრადული ამნეზიები (მოკლე ეპიზოდური ხასიათისა) და კონფაბულაციები (მოკლე ეპიზოდების სახით). შესწავლილი შემთხვევებიდან უმცირესობას მეხსიერების დაქვეითება არ აღენიშნება.


აზროვნება (ცნებით-ლოგიკური): ცნებითი თვალსაზრისით ამოცანების გადაწყვეტისას აზროვნების ტემპი შეყოვნებულია (გამოხატულია ფსიქიკური პროცესების გამოფიტვა), ავადმყოფებს უჭირთ განზოგადებული ცნების არსში ჩაწვდომა და ლოგიკური თანაფარდობის გაანალიზება, აგრეთვე უჭირთ ზოგად კატეგორიათა გააზრება ლოგიკური მსჯელობის პროცესში. ექსპერიმენტული მონაცემებით გამოვლენილია აზრობრივი ოპერაციების მკვეთრი გაძნელება (გამოხატული დაქვეითების გარეშე).

9 აპრილს მიღებული ტრავმებისა და მოწამვლის შედეგად დაღუპული 19 კაციდან სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის მიზნით გაიკვეთა 17 (ორი გვამი არ გაიკვეთა ნათესავების დაუინებელი წინააღმდეგობის გამო).

17 დაღუპულის მასალის მიკრომორფოლოგიური გამოკვლევის შედეგები ადასტურებს 12-ის სავსებით ერთნაირ ცვლილებებს: მიუხედავად იმისა, რომ არა აქვთ სხეულის მძიმე და საშუალო სიმძიმის დაშავება, შეიმჩნევა ტრაქეის ლორწოვანი გარსის, აგრეთვე თვალის, სემენტური, სუბსემენტური ბრონქების ტოტალური ნეკროზი და დანეკროზებული მასების დესკვამაცია და გაშიშვლებული კუნთოვანი გარსის სისხლით გაჯღენთა; ნეკროზი დიფუზურად ვლინდება აგრეთვე ეპითელიუმით, რომლითაც ამოგებულია ბრონქიოლები და ნეკროზებული ქსოვილის დესკვამაციითა და კუნთოვანი გარსის გაშიშვლებით. ყველა ამ შემთხვევაში ზემოაღნიშნულ პროცესებს თან სდევს სასუნთქი გზების კედლების ინფილტრაცია უჯრედებით, რომლებიც პასუხისმგებელია ჰისტამინის პროდუქციისათვის (ბაზოფილური ლეიკოციტები, ლავროციტები), ლიმფოციტებით, ეოზინოფილური ლეიკოციტებით. აღნიშნული მიკრომორფოლოგიური ცვლილებები ხასიათდება როგორც უმწვავესი ალტერნატიული (ნეკროზული) ტრაქეიტ-ბრონქიტ-ბრონქიოლიტი, რომლებიც წარმოიშვა მომწამვლელ ქიმიურ ნივთიერებათა ჩასუნთქვის შედეგად (თ. ჭოველიძე, თ. მამულაშვილი, თ. დოლიძე, მ. ლოლაძე, ნ. სამარგულიანი, მ. სამარგულიანი-ყყო-ნია, მ. ჯინჭარაძე, ე. ჭიბაშვილი, ე. ბეჟანიშვილი, ნ. ჯანგირაშვილი, ა. ადამია, ნ. ბაშალაიშვილი).

ერთ შემთხვევაში (თ. ენუქიძე) სიკვდილი გამოიწვია ტრავმატულმა შოკმა: ნეკნების მრავალმა მოტეხილობამ და ფილტვის ქსოვილის გახევამ.

მ. მელქაძე დაიღუპა ტრავმულ დაშავებათა გართულების შედეგად.



შ. ქვასროლიაშვილი დაიღუპა თავის ქალის დაკეპილი ჭრილობისა და ტვინის ქსოვილის მძიმე დაზიანების შედეგად.

ორ შემთხვევაში, მსუბუქი მოწამვლის ნიშნების შემთხვევაში, სიკვდილის მიზეზი გახდა გულის მწვავე უკმარისობა: გულის ქრონიკული იშემიური დაავადება — დიფუზური წვრილკეროვანი სუბკომპენსირებული კარდიოსკლეროზი ფილტვების მურა ინდურაციით (ზ. კიკვიძე, 61 წლის ქალი); დიფუზური წვრილკეროვანი სუბკომპენსირებული რქვმატული კარდიოსკლეროზი ფილტვების მურა ინდურაციით (მ. ნოზაძე, 22 წლის ვაჟი).

კლინიკური შემთხვევებისა და პათოლოგიურ-ანატომიური მასალის შესწავლის საფუძველზე ქვეყომისია დაასკვნის, რომ 1989 წლის 9 აპრილს მშვიდობიანი დემონსტრაციის დარბევის დროს გამოყენებული იყო თავისი სისატკით უპრეცედენტო ძალმომრეობის ღონისძიებანი. მათ მოჰყვა 19 უდანაშაულო ადამიანის დაღუპვა, რომელთა შორის 16-დან 70 წლამდე ასაკის 16 ქალია (ერთი ფეხმძიმე). 4099-ზე მეტმა კაცმა ქიმიური ნივთიერებებით მოწამვლის, ტრავმების, დაჟეჟილობის, ჭრილობებისა და მოტეხილობების გამო სამედიცინო დახმარებისათვის მიმართა ან მიყვანილია სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში (მათგან 583 მოთავსებულია სტაციონარებში).

დემონსტრანტთა ბარბაროსული დარბევის შემდეგ მოედნიდან გაიტანეს 16 გვამი. შემდგომში, მძიმე მოწამვლის, მექანიკური ტრავმისა და თავის ქალის დაკეპილი ჭრილობის და ტვინის ნივთიერების დაზიანების გამო დაიღუპა 3 კაცი (ნ. ბაშალეიშვილი, მ. მელქაძე და შ. ქვასროლიაშვილი).

9 აპრილს ღამით, კომენდანტის საათის გამოცხადებიდან 30-40 წუთის შემდეგ, თავში სროლის შედეგად მოკლულია გ. ქარსელაძე.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ 12 შემთხვევაში სიკვდილი გამოიწვია ხუთვამ, რომელიც განვითარდა მომწამვლელ ქიმიურ ნივთიერებათა შესუნთქვის შედეგად, რასაც ადასტურებს აუტოფსინური მასალის მიკროსკოპული შესწავლა.

ბ. რ. ნანეიშვილი,

ქვეყომისის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი.

დასკვნა ვანიხილა და დაამტკიცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქალაქ თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარ გარემოებათა გამომკვლევმა კომისიამ (1989 წლის 15 მაისი, ოქმი № 5).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ა. თბილისის 1989 წლის
9 აპრილის ამაგვის გარემოებათა გაუმჯობესების
საგანმანათლებლო კომისიის

შინაგარეო დასკვნა

I.

შინაგარეო დასკვნის და საბჭოთა არმიის ქვედანაყოფები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ ქ. თბილისის 9 აპრილის მიტინგის დაარსებაში, ყოველნაირად ცდილობენ დაასაბუთონ ვერსია, რომლის მოკლე შინაარსი ასეთია: შინაგარეო დასკვნის და არმიის ქვედანაყოფები შემოვიდნენ თბილისში, რათა ძმური დახმარება აღმოეჩინათ ქართველი ხალხისათვის. ქართველ ექსტრემისტებს წამოყენებული ჰქონდათ ანტისაბჭოური მოთხოვნები, უნდოდათ ძალაუფლების ხელში ჩაგდება და საქართველოს კანონიერი მთავრობის დამხობა. იქმნებოდა რესპუბლიკის საარსებო მნიშვნელობის ობიექტების ხელში ჩაგდების საფრთხე. გაკრული იყო ანტირუსული ლოზუნგები. კარგად გაწვრთნილი ორგანიზებული ადამიანების ჯგუფები აღწევდნენ საწარმოებში, აჩერებდნენ ასობით და ათასობით ადამიანის მუშაობას, პარკებში აბრუნებდნენ სამეზავრო ავტობუსებს, ამხვრევდნენ მინებს, აღვივებდნენ შფოთს. იქმნებოდა რესპუბლიკის საარსებო მნიშვნელობის ობიექტების ხელში ჩაგდების საფრთხე. როდესაც ჯარის ნაწილები 9 აპრილს გამოენიისას მიუახლოვდნენ მთავრობის სასახლის წინ მდებარე მოედანს, მათ დაინახეს გასისხლიანებული და დაკრული ქალები, რომლებიც ჯარისკაცებისაგან მოითხოვდნენ შეველას. მაგრამ ისინი წააწყდნენ ქართველების მხრივ სასტიკ წინააღმდეგობას. ბევრ ექსტრემისტს ეკეთა აირწინალი ან პირი დოლბანდით ჰქონდა აკრული. მათ ხელში ეჭირათ აერაზოლისა და დიხლოფოსის „ბალონჩიკები“. ქალებისა და უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების გადარჩენის დროს ჯარისკაცებს ესროდნენ ქვებს, ბოთლებს, რკინის ნაჭრებს... ათობით ჯარისკაცი დაშავდა და ა. შ.

როგორც ვხედავთ თუ არმიისა და შინაგარეო დასკვნის ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს ვერწმუნებით, ქალები თითონ ქართველ ექსტრემისტებს დაუხმობდათ, ხოლო თუ მამაკაცებიც დაიღუპნენ ეს იმიტომ, რომ ისინი თავს ესხმოდნენ ჯარისკაცებს. მომწამვლელი ქიმიური ნივთიერება ჯარს კი არ გამოუყენებია, არამედ ექსტრემისტებმა გამოიყენეს და ხალხიც ამიტომ მოიწამლა...

ბუნებრივია, იბადება კითხვა: რისთვის სჭირდებათ ცინიზმით შეზავებული ასეთი ყალბი ვერსია?

ასეთი ვერსია მათ სჭირდებათ, ჯერ ერთი, იმისათვის, რომ გაამართლონ იარაღის გამოყენება (იარაღში იგულისხმება როგორც ცეცხლსასროლი ისე ცივი და მით უფრო ორლესული ნიჩბები და მომწამვლელი ქიმიური ნივთიერებები). საქმე ის არის, რომ, თუ მოქალაქეებს არავინ ესხმოდა თავს და მომიტინგეებს არ უნდოდათ მთავრობის ძალის გამოყენებით დამხობა, მაშინ, როგორც ეს დაწვრილებით იქნება ნაჩვენები ქვემოთ, არმიისა და შინაგარეო დასკვნის ნაწილებს არც იარაღის გამოყენების უფლება ექნებოდათ. მეორეც— ეს საჭიროა იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ პასუხისმგებლობა დანაშაულობათა

მთელი კომპლექსისათვის და მათ შორის აკრძალული ქიმიური იარაღის გამოყენებისათვის.

II.

სინამდვილე 9 აპრილის გარემოებათა შესახებ

საგამოძიებო ქვეკომისიამ ქ. თბილისში 9 აპრილს დატრიალებული ტრაგედიის გარემოებათა გამოკვლევისა და დადგენის მიზნით, შეაგროვა ასობით მოწმეთა, მიტინგის უშუალო მონაწილეთა, მოშიმშილეთა, წესრიგის უზრუნველსაყოფად იქგანლაგებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების თანამშრომელთა ახსნა-განმარტებები. აგრეთვე ნივთიერი მტკიცებულებები. საგამოძიებო ქვეკომისიამ მიიღო აგრეთვე სამედიცინო და ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ქვეკომისიების წინასწარი დასკვნები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 9 აპრილის გარემოებათა გამომკვლევით კომისიის სხდომაზე ინფორმაციით გამოვიდნენ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი შ. გორგოძე, ამავე სამინისტროს შინაგან საქმეთა თბილისის სამმართველოს უფროსი რ. გვენცაძე, რესპუბლიკის პროკურორი ვ. რაზმაძე, იუსტიციის მინისტრი ვ. შარაშენიძე, სსრ კავშირის სამხედრო პროკურორის მოადგილე, გენერალ-მაიორი ი. ვასილევია, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე თ. ჩერქეზია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი ჯ. პატიაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ზ. ჩხეიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ფოფხაძე.

შეგროვებული ახსნა-განმარტებების და სხვა მტკიცებულებების შეფასების, აგრეთვე ზემოთ დასახელებული თანამდებობის პირთა გამოსვლების ანალიზის შედეგად საგამოძიებო ქვეკომისიას დადასტურებულად მიაჩნია შემდეგი:

1. 1989 წლის 9 აპრილის მიტინგის მონაწილეებს წამოყენებული ჰქონდათ მოთხოვნა სსრ კავშირის შემადგენლობიდან საქართველოს გასვლისა და 1921 წელს დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ.

ეს იყო ის კონკრეტული მოთხოვნა, რომლის განხორციელებაც სურდათ მიტინგის მონაწილეებს.

2. ამ პოლიტიკური მოთხოვნის გამოსახატავად მათ შეარჩიეს ისეთი უკიდურესად მშვიდობიანი გზა, როგორცაა შიმშილობა. მოშიმშილეები განლაგებული იყვნენ მთავრობის სასახლის წინ მდებარე კიბის საფეხურებზე.

3. შიმშილობა შეხამებული იყო მიტინგებთან. ამიტომ მოშიმშილეების გარდა აქ იყვნენ მოქალაქეები, რომლებიც მართალია, არ შიმშილობდნენ, მაგრამ დროდადრო მართავდნენ მიტინგებს წამოყენებული მოთხოვნის მხარდასაჭერად.

4. იმის გამო, რომ საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა მოშიმშილეებისა და მომიტინგეების მოთხოვნას არავითარ პასუხს არ აძლევდა, ქალაქში დაიწყო საგაფიცვო მოძრაობა, რასაც თან მოჰყვა ზოგიერთი საწარმოს საქმიანობის შეწყვეტა ან ნაწილობრივი შეფერხება.

5. ზემოხსენებული კონკრეტული მოთხოვნის გარდა აქ იყო ისეთი ლოზუნგებიც როგორცაა: „ძირს კომუნისტური რეჟიმი“, „ძირს რუსეთის იმპერიალიზმი“, „სსრ კავშირი ხალხთა საპყრობილეა“, და ა. შ.

საგამომძიებო ქვეკომისიას მიაჩნია, რომ ასეთი და სხვა ამგვარი ლოზუნგები არ ატარებდნენ მოთხოვნის ხასიათს. ისინი მხოლოდ მიტინგის მონაწილეთა და მოშიშვილეთა დამოკიდებულების გამომხატველია და, მაშასადამე, წმინდა შეფასებითი შინაარსის გამონათქვამებია. ამიტომ ამ კონკრეტულ ვითარებაში მეტად მნიშვნელოვანია ერთმანეთისაგან გაემიჯნოთ მოთხოვნა, რომლის განხორციელებისათვის გამოცხადდა შიმშილობა, და ლოზუნგები, რომლებიც მხოლოდ მომიტინგეთა შეფასებითი დამოკიდებულების გამომხატველი იყო, არ ჰქონდა განხორციელების რაიმე რეალური საშუალებები და არ შეიცავდა რაიმე მოქმედებისათვის მოწოდებას.

გარდა ამისა, ყოველად მიუღებელია ანტისაბჭოური გამონათქვამები ანტირუსული განწყობილების გაღვივებად მივიჩნით, ხოლო ყოველი მიტინგი, სადაც ასეთი ლოზუნგი იქნება წამოყენებული, არამშვიდობიან მიტინგად მოვწათლოთ.

6. მიტინგის მონაწილეებს არამართო არ გამოუყენებიათ ძალადობა, არამედ ყოველნაირად ცდილობდნენ თვითონვე აღეკვეთათ ყოველგვარი ისეთი ქცევა, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ძალადობის გამოყენების ცდების მიმნიშნებელი იქნებოდა. როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლები ადასტურებენ, მიტინგის მონაწილეებში არ ყოფილა შემჩნეული რაიმე ისეთი მოქმედება, რომელიც მათ მხრივ მომავალში ძალის გამოყენების განზრახვაზე მიგვანიშნებდა. ეს დაადასტურა აგრეთვე მთავრობის ყოფილმა თავმჯდომარემ ზ. ჩხეიძემ.

7. 1989 წლის 8 აპრილს ქ. თბილისში შემოიყვანეს საბჭოთა არმიის ნაწილები და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარები. იმავე დღეს რუსთაველის პროსპექტზე და ქალაქის სხვა ქუჩებში ჩაიარეს ტანკებმა და ჯავშნიანმა მანქანებმა. ამან გაამძაფრა ვითარება, რასაც, კერძოდ, მოჰყვა ის, რომ მთავრობის სასახლის წინ მოქალაქეთა რაოდენობა ერთიათად გაიზარდა.

8. 9 აპრილს დილის 4 საათზე საბჭოთა არმიისა და შინაგანი ჯარების ქვეგანაყოფებმა ამიერკავკასიის ჯარების სარდლის, გენერალ-პოლკოვნიკ ი. ნ. როდიონოვის ხელმძღვანელობით ალყა შემოარტყეს მოშიშვილეთა და მიტინგის მონაწილეებს, სრულიად გაუფრთხილებლად დაიწყეს მათზე შეიარაღებული შეტევა ხელკეტებით, გაღესილი სასანგრე ხელბარების, ქიმიური მომწამვლელი ნივთიერებებისა და ზოგჯერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით.

9. ამ შეტევას, ოფიციალური მონაცემების მიხედვით, შედეგად მოჰყვა 20 ადამიანის დაღუპვა და 4000-ზე მეტი ადამიანის დასახიჩრება, ქიმიური ნივთიერებებით მოწამვლა და დაავადება.

10. ამ ტრაგედიის შემდეგ იმავე 9 აპრილს საღამოს 23 საათიდან დაწესდა კომენდანტის საათი, რომელიც საქართველოს ტელევიზიით ეცნობა ქ. თბილისის მოსახლეობას 22 საათსა და 56 წუთზე, ე. ი. 4 წუთით ადრე კომენდანტის საათის დაწყებამდე.

III.

9 აპრილის პარამოხვათა იურიდიული შეფასება

9 აპრილის გარემოებათა იურიდიული ანალიზი სრულ საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ საბჭოთა არმიისა და შინაგანი ჯარების შემოყვანამ

გამოიწვია სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის დანაშაულობანი, რომელთა შორის მთავარია:

ა) კანონის აშკარა დარღვევით საბჭოთა არმიის ქვეგანაყოფების მიტინგის დასარბევად შემოყვანა, რამაც გამოიწვია მრავალი ადამიანის დაღუპვა და ათასობით ადამიანის ჯანმრთელობის სერიოზული მოშლა;

ბ) კანონით აკრძალულ შემთხვევებში იარაღის გამოყენებამ არმიის ქვეგანაყოფებისა და შინაგანი ჯარების მიერ, რასაც აგრეთვე, მძიმე შედეგები მოჰყვა;

გ) კანონით აკრძალული ქიმიური იარაღის გამოყენება, რამაც ადამიანთა მასობრივი მოწამელა გამოიწვია;

დ) კომენდანტის საათის კანონის დარღვევით შემოღება, რასაც მძიმე შედეგები მოჰყვა;

ე) საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად მიტინგის გამართვის ადგილას მყოფ მილიციის თანამშრომელთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული;

ვ) ცალკეულ პირთა მიმართ ჩადენილი დანაშაულობანი.

ჩამოთვლილ დანაშაულობათა დასაბუთებისათვის მიზანშეწონილია განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე,

11. სსრ კავშირის კონსტიტუციის 119-ე მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში... სსრ კავშირის დაცვისა და მისი მოქალაქეების უშიშროების ინტერესებისათვის აცხადებს სამხედრო ან საგანგებო წესებს მთელ ქვეყანაში, აგრეთვე ცალკეულ ადგილებში — ამასთან აუცილებლად განიხილავს ამ საკითხს შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან ერთად“.

ამიერკავკასიის ჯარების სარდლობამ და კერძოდ გენერალ პოლკოვნიკმა ი. ნ. როდიონოვმა შემოიყვანა ჯარები ქალაქში და მოახდინა მისი ფაქტობრივი ოკუპაცია, თუმცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ქ. თბილისში საგანგებო ან სამხედრო წესების შემოღებაზე არ ყოფილა.

ამრიგად, ი. როდიონოვმა უხეშად დაარღვია სახელმწიფოს ძირითადი კანონი, მითვისა ის უფლებამოსილება, რომელიც მხოლოდ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს აქვს. ამას მოჰყვა უმძიმესი შედეგი, არამარტო ადამიანთა დაღუპვისა და მათი დასახიჩრება-მოწამელის თვალსაზრისით, არამედ მორალურ-პოლიტიკური თვალსაზრისითაც. თავისთავად ცხადია, რომ აქ დგება საკითხი საბჭოთა კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაშეცემისათვის, რომელმაც განსაკუთრებით მძიმე შედეგები გამოიწვია.

კერძოდ, ასეთი მოქმედება შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-80 და 278-ე მუხლებით.

12. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდივნის და ბიუროს ზოგიერთი წევრის ახსნა-განმარტებიდან დასტურდება, რომ 9 აპრილის წინა დღეებში თბილისში იმყოფებოდა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, არმიის გენერალი კონსტანტინე კოჩეტოვი. იგი ესწრებოდა სხდომებს, სადაც მიტინგის დაშლის საკითხები იხილებოდა. ეს უტყუარად მიუთითებს, რომ სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტრომ კარგად იცოდა მიტინგის დასარბევად შეიარაღებული ძალების გა-

მოყენების განზრახვა, რისი უფლებამოსილებაც ამ სამინისტროს არა აქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სათანადო ბრძანებულების გარეშე.

13. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1988 წლის 28 ივლისს მიიღო ბრძანებულება „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დროს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების მოვალეობებისა და უფლებების შესახებ“. ეს ბრძანებულება ითვალისწინებს, რომ საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად შეიძლება შინაგანი ჯარების (და არა საბჭოთა არმიის ქვედანაყოფების) გამოყენება.

ამ მიზნით შინაგანი ჯარების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღება შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრს განსაკუთრებულ შემთხვევებში კი მასვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმებით. მაშასადამე, ეს შინაგანი ჯარები შეიძლება გამოყვანილი ყოფილიყო ქ. თბილისში 9 აპრილს მხოლოდ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილებით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდივნის ჯ. პატიაშვილის თქმით, მან შიფროგრამა გაგზავნა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში ჯარების შემოყვანის თაობაზე. ეს შიფროგრამა წაიკითხეს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე. მანვე განაცხადა, რომ საქართველოში არსებული ვითარების შესახებ 9 აპრილის წინა დღეებში რამდენჯერმე ესაუბრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობას.

ქ. თბილისში მიტინგის დასაშლელად საბჭოთა არმიისა და შინაგანი ჯარების მოწვევისა და შემოსვლის შესახებ იცოდა საქართველოს სსრ რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ.

ერთადერთი, რაც მათ არ იცოდნენ, ეს იყო დარბევის დაწყების ზუსტი დრო და იარაღის სახეობა, რომელსაც გამოიყენებდნენ. სრული სიყალბე აღმოჩნდა არმიის გენერალ კ. კოჩეტოვისა და გენერალ პოლკოვნიკ ი. როდიონოვის დაპირება, რომ მომიტინგეებსა და მოშიშმილებებს ერთი ღერი თმაც კი არ ჩამოუვარდებოდათ და გამოყენებული იქნებოდა მხოლოდ ფარები და რეზინის ხელკეტები.


14. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 28 ივლისის ზემოთ მოყვანილი ბრძანებულება შეიცავს იმ შემთხვევების ამომწურავ ჩამონათვალს, როდესაც შინაგან ჯარებს შეუძლიათ იარაღის გამოყენება. იარაღის გამოყენების შემთხვევების ამომწურავ ჩამონათვალს ხსენებულ დოკუმენტში ის მნიშვნელობა აქვს, რომ მკაცრად შეიზღუდოს და შემოიფარგლოს იარაღის გამოყენება, მთლიანად აღიკვეთოს ჯარის ქვედანაყოფების მეთაურთა შეხედულებით ამ იარაღის გამოყენების შესაძლებლობა.

როდისაა დასაშვები იარაღის გამოყენება ამ ბრძანებულების თანახმად?

პირველი — როცა საჭიროა მოქალაქეთა დაცვა თავდასხმისაგან, რომელიც საფრთხეს უქმნის მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, თუ სხვა ხერხითა და საშუალებით მათი დაცვა შეუძლებელია.

მეორე — როცა აუცილებელია განსაკუთრებით სარეჟიმო და სხვა მნიშვნელოვან ობიექტებზე თავდასხმის მოგერიება, აგრეთვე დაცულ ობიექტებზე შეიარაღებული თავდასხმის მოგერიება;

მესამე — როცა საჭიროა მილიციის მუშაკებზე, სახალხო რაზმელებსა და



სამხედრო მოსამსახურეებზე თავდასხმის მოგერიება, თუ მათ სიცოცხლეს უშუალო საფრთხე ემუქრება.

შემაჯავებელი — როცა ხდება დანაშაულის ჩამდენი პირის დაკავება, რომელიც შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევს და რომელსაც წაასწრეს განსაკუთრებით საშიში დანაშაულის ჩადენის დროს, როცა სხვა ხერხებითა და საშუალებებით ამ პირთა დაკავება შეუძლებელია.

ასეთია იარაღის გამოყენების შემთხვევათა ამომწურავი ნუსხა. ყველა სხვა შემთხვევაში შინაგანმა ჯარებმა წესრიგი უნდა დაამყარონ იარაღის გამოუყენებლად.

როგორც ვხედავთ, ზემოთ ჩამოთვლილი არც ერთი შემთხვევა 9 აპრილს ქ. თბილისში არ ყოფილა: არც მოქალაქეებს ესხმოდა თავს ვინმე, არც სარეჟიმო და დაცულ ობიექტებზე თავდასხმის განზრახვა ჰქონია ვინმეს, არც მილიციის მუშაკებზე თავდასხმის მოგერიება იყო საჭირო და ბოლოს, არც შეიარაღებული დამნაშავის დაკავების აუცილებლობა ყოფილა.

ამრიგად, დაარღვიეს ზემოთ მითითებული ბრძანებულების ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მუხლი და იარაღი გამოიყენეს ისეთ შემთხვევაში, როდესაც ეს აკრძალულია ამ ბრძანებულებით. ყველაზე აღმაშფოთებელი ის არის, რომ გამოიყენეს ისეთი მომწამვლელი ქიმიური ნივთიერებები („სი-ესი“ ანუ კ-51 და სხვა), რომელთა გამოყენება საერთოდ აკრძალულია იმ შემთხვევებშიც კი, როცა იარაღის გამოყენება დაიშვება კანონით.

სწორედ ამ დარღვევებმა მათი ერთობლიობით განაპირობა ადამიანების დაღუპვა და 4000-ზე მეტი კაცის დაავადება, რომელთა მკურნალობა ძალიან რთულად მიმდინარეობს და ჯერ კიდევ არავინ იცის, რა შედეგებია მოსალოდნელი. სწორედ მკურნალობის სიძნელეებმა განაპირობა წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლობისა და სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერ მედიკოსთა და ტოქსიკოლოგთა მოწვევა საზღვარგარეთიდან.

ამრიგად, სახეზე გვაქვს მოქმედება, რომელიც შეიცავს მკვლელობის ნიშნებს, ჩადენილს განსაკუთრებული სისასტიკით და ისეთი საშუალებებით, რომელიც საშიშროებას უქმნის მრავალ პირთა სიცოცხლეს.

თავის გამოსვლაში ცენტრალური ტელევიზიით ი. როდიონოვმა აღნიშნა, რომ არმიას არ გამოუყენებია ქიმიური იარაღი, რადგან მას არა აქვს ასეთი საშუალება. მისი სიტყვებით, შინაგანი ჯარების ქვეგანაყოფებმა გამოიყენეს გამაღიზიანებელი ცრემლმდენი მოქმედების ქიმიური საშუალებები.

დღეს უკვე საყოველთაოდ ცნობილია, რომ გამოიყენეს არა მარტო ცრემლმდენი ქიმიური საშუალება, არამედ აგრეთვე ისეთი ძლიერი მოქმედი მომწამვლელი ნივთიერება, როგორცაა „სი-ესი“, ანუ კ-51 და სხვა, რომელთა გამოყენება დაუშვებელია საბჭოთა კანონმდებლობით. თუ ი. როდიონოვს დავუჯერებთ, მაშინ ერთადერთი პიროვნება, რომელსაც შეეძლო ამ აკრძალული ქიმიური იარაღის გამოყენების შესახებ ბრძანების გაცემა, ეს არის შინაგანი ჯარების იმ ქვეგანაყოფების მეთაური, რომლებიც გადმოსროლეს თბილისში დემონსტრანტების დასარბევად — გენერალ-მაიორი ფეიშოვი. ამრიგად, ი. როდიონოვის განცხადებიდან გამომდინარე, სწორედ მას უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა ზემოთ დასახელებული დანაშაულისათვის.

15. არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 28 ივლისის ზემოთ დასახელებული ბრძანებუ-

ლების თანახმად „აკრძალულია იარაღის გამოყენება ქალთა და არასრულწლოვანთა მიმართ — მათგან შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევების გარდა“.

სწორედ რომ 20-დან 16 ქალია დაღუპული. დასახიჩრებულთა და მოწამლულთა უმრავლესობა გოგონები არიან.

ასეთ პირობებში პასუხისმგებელი პირების მიერ ფიქციად არის ქცეული ბრძანებულების პირველ მუხლში ჩამოყალიბებული დებულება, რომ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარები „თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტებით, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების საჯარისო წესდებებით, ამ ბრძანებულებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით“.

16. საგანგებოდ უნდა გამოვეყოთ საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომელთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული.

ისევე, როგორც წინა დღეებში, 9 აპრილსაც შესაბამისი ორგანოების დავალებით მთავრობის სასახლის წინ მოედანზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად გამოყვანილი იყვნენ მილიციის თანამშრომლები. დღეს საყოველთაოდ ცნობილია, რომ მათი წინდახედული და თავგანწირული მოქმედების შედეგად დაღუპვას გადაარჩა მრავალი ასეული ადამიანი. უმწეო მდგომარეობაში მყოფი ადამიანების სიცოცხლის გადარჩენაზე ზრუნვისათვის ჯარისკაცებმა და მათმა მეთაურებმა არც ისინი დაზოგეს. ბევრი მათგანი მძიმედ დაშავდა, საავადმყოფოში დააწვინეს და დღესაც განაგრძობენ მკურნალობას.

უპრეცედენტო შემთხვევაა, რომ, თუმცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 28 ივლისის ბრძანებულების მე-6 მუხლის თანახმად შინაგანი ჯარები ვალდებული არიან დახმარება აღმოუჩინონ მილიციის მუშაკებს, როცა მათ თავს ესხმიან, თბილისში 9 აპრილს პირიქით — თვითონ დაესხნენ თავს მილიციის მუშაკებს და დაუზოგავად სცემდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ცდილობდნენ სიკვდილის პირას მიყვანილი ახალგაზრდები როგორმე სასწრაფო დახმარების მანქანებამდე გადაეყვანათ.

ამრიგად, აქ ჩვენ გვაქვს იმ დანაშაულის ნიშნები, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კანონმდებლობით, სახელდობრ, მილიციის მუშაკის სიცოცხლის ხელყოფა მათ მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დროს.

17. იმას, რომ 9 აპრილს გამოყენებული იყო არამართო ორღესული ხელბარები და მომწამვლელი ქიმიური იარაღი, არამედ ცეცხლსასროლი იარაღიც, ნათლად მოწმობს დავით ირაკლის ძე ფაილოძის დაჭრა. იგი გადაურჩა მთავრობის სასახლესთან სიკვდილს, გამოიქცა იქიდან, მაგრამ მძიმედ დაჭრეს თავის არეში ცეცხლსასროლი იარაღით. მან ორივე თვალი დაკარგა და ამჟამად მკურნალობს საავადმყოფოში. აქ საქმე უნდა გვქონდეს მეკვლელობის მცდელობასთან, ამ საქმეს იძიებს სამხედრო პროკურატურა.

არმიის ნაწილებისა და შინაგანი ჯარების აღვირახსნილობა იქამდეც მივიდა, რომ ქუჩაში მოთამაშე ბავშვებსაც დაუწყეს სროლა. 9 აპრილს დაახლოებით 18 საათსა 15 წუთზე, ე. ი. ჯერ კიდევ კომენდატის საათის შემოღებამდე, თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, კინოთეატრ „ბათუმთან“, ახლოს გამვლელმა სამხედრო ნაწილებმა უმიზეზოდ, მხოლოდ თავისი ბოროტი ქვეგანაგრძნობის რეალიზაციის მოტივით, სროლა აუტეხეს ქუჩაში მოთამაშე ბავშვებს, დაჭრეს ფეხში 15 წლის დათო მხატვრიშვილი. ამის დანახვაზე იქვე მყოფი 12 წლის ლევან ჩანადირი შეშინებული მოახტა თავის ველოსიპედს,

რათა იქაურობას გასცლოდა. ამ დროს მას მოხვდა ოფიცრის მიერ ნასროლი ტყვია საჯდომზე და ამჟამად იგი საავადმყოფოშია. თუმცა ბავშვს ინტენსიური სისხლის დენა ჰქონდა, სამხედრო მოსამსახურეებმა ავტომატები მიუშვირეს ხალხს და არ მისცეს ბავშვის აყვანის საშუალება, სანამ კოლონამ არ გაიარა.

მამასადაბმე, ჩადენილია ორი არასრულწლოვანის მკვლელობის მცდელობა, მაშინ, როდესაც საბჭოთა კანონმდებლობით არასრულწლოვანების მიმართ იარაღის გამოყენება საერთოდ დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი იარაღით ესხმიან თავს სხვებს.

18. ერთ-ერთი მძიმე დანაშაული ჩადენილი იქნა 1989 წლის 17 აპრილს სამხედრო ექსპერტების მიერ თეატრალური ინსტიტუტის შემოწმებისას. თეატრალური ინსტიტუტი შესაბამისმა სამხედრო სპეციალისტებმა იმიტომ შეამოწმეს, რომ იქ მოიწამლნენ სტუდენტობა და თანამშრომლები. შენობა გამოიკვლიეს ამიერკავკასიის ქიმიური ჯარების უფროსმა, გენერალ-მაიორმა ა. ნ. ბურკოვმა, მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების უფროსის თანაშემწემ ლეიტენანტმა ა. ი. ლიგინმა, ტოქსიკოლოგიისა და რადიოლოგიის განყოფილების გამგემ, სამედიცინო სამსახურის მაიორმა ვ. გ. სადიუკმა, რომლებიც გაფრთხილებულნი იყვნენ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 124¹-ე მუხლით.

ექსპერტიზის ჩატარებაში მონაწილეობდნენ ამიერკავკასიის სამხედრო პროკურორის მოადგილე, პოლკოვნიკი ი. ა. კლიმოვი და ამავე სამხედრო პროკურატურის საგამოძიებო განყოფილების პროკურორი, მაიორი ვ. ვ. ვერციუხი.

ზემოთ ჩამოთვლილმა სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ შენობაში არ არის არც „სი-არ“-ის, „სი-ეს“-ისა და არც ქლოროცეტოფენონადამეიტის ან რაიმე სხვა ქიმიური მომწამვლელი გაზები.

მათი დასკვნა შედგენილია 1989 წლის 17 აპრილს. ამის შემდეგ თეატრალურ ინსტიტუტში მოიწამლა ათობით სტუდენტი და თანამშრომელი. იმიტომ აუცილებელი შეიქმნა ახალი განმეორებითი გამოკვლევა, რომელიც მიენდო საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ლაბორატორიას. ამ ლაბორატორიამ 1989 წლის 22 აპრილს, აღმოაჩინა, რომ შენობაში არის ისეთი ქიმიური ნივთიერებანი, როგორცაა ქლოროცელიფენონი და ბრომბენზინციანიდი. თეატრალურ ინსტიტუტში შეწყდა სწავლა და დაიწყო მომწამვლელი გაზებისაგან მისი გაწმენდის სამუშაოები.

ამრიგად, საქმე გვაქვს სამხედრო სპეციალისტების მხრივ შეგნებულად ყალბი დასკვნის მოცემასთან, რასაც შედეგად მოჰყვა მრავალი ადამიანის ჯანმრთელობის მოშლა, იურიდიულ ენაზე ეს იმას ნიშნავს, რომ მათი მოქმედება შეიცავს იმ დანაშაულის ნიშნებს, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე (პ. 5) და 197-ე მუხლებით.

არმიისა და შინაგანი ჯარების ქვეგანყოფილების მხრივ არის ბევრი სხვა ისეთი მოქმედება, რომლებიც შეიცავენ იმ სხვადასხვა დანაშაულის ნიშნებს, რომლებსაც ავლენს და იკვლევს საგამოძიებო ქვეკომისია.

19. ის, რაც ქ. თბილისში მოხდა 9 აპრილს, უბრეცედენტოა არა მარტო ჩვენი ქვეყნისათვის, არამედ, ალბათ, მთელი მსოფლიოს მასშტაბითაც: ჩვენთვის უცნობია მეორე ისეთი შემთხვევა, როდესაც მომწამვლელი ქიმიური ნივთიერება გამოეყენებინოს სახელმწიფოს თავისი მოქალაქეების წინააღმდეგ, ჯოლო მიტინგისა თუ დემონსტრაციის დაშლის შემდეგ დაეფაროს სამკურნალო

დაწესებულებებისათვის, თუ რა ქიმიური ნივთიერება იყო გამოყენებული და როგორია მოწამლულთა მკურნალობის მეთოდოლოგია და საშუალებები.

20. ომების ისტორიაშიც კი იშვიათია ისეთი შემთხვევები, როდესაც გარშემორტყმულ მტერს არ სთავაზობენ იარაღის დაყრას და დაწებებას, რისთვისაც მას აძლევენ მოსაფიქრებლად გარკვეულ დროს. ეს ომების წარმოების დაუწყებელი კანონია.

საუბედუროდ და სრულიად გაუგებარი მიზეზების გამო, არაფერი ამის მსგავსი 9 აპრილს არ მომხდარა. ალყაში მოაქციეს მიტინგის მონაწილეები და მოშიმშილეები და ისე შეუდგნენ ხოცვა-ჟლეტას და ქიმიური ნივთიერებებით მათ მოწამვლას, რომ არავითარი გაფრთხილება ან ოფიციალური განცხადება მიტინგის მონაწილეებისათვის და მოშიმშილეებისათვის არ მიუტიათ.

ყოველივე ამას ისიც ემატება, რომ საბჭოთა არმიისა და შინაგანი ჯარების წარმომადგენლები კატეგორიულად უარყოფდნენ რაიმე ქიმიური იარაღის გამოყენების ფაქტს, თუმცა მრავალი ასეთი ადამიანი უცნობი ქიმიური ნივთიერებით მოწამვლის გამო საავადმყოფოებში დააწვინეს. მეტად დამახასიათებელია ამ მხრივ ამიერკავკასიის ჯარების სარდლის, 9 აპრილს ჩატარებული ოპერაციის მეთაურის ი. ნ. როდიონოვის გამოსვლა ცენტრალური ტელევიზიით 1989 წლის 29 აპრილს. 9 აპრილის ტრაგედიიდან 20 დღის გასვლის შემდეგ, მან როგორც იქნა, აღიარა, რომ გამოყენებული იყო ცრემლმდენი ქიმიური საშუალება, მაგრამ საზოგადოებას დაუშალა და არაფერი თქვა იმის შესახებ, რომ გამოიყენეს ე. წ. „სი-ესი“ ანუ კ-51 მომწამვლელი, ადამიანის სიცოცხლისათვის საშიში და აკრძალული ქიმიური ნივთიერება, აგრეთვე სხვა ამგვარი ქიმიური ნივთიერება, რომლის გამოვლენა და დადგენა ჯერ კიდევ გრძელდება.

ყველა ეს ფაქტობრივი მონაცემი სრულ საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ შინაგანი ჯარებისა და საბჭოთა არმიის ქვედანაყოფებისა და ჯარისკაცების მიზანს არ წარმოადგენდა მიტინგის დაშლა და მოშიმშილეების გაყვანა: მათ რომ ასეთი მიზანი ჰქონოდათ, მოქმედების გეგმაც სხვანაირი ექნებოდათ.

ყველაფრიდან აშკარად ჩანს, რომ მიზანი იყო არა მომიტინგეთა და მოშიმშილეთა დაშლა, არამედ მათი დასჯა. ამაზე სავსებით სარწმუნოდ და უტყუარად მეტყველებს ის გარემოებაც, რომ მომიტინგეებს არ აძლევდნენ გაქცევის საშუალებას, ხოლო მილიციის მუშაკებს, ექიმებსა და სანიტრებს დაუზოგავად ურტყამდნენ ხელკეტებს და ნიჩბებს მხოლოდ იმისათვის, რომ ცდილობდნენ დახმარება აღმოეჩინათ უმწეო მდგომარეობაში მყოფი ადამიანებისათვის.

IV.

9 აპრილის ტრაგედიის სოციალურ-პოლიტიკური შეფასება

იმ მოვლენებს შორის, რომლებიც სერიოზულად ამუხრუჭებენ გარდაქმნასა და დემოკრატიზაციას, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს 9 აპრილის ტრაგედიას, რომლის თაობაზეც, მისი პოლიტიკური შეფასების მხრივ, საფუძველი გვეძლევა გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

21. თვითნებობისა და აღვირახსნილობის გამოვლინებებს თანამდებობის პირთა მხრივ, რასაც ფართო გასაქანი ჰქონდა ტოტალიტარიზმისა და ერთპი-

როვნული ძალაუფლების პირობებში, ადგილი აქვს დღესაც. ისინი სულაც არ გრძნობენ თავს შემოჭრილად სამართლებრივი და სხვა სოციალური ნორმებით. ისინი არ თვლიან თავისთვის სავალდებულოდ კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნებს და ამა თუ იმ მოვლენას თავიანთი ვოლუნტარისტული შეხედულებებით მართავენ. ისე, რომ სრულიად არ აინტერესებთ და არც სწავლობენ ამ მოვლენის არსს, მის მიზეზებს.

კაცობრიობის განვითარების და, კერძოდ, სსრ კავშირის ისტორია კი გვასწავლის, რომ უბედურება იწყება იქ, სადაც სამართლიანობის პრინციპები არ მუშაობენ, სადაც საზოგადოებრივი ურთიერთობები ვითარდება არა სამართლით განსაზღვრული მიმართულებებით, არამედ თვითნებობით.

22. ჯერ კიდევ ძლიერადაა გამჭდარი აზროვნების სტალინური ჩვევა, როცა ანტისაბჭოური მოწოდება ან სიტყვა უფრო დიდ დანაშაულად ითვლება, ვიდრე პიროვნების წინააღმდეგ მიმართული ყოველგვარი დანაშაული. არსებული რეჟიმის ნებისმიერ ფასად შენარჩუნების იდეოლოგია ფაქტობრივად უგულვებელყოფს კონსტიტუციით დამკვიდრებულ დებულებას იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი თავისუფალ რესპუბლიკათა ნებაყოფლობითი კავშირია. ასეთი იდეოლოგიის მიმდევარნი უმძიმეს სახელმწიფოებრივ დანაშაულად თვლიან იმ აზრსაც კი, რომ რომელიმე მოკავშირე რესპუბლიკამ გამოიყენოს კონსტიტუციის სათანადო მუხლი და გავიდეს სსრ კავშირის ფარგლებიდან. ისინი თვლიან, რომ მოქალაქე შეიძლება სიკვდილით დაისაჯოს ამგვარი აზრის გამოთქმისათვის, ხოლო თუ ასეთ აზრს მასა გამოთქვამს — მიმართოს მასობრივ ხოცვა-ჟლეტას, რაც კიდევ განხორციელდა თბილისში.

სწორედ ეს არის 9 აპრილის დანაშაულის მთავარი მოტივი.

23. რაც შეეხება საკუთრივ საქართველოს ხელმძღვანელების პოზიციას, აქ აზროვნების წესის ზემოხსენებულ ხარვეზთან ერთად, როგორც ჩანს, მოქმედებდა შემდეგი ორი ფაქტორიც: ჯერ ერთი — ეროვნული მოძრაობის აღმავლობა პრინციპულად მოიცავდა და მოიცავს სოციალური ლოზუნგების შესაძლებლობასაც; კერძოდ, დაპირისპირებას ასე ფართოდ გავრცელებულ მექრთამეობასთან და სხვა სახის კორუფციასთან, რომელიც დღეს ნამდვილად ახრჩობს ქართველ ხალხს. ეროვნული მოძრაობის ასეთ ბარბაროსულ ჩახშობას, კორუფციურებულ ელემენტთა აზრით, თან მოჰყვებოდა სოციალური სამართლიანობისათვის ბრძოლის ჩახშობაც და, მაშასადამე, უშრომელი შემოსავლის მიღებისათვის ყოველგვარი პირობების შენარჩუნება; მეორე — ეს არის შიში, რომელიც კორუფციურებული ელემენტის მუდმივი თანამგზავრია. იგი მუდამ იმის განცდაშია, რომ შეიძლება ამხილონ და დასაჯონ. ეს აიძულებს არა მარტო კანონიერი, არამედ უკანონო სურვილებიც კი შეუსრულოს ყველას, ვისზედაც მისი ბედი ფაქტობრივად არის დამოკიდებული. ცხადია, რომ ამ მიზეზებით იგი მოკლებულია უნარს, დაიცვას საქართველოს ინტერესები ზემდგომი ინსტანციების წინაშე.

ძირითადად ამ ორი ფაქტორით უნდა აიხსნას საქართველოს ხელმძღვანელების მიერ ქართველი ერის მიმართ ჩადენილი დანაშაული, რომელიც კონკრეტულად იმით გამოიხატება, რომ მშვიდობიანი მიტინგის დასარბევად გარეშე ძალები მოიწვიეს. საქართველოს ხელმძღვანელების ეს ნაბიჯი განხორციელდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სახელზე მიმართვის გავზავნით, რომლითაც ითხოვდნენ სამხედრო ძალით დახმარებას. მართალია, ამ მიმართვას არ ჰქონდა იურიდიული ძალა, რამდენადაც არმიის გამოყენება სკკპ ცენტრალური კო-

მიტეტის უფლებებში არ შედის, მაგრამ ეს ვერ გააბათილებს საქართველოს ხელმძღვანელების დანაშაულს.

24. დემოკრატია, აზრის თავისუფალი და გაბედული გამოთქმა, ერთდერთი გზა იმისათვის, რომ წინ აღვუდგეთ ყველაფერს, რასაც შეუძლია ზიანი მოუტანოს ჩვენს ხალხს.

ამიტომ, ყოველგვარი დემოკრატიული მოძრაობა, მათ შორის დემონსტრაციები და მიტინგები, კი არ უნდა ჩავახშოთ, არამედ ყოველნაირად უნდა განვავითაროთ, მივცეთ მათ მიზნობრივი მიმართულება, გამოვიყენოთ იმის ამოსაძირკვად, რაც ხელს უშლის ჩვენს წინსვლასა და განვითარებას.

ამიტომ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მიტინგებისა და დემონსტრაციების ჩატარების წესების დახვეწას. ეს წესები კიდევ ერთხელ უნდა განვიხილოთ საჯაროდ და სრულფასოვანად, ხოლო ამის შემდეგ განუხრებლად დავიცვათ. მიტინგებისა და დემონსტრაციების დადგენილი წესით ჩატარება, როგორც ეს მსოფლიოს ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში ხდება, არის იმის ერთ-ერთი საწინდარი, რომ ხალხის მოთხოვნები უფრო ეფექტიანად განხორციელდეს.

25. სრულყოფას მოითხოვს ერთაშორისი ურთიერთობა. ჩვენ ძალიან ხშირად ვლაპარაკობთ სტალინურ ტირანიაზე, მის მიერ ჩამოყალიბებულ ტოტალიტარიზმზე, მაგრამ ძალიან იშვიათად ვასწორებთ იმ დამახინჯებებს, რომლებიც მან დაუშვა — სტალინმა ხომ ფაქტობრივად გააუქმა ფედერაციის პრინციპები და მის ნაცვლად უნიტარული სახელმწიფო ჩამოაყალიბა.

ამიტომ, ბუნებრივია, უნდა დაისვას საკითხი, რომ გაუქმდეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების შექმნის შესახებ 1922 წელს დადებული ხელშეკრულება. თითქმის 70 წლის წინათ დადებული ეს ხელშეკრულება ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. რესპუბლიკებს თვითონ უნდა შეეძლოთ დამოუკიდებლად შეიმუშაონ თავიანთი ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული, ეკოლოგიური პოლიტიკა და თვითონ დასახონ მისი განხორციელების გზები.

თენგიზ ლილუაშვილი,

საგამოძიებო ქვეკომისიის თავმჯდომარე, იურიდიულ
 მეცნიერებათა დოქტორი.

წინასწარი დასკვნა განიხილა და დაამტკიცა საქართველოს ხსრ უმაღლესი
 საბჭოს ქალაქ თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი აშბების გარემოებათა
 გამომკვლევმა კომისიამ 1989 წლის 2 ივნისს (ოქმი № 8).



საქართველოს სახელმწიფოებრივობის აღდგენის სამართლებრივი ასაქტები *

იაკობ შუტპარაძე,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის
სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის სახელმწიფო და საერთაშორისო
სამართლის განყოფილების გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ საზოგადოებრიობის წინადადებების გათვალისწინებით მიმდინარე წლის 27 აპრილს გადაწყვიტა, რომ 26 მაისი აღინიშნოს, როგორც საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღე.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება 1918 წლის 26 მაისს და დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა, მისი ხანმოკლე არსებობის მიუხედავად, დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ქართული სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. იგი მოასწავებდა საქართველოს აღორძინებას, ქართველთა ეროვნული თვითშეგნების განვითარებასა და განმტკიცებას ახალი ეპოქის შესაფერისი პოლიტიკური წესწყობილების ნიადაგზე. ამიტომ 26 მაისის გამოცხადება საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღედ და მისი საზეიმოდ აღნიშვნა ყოველმხრივ გამართლებული და მისასალმებელია. ამ თარიღის ოფიციალური აღიარება ისტორიულ აუცილებლობას წარმოადგენდა.

ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა განხორციელდა ისეთ პირობებში, როცა საქართველოს მიწა-წყალი და მოსახლეობა საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში იმყოფებოდა. ასეთ ვითარებაში ახალი სახელმწიფოს შექმნისას წამოიჭრება როგორც შიდასახელმწიფოებრივი, ისე საერთაშორისო-სამართლებრივი საკითხები. ჩვენს შემთხვევაში ეს ორი სფერო მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული და ამის გამო ჩვეულებრივ ერთობლივად განიხილება.

ძირითად საკითხებზე მსჯელობის დაწყებამდე მიზანშეწონილი იქნება ერთი ისეთი გარემოების აღნიშვნა, რომელიც განსახილველი თემის საერთო ფონის შესაქმნელად გამოდგება. ესაა ფრიად საგულისხმო კანონზომიერება — საქართველოს სახელმწიფოს წყვეტილად განვითარების ტენდენცია, მისი მოშლა და აღდგენა დიდი სოციალური ძვრების კვალობაზე.

საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების ცვლილებები, სოციალური კატაკლიზმები საბედისწერო იყო ხოლმე ქართული სახელმწიფოებრიობისათვის. ფარნავაზიანთა დინასტიის ეპოქის ქართული სახელმწიფოებრიობა იმდროინდელმა სოციალურ-ეკონომიკურმა წყობილებამ წარიტანა და ქართლში მეფობა გაუქმდა. სახელმწიფოებრიობა აღადგინეს ქართველმა ბაგრა-

* მიმდინარე წლის 23 მაისს წაკითხული მოხსენება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს საისტორიო საზოგადოების სამეცნიერო სესიაზე, რომელიც მიემდინარეობდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასა და ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის 1918 წლის 26 მაისს.

ტიონებმა ახალი ფორმაციის — ფეოდალიზმის აღმავლობის ხანაში. ფეოდალიზმის რეგრესსა და დაჩიხულობას შედეგად მოჰყვა ბაგრატიონთა დინასტიის მოშლა და ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმება. ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობას ორივეჯერ უცხო, გარეშე ძალამ დაუსვა წერტილი. პირველ შემთხვევაში ესენი იყვნენ სპარსელები, მეორეჯერ კი — რუსეთის თვითმპყრობელობა. კოლონიურ ვითარებაში ჩამქრალი ეროვნული სახელმწიფოებრიობა მაშინვე აღდგა, როგორც კი ქართველ ხალხს 1918 წელს ამის შესაძლებლობა მიეცა. მაგრამ მძაფრმა სოციალურმა მოვლენებმა, საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გავრცელების პროცესმა კვლავ კინადამ გადაიყოლა სიმწრით აღდგენილი ქართული სახელმწიფო — ეროვნული კულტურის ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი. კაცმა რომ თქვას, მისი ბედი ბეწვზე ეკიდა: რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი ქართველი ბოლშევიკები ხომ იმ პერიოდში თავგამოდებით იბრძოდნენ ეროვნული სახელმწიფოებრიობის მოსაბოძისათვის და მოითხოვდნენ საქართველოს ძველებურად შესვლას რუსეთის შემადგენლობაში!

დღესაც ქართული სახელმწიფოებრიობის განახლების, საქართველოს ნამდვილად სუვერენული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პრობლემა დიდ სოციალურ ცვლილებებს — საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიზაციას და გარდაქმნას დაუკავშირდა. სწორედ ამ პროცესმა დააყენა დღის წესრიგში საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ახლებურად გააზრებისა და ობიექტურად შეფასების პრობლემა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას წინ უძღოდა რამდენიმე წინასწარი აქცია. მათი გათვალისწინებისა და სამართლებრივი შეფასების გარეშე უმართებულო იქნებოდა 1918 წლის 26 მაისის აქტზე მსჯელობა.

საქმე შეეხება რუსეთიდან საქართველოს გამოყოფის მომენტის განსაზღვრას.

თვითმპყრობელობის დამხობისა და ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ საქართველოს სახელმწიფო-სამართლებრივი განვითარება რუსეთისაგან თანდათანობითი ჩამოცილების გზით წარიმართა.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას საქართველოს სამართლებრივი მდგომარეობა რუსეთთან მიმართების თვალსაზრისით არსებითად არ შეუცვლია. ამ პერიოდში პოლიტიკური გაგებით სახელი „საქართველო“ კვლავ უგულვებელყოფილია. ქართული მიწა-წყალი ისევ რუსეთის ჩვეულებრივ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებშია გათქვეფილი. ოღონდ ახლა იგი რუსეთის დროებითი მთავრობის ადგილობრივი ორგანოს — ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის გამგებლობას დაექვემდებარა. კვლავაც გრძელდება საქართველოს ის უუფლებო პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც მას განესაზღვრა XIX საუკუნის დამდეგიდან — იმის შემდეგ, რაც ცარიზმმა მოხერხებულად ისარგებლა ქართლ-კახეთის სამეფოს უაღრესად მძიმე საშინაო და საგარეო მდგომარეობით, გააუქმა ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობა და ქვეყანა რუსეთს შეუერთა.

რუსეთთან საქართველოს ამგვარი დამოკიდებულება 1917 წლის ნოემბერში შეიცვალა. ურთიერთობის მკვეთრი ცვლილება განაპირობა იმან, რომ ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ თბილისში 1917 წლის 15 (28)

ნოემბერს ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი სამხარეო ხელისუფლება — ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელიც არ ცნობდა საბჭოთა რუსეთის მთავრობას — ბოლშევიკურ სახალხო კომისართა საბჭოს. ეს აქტი მოასწავებდა რუსეთის შემადგენლობიდან საქართველოს ფაქტობრივ გამოყოფას და ამიერკავკასიის სახელმწიფოებრივ წარმონაქმნში გაერთიანებას. ასეთი სახელმწიფო-სამართლებრივი სტატუსი განამტკიცა ხსენებული კომისარიატის მიერ მოწვეულმა სამხარეო სეიმმა, რომლის გადაწყვეტილებითაც 1918 წლის 9 (22) აპრილს შეიქმნა ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკა.

ყურადღებას იქცევს ამიერკავკასიის ამ ფედერაციული რესპუბლიკის იურიდიული ბუნების საკითხი. იგი ჩვენთვის ამჟამად საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის პრობლემას უკავშირდება. ეს სახელმწიფოებრივი გაერთიანება იურიდიული თვალსაზრისით მეტად თავისებური და რამდენადმე უცნაურიც კი იყო. საქმე ისაა, რომ ფედერაცია სახელმწიფოების, სახელმწიფოებრივი ერთეულების გაერთიანებაა. ამიერკავკასიაში კი ამ დროს ჯერ კიდევ არ არსებობდა ეროვნული სახელმწიფოები. ზურაბ ავალიშვილის სიტყვით, ამიერკავკასია სამი ერის ფედერაციად უფრო ადრე გამოაცხადეს, ვიდრე ცალკეული ნაწილები ორგანიზაციულად მოეწყობოდა¹. ასე რომ, ამიერკავკასიის ამ სახელმწიფოს მხოლოდ პირობითად თუ შეიძლება ეწოდოს ფედერაცია. არსებითად იგი სახელმწიფოების კი არა, არამედ მარტოოდენ ერების შეკავშირებას — ამიერკავკასიის სამი ძირითადი ერის სახელმწიფოებრივ გაერთიანებას წარმოადგენდა. იგი იყო გარდამავალი საფეხური რუსეთისაგან საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის გამოყოფისა და შესაბამისი ეროვნული სახელმწიფოების აღდგენის გზაზე.

ამგვარად, ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ უმაღლეს დიდი ორი მკვეთრი ნაბიჯი რუსეთისაგან მთელი ამიერკავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს როგორც ფაქტობრივი, ისე იურიდიული გამოყოფის მიმართულებით. სწორედ ამ წინასწარმა ნაბიჯებმა შეამზადეს ნიადაგი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოსაცხადებლად, რაც ამიერკავკასიის ზემოაღნიშნული ხელოვნური ფედერაციული რესპუბლიკის ოცდათხუთმეტდღიანი არსებობის დასასრულის დღესვე — 1918 წლის 26 მაისს განხორციელდა.

ამიერკავკასიის იმდროინდელი ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა იმპერიული მართვა-გამგეობის, ძველი სამეფისნაცვლოს გამოძახილს წარმოადგენდა. იგი იმ პერიოდის ანარქიული იყო, როცა ამიერკავკასია საქართველოდ, სომხეთად და აზერბაიჯანად კი არა, არამედ ერთ მთლიან გეოგრაფიულ-ადმინისტრაციულ ერთეულად აღიქმებოდა. იმ პერიოდისათვის ჯერ კიდევ არაა გააზრებული ამიერკავკასიაში საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბება.

ეროვნული თვალსაზრისით ამიერკავკასიის სახელმწიფოს შექმნა არაფერ არსებითს არ განსაზღვრავდა, მაგრამ მაშინ სხვა გზა არც არსებობდა. ეს იყო უეცარი, აუცილებელი ნაბიჯი, რომლის გადადგმაც საერთაშორისო ფაქტორმა — ოსმალეთთან ურთიერთობამ განსაზღვრა. ოსმალეთის აგრესიის შესაჩერებლად დაუყოვნებლივ უნდა დაწყებულიყო მასთან დამოუკი-

¹ ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა, ტფ., 1929, გვ. 55.

დებელი ამიერკავკასიის მოლაპარაკება. სწორედ აქ, ამ მომენტში გამოიკვეთა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პრობლემა. მოლაპარაკების პროცესში გამოჩნდა ამიერკავკასიის შიგნით ინტერესების სხვადასხვაობა. ცხადი გახდა, რომ საქართველოს მიწა-წყლის მთლიანობა, მისი სასიცოცხლო ინტერესები ისე ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი, თუკი იგი თვითონ არ იქცეოდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტად. მას უშუალოდ უნდა გაემართა მოლაპარაკება ოსმალეთთან. ამისთვის კი აუცილებელი იყო დამოუკიდებლობის გამოცხადება და საკუთარი სახელმწიფოს შექმნა. ამის შესაბამისად საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს უნდა გადაესინჯათ თავიანთი ეროვნული პროგრამა, უარი უნდა ეთქვათ რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს ყოფნის იდეაზე. ასე გადაეჩაქვა ერთმანეთს წმინდა სახელმწიფო-სამართლებრივი და პოლიტიკური აზროვნების სფეროები. საქმე ისე წარიმართა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და ეროვნული სახელმწიფოს შექმნა არსებითად საერთაშორისო-სამართლებრივმა ვითარებამ განაპირობა.

განსახილველ მოვლენათა უშუალო მონაწილე და ერთ-ერთი წარმართველი ზ. ავალიშვილი მიუთითებდა, რომ მხოლოდ ბოლშევიკურმა გადატრიალებამ და მსოფლიო ომის პოლიტიკურმა კონიუნქტურამ ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შემდეგ გახადა შესაძლებელი საქართველოს საკითხის საერთაშორისო სამართლის ნიადაგზე ბევრისათვის მოულოდნელი გადაწყვეტა და სრული დამოუკიდებლობის გამოცხადება (დასახ. ნაშრ., გვ. 9-10).

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით შეიძლება წამოიჭრას ასეთი საკითხები — ჰქონდა თუ არა საქართველოს რუსეთისაგან გამოყოფის უფლება? რამდენად მართლზომიერია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა? როგორ მიმართებაშია 1918 წლის 26 მაისის აქტი 1783 წლის ხელშეკრულებასთან, ე. წ. გეორგიევსკის ტრაქტატთან², რომელიც აწესებდა საქართველოს „საუკუნოდ“ ყოფნას რუსეთის მფარველობაში?

აქ, უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ტრაქტატი ითვალისწინებდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებას და რუსეთის მხრივ მისი არსებობის უზრუნველყოფას. ტრაქტატის მიხედვით საქართველო არ წარმოადგენდა რუსეთის შემადგენელ ნაწილს. მას შენარჩუნებული ჰქონდა დამოუკიდებელი შინაგანი მმართველობა და შეზღუდული საერთაშორისო სამართალსუბიექტობა. ტრაქტატის დამდები მხარეები აღიარებდნენ, რომ „უკეთეს განხილულ იქმნეს რაიმე საჭიროდ შეცუალებად... აქუს მას ადგილი ორთავე კერძოთა თანხმობისა“ (1783 წლის ტრაქტატი, მუხ. 12). მაშასადამე, ამ ხელშეკრულების, მისი პირობების შეცვლა მხოლოდ და მხოლოდ ორივე მხარის, ე. ი. რუსეთისა და საქართველოს ურთიერთშეთანხმებით შეიძლებოდა.

ასეთი იყო 1783 წლის საერთაშორისო ხელშეკრულების უცილობელი პირობები. მაგრამ საქმე ისე წარიმართა, რომ რუსეთის მხარემ მიუტევებლად, უხეშად დაარღვია ხელშეკრულება, თვითნებურად, ცალმხრივად შეცვალა

² 1783 წლის ტრაქტატის იურიდიული ბუნების, საქართველოს სამეფოს გაუქმების საერთაშორისო-სამართლებრივი და პოლიტიკური შედეგების შესახებ იხ. ლ. ალექსიძის ნაშრომი „საქართველო-რუსეთის საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობა XV-XVII საუკუნეებში“, თბ., 1983.

მისი პირობები და ქვეყნის სრული ანექსია მოახდინა. მან ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობა არ იკმარა და უკიდევანო იმპერიის შემადგენლობაში ისედაც პატარა საქართველოს ერთიანი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის სახით არსებობაც კი არ არგუნა.

აქედან გამომდინარე, საქართველოს სრული უფლება ჰქონდა უარი ეთქვა საერთოდ ტრაქტატზე და მის ყველა პირობაზე, უარეყო ნაძალადევი, თავსმოხვეული სახელმწიფო-სამართლებრივი კავშირი რუსეთთან და დაბრუნებოდა ხელშეკრულებამდელ მდგომარეობას, ე. ი. ხელახლა შეექმნა თავისი ეროვნული სახელმწიფოებრიობა. იგი ასეც მოიქცა, როცა „ხალხთა საპყრობილედ“ წოდებული იმპერიის რევოლუციური დამხობის შედეგად სამართლიანობის აღდგენის რეალური შესაძლებლობა შეიქმნა.

ტრაქტატის დარღვევის ფაქტი და მისგან გამომდინარე სამართლებრივი შედეგები, ეტყობა, დიპლომატიური მოსაზრებებით, არაა ფიქსირებული საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტში. ამ დამფუძნებელი დოკუმენტის მიხედვით დამოუკიდებლობა ცხადდება შემდეგი გარემოების გამო: „მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრისაგან შევიწროვებული საქართველო თავის ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა“; „რუსის ჯარმა“ კი „დაუტევა ამიერკავკასია“, საქართველო დარჩა „თავისი ძალდონის ამარად“ და ამიტომ იძულებულია „საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას“. ასეთი რბილი რედაქცია ალბათ შერჩეული იყო იმ მიზნით, რომ თავიდან აეცილებინათ საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობის მოსალოდნელი გამწვავება.

რას ნიშნავს, როგორ უნდა გავიგოთ ზემომოყვანილი ამოსავალი დებულება, რომ „მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს... საქართველო თავის ნებით შეუერთდა რუსეთს“. აქ ლაპარაკია XVIII საუკუნის დამლევზე და, ცხადია, არ ივარაუდება 1801 წლის ნაძალადევი აქტი — ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმება და საქართველოს რუსეთთან შეერთება, რაც ნებაყოფლობით მოვლენად ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება. მაშასადამე, იგულისხმება 1783 წლის ხელშეკრულება. მაგრამ ეს ხომ სინამდვილეს არ შეესაბამება: 1783 წლის ტრაქტატის დადება, დოკუმენტისეული განცხადების საწინააღმდეგოდ, არ ნიშნავდა საქართველოს რუსეთთან შეერთებას. ამიტომ, ვფიქრობთ, მართებულად ვერ ჩაითვლება საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტის ის დებულება, რომ XVIII საუკუნის დასასრულს საქართველო რუსეთს თავისი ნებით შეუერთდა.

რუსეთის საბჭოთა მთავრობამ 1917 წელსვე გამოაცხადა და საკანონმდებლო წესითაც განამტკიცა თვითგამორკვევის პრინციპი და ეროვნული სახელმწიფოს შექმნის უფლება. ეს გარემოება, ცხადია, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და შემდგომი განმტკიცების მნიშვნელოვან სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ამ კეთილშობილური პრინციპის პრაქტიკულ განხორციელებასთან შერიგება რუსეთის ახალი მთავრობის მხრივ არც ისე იოლი იყო, მეტადრე მაშინ, როდესაც საქმე შეეხებოდა საბჭოთა ხელისუფლების უარყოფელი, ბურჟუაზიული წეს-წყობილების გზაზე დამდგარი თუ მისკენ მიდრეკილი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღიარებას. ნათქვამის დასადასტურებლად ფინეთის მაგალითს უნდა მივმართოთ. ფინეთის საკითხს ამჟამად ჩვენთვის სა-

ინტერესო კუთხით ვ. ი. ლენინი შეეხო რკპ (ბ) VIII ყრილობაზე 1919 წლის 19 მარტს მოხსენებაში პარტიული პროგრამის შესახებ. აქ ლენინმა გაიხსენა 1917 წლის 18 (31) დეკემბრის ამბავი, როცა მან სმოლნში ფინეთის ბურჟუაზიული მთავრობის მეთაურს პ. სვინხუვუდს გადასცა საბჭოთა მთავრობის სიგელი ფინეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ. მოხსენებიდან აშკარად ჩანს, რომ ლენინი არც სვინხუვუდის პიროვნების მიმართ ყოფილა სიმპათიურად განწყობილი და არც ფინეთის გამოყოფის ფაქტს გაუხარებია. ფინეთის ბურჟუაზიის წარმომადგენელს სვინხუვუდს, მისი გვარსახელის რუსული თარგმანის მიხედვით, ლენინი „ლორის-თავას“ უწოდებს. „ის მე თავაზიანად მართმევდა ხელს, — ამბობდა ლენინი, — ჩვენ კომპლიმენტებს ვეუბნებოდით ერთმანეთს. რა ცუდი იყო ეს! მაგრამ ასე უნდა მოვქცეულიყავით, რადგან მაშინ ეს ბურჟუაზია ატყუებდა ხალხს, ატყუებდა მშრომელ მასებს იმით, რომ მოსკალებს, შოვინისტებს, ველიკორუსებს სურთ ფინელების წახრჩობაო. ასე უნდა მოვქცეულიყავით“³.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე საბჭოთა რუსეთმა 1917 წლის 4 (17) დეკემბერს ცნო უკრაინის, ხოლო იმავე წლის 18 (31) დეკემბერს — ფინეთის დამოუკიდებლობა. შემდეგ კი, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის მომდევნო პერიოდში, რუსეთმა 1918 წლის 7 (20) დეკემბერს ცნო ესტონეთის, იმავე წლის 22 დეკემბერს — ლატვიისა და ლიტვის, 1919 წლის 4 თებერვალს — ბელორუსიის სსრ-ისა და 1920 წლის 5 მაისს — აზერბაიჯანის სსრ-ის დამოუკიდებლობა.

საქართველოზე ჯერი მიდგა 1920 წლის 7 მაისს. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და რსფსრ-ს შორის დაიდო სამშვიდობო ხელშეკრულება, რომელიც მნიშვნელოვანი საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტია. ხელშეკრულების მიხედვით, რუსეთმა უარი თქვა ყოველგვარ წინანდელ უფლებაზე ქართული მიწა-წყლის მიმართ, უსიტყვოდ, უდათქმოდ ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და ვალდებულება იკისრა არ ჩარეულიყო მის საშინაო საქმეებში.

ამგვარად, საქართველოსა და რუსეთს შორის ახლა უკვე იურიდიულადაც საბოლოოდ მოიშალა, გაუქმდა ძველი სახელმწიფო-სამართლებრივი ურთიერთობა. 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით საფუძველი ჩაეყარა ორი ქვეყნის ახალ ურთიერთობას საერთაშორისო-სამართლებრივ საწყისებზე.

სამწუხაროდ, საქართველოსა და რუსეთის ასეთი ურთიერთობა მეტად ხანმოკლე გამოდგა. რუსეთის მხრიდან კვლავ უხეშად დაირღვა საქართველოსთან დადებული ხელშეკრულება. მე-11 არმიის ნაწილები შემოიჭრნენ საქართველოში და 1921 წლის თებერვალში სწორედ ამ სამხედრო ძალის გამოყენებით დაემხო 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებული დემოკრატიული რესპუბლიკა. რკპ (ბ) ცეკამ რამდენიმეჯერ განიხილა და ლენინის მოთხოვნით უარყო პარტიის კავკასიის ბიუროს, ს. ორჯონიკიძის წინადადება საქართველოს საქმეებში შეიარაღებული ჩარევის შესახებ, მაგრამ ბოლოსდაბოლოს მაინც თანხმობა განაცხადა: 1921 წლის 14 და 15 თებერვალს ცეკას პოლიტბიურომ დაამტკიცა რუსეთის მე-11 არმიის სამხედრო-რევოლუციური საბჭოსადმი მიმართული ორი ლენინისეული დეკრეტი, რომლებითაც სარდლობას ნება დაერთო აქტიურად დაეჭირა მხარი ვითომდა საქართველოში დაწყებული „აჯანყებისათვის“ და ე. წ. ნეიტრალური ზონის (სომხეთ-საქართველოს საზ-

ღვარზე მდებარე სოფელ ლორეს) უშიშროების უზრუნველსაყოფად (!) დაეკავებინა, აელო თბილისი „საერთაშორისო ნორმების დაცვით“. ფაქტობრივად ეს ნიშნავდა პირდაპირი აგრესიის სანქციონირებას, სამხედრო ოკუპაციასა და საბჭოთა წესწყობილების ექსპორტირებას შეიარაღებული ინტერვენციის საფუძველზე.

ვ. ი. ლენინმა, განათლებით იურისტმა, ცხადია, კარგად იცოდა, რომ შეუძლებელია ერთი სახელმწიფოს ჯარმა საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების დაცვით აიღოს ამ სახელმწიფოსთან სამშვიდობო ხელშეკრულებით დაკავშირებული მეორე დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოს დედაქალაქი. ეტყობა, ამიტომაც იყო, რომ ლენინს 14 თებერვლის ზემოაღნიშნულ დეპეშაზე მიუწერია: „...უმჯობესია შეინახოთ არქისაიდუმლოდ 2-3 თვით“. ნიშანდობლივია ისიც, რომ ხსენებული დეპეშები პირველად მხოლოდ 1965 წელს (ე. ი. პოლიტიბიუროს სხდომაზე მათი დამტკიცებიდან 44 წლის შემდეგ) გამოქვეყნდა.

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ სრული სამი წელიც კი ვერ იარსება. მიუხედავად ამისა, ეს მცირე ისტორიული მონაკვეთი საერთოდაც და, კერძოდ, სამართლებრივი თვალსაზრისითაც ბევრი ღირსსახსოვარი მოვლენით აღინიშნა. უაღრესად საინტერესოა ამ მრავალმხრივ საყურადღებო ხანის ქართული საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის საკითხები. ცალკე, საგანგებოდ უნდა იქნეს გამოკვლეული, თუ როგორ წარიმართა სახელმწიფოებრივი მშენებლობა საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. აქ კი მხოლოდ ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ იმავეთვე დაისახა ეროვნული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის განსაზღვრული პროგრამა. თანდათანობით ყალიბდებოდა ძირითადი დემოკრატიული ინსტიტუტები, იქმნებოდა საკმაოდ სრულყოფილი პარლამენტური რესპუბლიკა, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო ქართული სულისკვეთების დამკვიდრება.

სახელმწიფოებრივ მშენებლობას წარმართავდა დემოკრატიული არჩევნების საფუძველზე შექმნილი დამფუძნებელი კრება. აღსანიშნავია, რომ დამფუძნებელმა კრებამ თვით რუსეთშიც კი ვერ იარსება — იგი იქ მოწვევისთანავე დაითხოვეს. ჩვენმა დამფუძნებელმა კრებამ, როგორც ქართველი ხალხის უმაღლესმა წარმომადგენლობითმა ორგანომ, თავის პირველსავე სხდომაზე — 1919 წლის 12 მარტს „ქვეყნისა და ისტორიის წინაშე“ აღიარა, სავსებით მიიღო და დაადასტურა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, შეიტანა იგი რესპუბლიკის კონსტიტუციაში და ამით მას უზენაესი იურიდიული ძალა მიანიჭა.

დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სახელმწიფო აპარატის გაქართულებას. აუცილებლად საჭირო იყო იმ მძიმე მემკვიდრეობის დაძლევა, რომელიც ამ სფეროში ცარიზმმა რუსიფიკატორული პოლიტიკის ჯიქური და თანამიმდევრული გატარების შედეგად დაგვიტოვა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართული ენისათვის სახელმწიფო ენის სტატუსის მიკუთვნება, რაც 1918 წლის 1 ოქტომბერს სპეციალური კანონის გამოცემით განხორციელდა, შემდეგ კი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციითაც განმტკიცდა (მუხ. 3). სწორედ ამ უმნიშვნელოვანესი აქტების წყალობითაა, რომ სახელმწიფო ენის სტატუსი საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგაც მტკიცედ, ტრადიციულად დამკვიდრდა

ჩვენს კანონმდებლობაში და დღესაც ასახულია საქართველოს სსრ მოქმედ კონსტიტუციაში (მუხ. 75).

სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ეროვნულ ყაიდაზე მოწყობა სერიოზული სიძნელეების გადალახვასთან იყო დაკავშირებული და ხანგრძლივ მუშაობას მოითხოვდა. ამიტომ გასაკვირი როდია, რომ ეს საქმე მაშინ ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი.

სახელმწიფო აპარატის გაქართულების დონეს ობიექტურად, შეუღამაზებლად ასახავს მთავრობის ოფიციალური ორგანოს — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ წერილი „ისევ გაეროვნების შესახებ“, რომელიც გასაბჭოებადღე ერთი თვით ადრე გამოქვეყნდა. „...სამწუხაროდ, — ნათქვამია წერილში, — არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ აგერ დამოუკიდებლობის მესამე წელი სრულდება და ჯერ კიდევ სანახევროდაც ვერ შევძელით გაეროვნება. ბევრ ჩვენს დაწესებულებებში ისევ უცხო ენაზეა საქმის წარმოება, უწყების ხელმძღვანელნი ყოველ ზომებს ღებულობენ, რომ ყველგან მშობლიურ, სახელმწიფო ენაზე სწარმოებდეს საქმე; ამ მიზნით ბრძანება რამოდენიმეჯერ გამოიცა, მაგრამ არ მოხერხდა სავსებით საქმის მოგვარება. ზოგიერთ დიდს თუ პატარა მოხელეს ისე მტკიცედ აქვს შეთვისებული უცხო ენა, რომ მათ არ ეხერხებათ ლაპარაკი სახელმწიფო ენაზე, მით უმეტეს ძნელია მათთვის საქმის წარმოება; რასაკვირველია ამ მოვლენას აქვს თავისი გასამართლებელი საბუთი. ის, რაც საუკუნის განმავლობაში არის შესისხლბორცებული, ძნელია მისი ასე მალე გაუქმება და ახლის შეთვისება, მაგრამ არც ეს კმარა თავის გასამართლებელ საბუთად; საჭიროა მეცადინეობა, შრომა, თუ გნებავთ სწავლაც სახელმწიფო ენის შესათვისებლად. თვითეული მოხელე უნდა ცდილობდეს ამისათვის, თორემ რას გავს ეხლანდელი სახელმწიფო ენაზე ზოგ დაწესებულებებში საქმის წარმოება — ისე ადგენენ ზოგან მიწერ-მოწერის ქაღალდებს, რომ თუ რამდენიმეჯერ არ წაიკითხეთ ვერ გაიგებთ შინაარსს. ამ მხრივ აღსანიშნავია სამხედრო უწყების ზოგიერთი დაწესებულებანი: აქ მიუხედავად სამხედრო მინისტრის ბრძანებისა ისევ რუსულ ენაზე აწარმოებენ საქმეს, რის გამოც სამხედრო მინისტრი ერთხელ კიდევ აძლევს გაფრთხილებას სამხედრო დაწესებულებათა უფროსებს, რომ უსათუოდ აწარმოონ საქმე სახელმწიფო ენაზე. ჯარში მუშაობს კულტურული სექცია, რომლის მიზანია სხვათა შორის მშობლიური ენისა და ისტორიის ჯარში გავრცელება; ამ სექციის მუშაობას რაღა ფასი ექნება თუ ისევ რუსიციზში იქნა ჯარში; ამ გარემოებას დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ ჩვენმა ოფიცრობამ და უმალესმა სამხედრო პირებმა, მათ ყოველგვარი ზომები უნდა მიიღონ, ჯარში ეროვნული სულის გასაღრმავებლად...“⁴ (სტილი დაცულია).

ხსენებული შემაჯამებელი საგაზეთო წერილი ადექვატურად, ცხოვლად რომ წარმოაჩენს იმდროინდელ რეალურ ვითარებას, თავისი მიზან-დანისწულეებით გარკვეულწილად ჩვენს დღევანდლობასაც ეხმაურება და შედარებით ვრცელი ამონაწერის მოყვანა, მის შემეცნებით მნიშვნელობასთან ერთად, ამ გარემოებამაც განაპირობა.

საყოფადღებოა ეროვნულ უმცირესობათა უფლებების კონსტიტუციური გადაწყვეტის საკითხი. საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტშივე ჩაიწერა, რომ დემოკრატიული რესპუბლიკა „განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზედ მოსახლე ყველა ერს“.

⁴ ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1921 წლის 22 იანვარი, № 15, გვ. 2.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია განსაზღვრავდა, რომ არ შეიძლება შეიზღუდოს ეროვნული უმცირესობის თავისუფალი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება, დედაენით სწავლა-აღზრდა და ეროვნულ-კულტურულ საქმეთა შინაური მართვა-გამგეობა (მუხ. 129). 107-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს — აფხაზეთს (სოხუმის ოლქი), სამუსლიმანო საქართველოს (ბათუმის მხარე) და ზაქათალას (ზაქათალის ოლქი) ენიჭებოდათ ავტონომიური მმართველობა ადგილობრივ საქმეებში.

უაღრესად დემოკრატიულ საწყისებზე შემუშავდა საქართველოს ახალშექმნილი სახელმწიფოს კონსტიტუცია. ამ აქტის მომზადებისა და განხილვის პროცედურა პირდაპირ სანიმუშოა. პროექტი ცალკე ბროშურის სახითაც გამოქვეყნდა (საქართველოს კონსტიტუციის პროექტი, შედგენილი და გამოცემული დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის მიერ, ტფ., 1920 წ. ივნისი). იგი მუხლობრივ, ცალკეული ინსტიტუტებისა და თავების მიხედვით განხილვობდა საჯაროდ, პრესაში და დამფუძნებელ კრებაში. პროექტი 1921 წლის 21 თებერვალს დამტკიცდა. მე-11 არმიის შემოტევის გამო რესპუბლიკის ძირითადი კანონი ბათუმში გამოქვეყნდა⁵.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციიდან ზოგი რამ ახლაც საგულისხმო და გასათვალისწინებელია. მაგალითად, საჭირო და აუცილებელიცაა ჩვენს ახლანდელ ძირითად კანონში პირდაპირ სიტყვასიტყვით აისახოს ამ კონსტიტუციის ის დებულება, რომ „საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო“ (მუხ. 1). ზუსტად იგივე ითქმის მე-6 მუხლზეც, რომლის თანახმადაც „სახელმწიფო ტერიტორიის გაცემა, დანაწილება და გაყიდვა შეუძლებელია“.

საბოლოოდ, მართებული იქნება დავასკვნათ, რომ საქართველოს სახელმწიფოს აღდგენა 1918 წლის 26 მაისს სავსებით მართლზომიერ იურიდიულ აქტს წარმოადგენდა. ამას, უნდა ითქვას, თვალნათლივ ადასტურებს საქართველოს რესპუბლიკის დე ფაქტოდ და დე იურედ გლობალური ცნობა მეტად მცირე დროის განმავლობაში. სახელდობრ, 1918 წლის ბოლოს იგი ცნეს ჩეხოსლოვაკიამ, უნგრეთმა, შვეციამ, დანიამ, შვეიცარიამ, ნორვეგიამ; დასავლეთის დიდმა სახელმწიფოებმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დე ფაქტოდ ცნეს 1920 წლის იანვარში, დე იურედ კი — 1921 წლის იანვარში⁶. ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობა 1918-1921 წლებში საღ სამართლებრივ საფუძვლებს ემყარებოდა და სწორი გზით წარიმართებოდა. იგი მრავალსაუკუნოვანი ქართული იურიდიული აზროვნებისა და სახელმწიფო-სამართლებრივი პრაქტიკის ისტორიული ნიშანსვეტი და წარუვალი მონაპოვარია.

⁵ საქართველოს კონსტიტუცია (მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის თებერვლის 21), ბათ., 1921.

⁶ „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“, ტ. 9, თბ., 1985, გვ. 173.



სახელმწიფო და საგარეო, სოციალური წყობილება და კულტურა დავით აღმაშენებლის ეპოქის საქართველოში

გიორგი ნაღარავიშვილი,
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი


„ხელმწიფის კარის გარიგებიდან“ ჩანს, რომ მაშინდელ საქართველოში არსებობდა საა-
ჯო კარი, სადაც კვირაში ერთხელ, ორშაბათ დღეს, მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელი მოსა-
მართლეობდა („ჰყონდიდელი ორშაბათს დღეს სააჯო კარსა შიგან დაქდების, ობოლთა და
ჭვრივთა და მიმძღვრებულთა მოჩივართა განიკითხავს“). როგორც ვხედავთ, მეფის შემდეგ
მეორე პირი — ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი სამეფოს მთავარი მოსამართლეა. აქ შეიძ-
ლება გავიხსენოთ სტრაბონის ცნობა ძველი იბერიის შესახებ:

„...აღამიანთა ოთხი გვარი მოსახლეობს ამ ქვეყანაში. ერთი (გვარია) და პირველი, რომ-
ლისგანაც მეფეებს ხსამენ მახლობლობისა და ასაკის მიხედვით უხუცესებს, ხოლო მეორე
ამ (გვარიდან) მოსამართლეობს და მხედართმთავრობს. მეორე გვარი არის ჭურჭუმთა, რომლე-
ბიც ზრუნავენ აგრეთვე მეზობლებთან სამართალზე...“ იბერიელთა მესამე გვარად სტრაბონს
მხედართა და მიწათმოქმედთა გვარი მიაჩნია, ხოლო მეოთხე გვარი ხალხია, სამეფო მოწინის
სახით.

„ხელმწიფის კარის გარიგებისა“ და სტრაბონის ზემოაღნიშნული ცნობების ერთმანეთთან
შედარება გარკვეულ აზრს იძენს, თუმცა სტრაბონიდან „გარიგებამდე“ 18 თუ 14 საუკუნეა
გასული და არ შეიძლება ვილაპარაკოთ ამ ხნის განმავლობაში სახელმწიფოებრიობის განვი-
თარების ერთიან ხაზზე და მემკვიდრეობითობაზე. თანაც ქართული კულტურის განვითარების
ერთიანი პროგრესული ხაზი და მიმართულება ხშირად წყდება სპარსელების, არაბების,
თურქებისა და სხვა დამპყრობელთა შემოსევების შედეგად. ირღვეოდა ძველი ტრადიციები,
იქმნებოდა სტაგნაციისა და უძრობის, ზოგჯერ სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური
რეგრესის ვითარებაც. მიუხედავად ამისა, ყველაფერი ძველი ტრადიციებიდან არ გამჭკრალა.
ერთი შეხედვით რაღაც მემკვიდრეობითობის ნიშნები ჩანს იმ გარემოებაში, რომ როგორც
ძველ იბერიაში, ისე გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში უმაღლეს სასამართლოს ხელ-
მძღვანელობდა მეფის შემდეგ მეორე პირი. თანაც ისიც შეინიშნება, რომ მწიგნობართუხუცეს-
ჰყონდიდელს სამხედრო უფლებამოსილებანიც გააჩნდა.

როგორც იყო საქართველოში სასამართლო სისტემა დავით აღმაშენებლამდე, ამის შესახებ
რაიმე კატეგორიული მტკიცება მწელია. მისი ისტორიკოსის ცნობით, მეფემ დაადგინა „კაცნი მა-
რთლად მცნობელნი და განმკითხველნი მომჩივართანი“. მაშასადამე, სახელმწიფო ხელისუფლებამ
მოსახლეობის საჩივრების გარჩევა დაავალა გარკვეულ პირთა წრეს, საფიქრებელია, როგორც
მართლმსაჯულების ორგანოს. აღბათ არ იქნება შეცდომა, თუ ვიტყვით, რომ მოხდა ადგილობ-
რივი სასამართლო სისტემის რეორგანიზაცია და სამართალდარღვევათა მნიშვნელოვანი ნაწი-
ლი საჯარო, სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად ჩაითვალა. ამიტომ,
ცხადია, ისინი უნდა გაერჩიათ მეფის მიერ დანიშნულ „მართლად მცნობელთ“ და „განმკითხ-
ველებს“. დავით აღმაშენებლის რეფორმებამდე კი მომჩივართა განკითხვა ადგილობრივი ბე-
ეების, ხევისთავებისა და მოთემების საქმე იქნებოდა.

ის უფლებები, რაც მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელს გააჩნდა სამართალწარმოების დარ-
გში, პირველადი არ არის. იგი მეფისაგან ნებაყოფლობით გადაცემული უფლებებია. ეს ჩანს
იქიდანაც, რომ უძველესი ტრადიციის თანახმად ობოლთა და ჭვრივთა განმკითხავი ყოველთ-
ვის მეფე იყო. ისტორიულად ამ გარემოებამ გარკვეული მორალური შარავანდედი დაბრწყინ-



ვალემა მინიჭა მეფეს. როდესაც ვითარება შეიცვალა, გვიან საშუალო საუკუნეებში, ქართ-
ველმა მეფეებმა კვლავ უშუალოდ აიღეს ხელში მართლმსაჯულების უფლება. მოვიგონოთ
სენსია ჩხეიძის სიტყვები! მეფე „ოთხშაბათსა და პარასკევს დაჯდის სამდივნოსა სახლსა“ და
„განაგებდის სამართალსა“. პროფ. ივ. სურგულაძეს აღნიშნული აქვს, რომ დავით აღმაშენებ-
ლის დროიდან მოკიდებული „სააქო კარი“ უზენაესი ინსტანცია იყო დაბალი ინსტანციის სა-
სამართლოებისათვის. ეს მოსაზრება მართებულია, მაგრამ აქვე ისმის კითხვა: თუ „სააქო
კარის“ განჩინება-განაჩინე ან გადაწყვეტილება არ დააკმაყოფილებდა ვინმეს, ჰქონდა თუ არა
მას უფლება უშუალოდ მეფის წინაშე გაესაჩივრებინა იგი?

ასეთი რამ ალბათ იშვიათი იქნებოდა. სააქო კარში ალბათ თავს იყრიდა სხვადასხვა სა-
ხის თხოვნა, სარჩელი, საჩივარი, რომელთაგან ნაწილი ეხებოდა ისეთ საქმეებს, რომელსაც
უშუალოდ უმადლესი სასამართლო იხილავდა და აქვე იქნებოდა დაბალი ინსტანციის სასა-
მართლოს განაჩენზე უკმაყოფილოთა. თხოვნაც, ცნობილია ისიც, რომ ზოგიერთ საქმეს უმად-
ლესი სასამართლო უშუალოდ თვითონ იხილავდა, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო.
ჩვენის აზრით „დასტურდამალში“ შემორჩენილია ძველი წესის გადმონაშთი „რომელიც სოფ-
ლის-კაცი ერთი-მეორეს უჩიოდეს, იმისი სამართალი მოურავმან ქნას. და რომელიც სოფელ-
სა ერთმანეთს უჩიოდეს, იმისი სამართალი ბატონის მოსაქმემ ქნას. იქნების ასეთი საჩივარი:
ან კაცის სიკვდილი ან დიდი რამ საქმე, იმისი სამართალი კარზედ უნდა იქნას“.

მოტანილ ტექსტში ბატონი მეფეს ნიშნავს. „ბატონის მოსაქმე“ ნიშნავს მეფის მოხელეს,
მეფის აგენტს, რწმუნებულს, შესაძლოა მოსამართლესაც. ძველი ტრადიციის თანახმად კაცის
სიკვდილი და სერთოდ „დიდი რამ საქმე“ სამეფო სასამართლოს კომპეტენციას შეადგენდა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იმის გარკვევა თუ რა მიმართულების სამართ-
ლებრივ პოლიტიკას ატარებდა დავით აღმაშენებელი? იმ მასალებისა და ცნობების მიხედვით,
რომლებმაც ჩვენამდე მოადღიეს, დაბეჭილებით შეიძლება ითქვას შემდეგი: მიუხედავად იმისა,
რომ დავით აღმაშენებელი მთელი სიცოცხლის მანძილზე ხმალშემართული იბრძოდა საგარეო
და საშინაო მტრების წინააღმდეგ, მართლმსაჯულების სფეროში ჰუმანისტური იდეებისა და
პოლიტიკის გამტარებელი იყო.

იმ საქმეთა შორის, რაც კარგ მეფეს უპირველესად მოეთხოვება, მეფის მემკვიდრის სა-
განგებოდ აქვს აღნიშნული: „შემცოდეთა წყალობითნი წურთანი“ და „მოჩივართა მართალ-
ნი გამოძიებანი“. ე. ი. თუ რუსთაველის გამოთქმას მოვიშველიებთ, დავით აღმაშენებელი
იყო „მოსამართლე და მოწყალე, მორბმული, განგებიანი“.

დავით აღმაშენებლის ეპოქაში საქმე ჭვავს ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარე-
ბის ახალ, უფრო მაღალ ეტაპთან. სწორედ ამ დროს შეიქმნა მუდმივმოქმედი უმადლესი სა-
სამართლო, მუდმივი არმია, მოწესრიგდა ურთიერთობა სახელმწიფოსა და ეკლესიებს შორის,
პროგრესული ცვლილებები მოხდა სახელმწიფო წყობილებაში. გაძლიერდა გონივრული ცენტ-
რალიზმი, სახელმწიფოს უშიშროების დამცველი ორგანოები. იმავდროულად, სოციალურ-
ეკონომიკური და პოლიტიკური პროგრესის თანხმლები იყო მეცნიერებისა და განათლების
განვითარებაც.

დავით აღმაშენებლის მიერ გატარებულ სახელმწიფო რეფორმებში განსაკუთრებული ად-
გილი უჭირავს სამხედრო რეფორმებს.

მეფემ კარგად იცოდა, თუ რა რთული ეპოქაში ცხოვრობდა, რა ხდებოდა ქვეყნის შიგნით
და ქვეყნის გარეთ, მეზობელ სახელმწიფოებში. სწორედ ამიტომ შეიქმნა სამეთვალყურეო,
სადაზვერვო სამსახური, რომელსაც, მოსალოდნელია, მანდატურთუხუცესი ხელმძღვანელობდა.
ასეთი სამსახური არსებობდა საქართველოს მეზობელ ქვეყნებში და ამდენად პრეცედენტი
უკვე იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, დავით მეფემ მას თანამოსაგრეთა ხელშეწყობით ისეთი
სადაზვერვო სამსახური დაუბირისპირა, რომელიც მაშინდელი განვითარებული სახელმწიფოე-
ბის შესაბამის სამეთვალყურეო სამსახურებს ბევრად აღმატებოდა თავისი ეფექტურობით.
მემკვიდრე დადებითად აფასებს დავით მეფის საქმიანობას ამ მიმართულებით და აღნიშნავს,
რომ იგი გებულობდა ავისგანმწარსხვედლთა ყოველ ნათქვამს, ყოველ საქმეს. ისტორიკოსი
წერს, რომ მეფემ „დიდნი საქმენი და ფრიად სასწრაფონი წარმართა ამით, და მრავალთა კე-
თილთა მიზევ ექმნა ესე: პირველად ორგულებასა და ზაკუასა, და ღალატსა რასამე ვერვინ
დიდათ ანუ მცირეთაგანი იკადრებდა მოგონებაცა, არა თუ თქმად ვისდაარცა თუ მეუღლესა
და ცხედრეთლსა თუისსა თანა, ანუ მოყუასსა თუისსა, გინა ყრმთა თუისთა თანა, ვინათგან
ესე მტკიცედ უწყოდა ყოველმან კაცმან, რომელ პირითა აღმოსდგასავე თანა სიტყუიხასა
საცნაურ ქმნილ არს უეჭუელად წინაშე მეფისა“.

რა თქმა უნდა, ისტორიკოსი აკარბებს, მაგრამ იმდროინდელი საზოგადოების შეხედულებას საზეთვალეურეო სამსახურის ეფექტიანობის შესახებ, მაინც სწორად გადმოგვცემს. როგორც ჩანს, დავით აღმაშენებელს მრავლად ჰყავდა სახელმწიფო სამსახურში ნიჭიერი სამხედრო მოღვაწეები და საფინანსო საქმის სპეციალისტები, მაგრამ მათი სახელები ისტორიამ არ შემოგვინახა. შეიძლება დავსვათ კითხვა, რამდენად იყო მორალურად გამართლებული დავით აღმაშენებლის დროს შექმნილი სადაზვერვო-სამეთვალეურეო სამსახურის საქმიანობა. უნდა აღინიშნოს, რომ დავით აღმაშენებელამდე ქართული სახელმწიფოებრიობის აქტიულების ქუსლი იყო ხუსტი დაზვერვის და კონტრდაზვერვის სამსახური, მაშინ როდესაც არაბთა სახელმწიფოში, ბიზანტიაში და სხვა განვითარებულ ქვეყნებში ეს სამსახური საქმოდ მაღალ დონეზე იდგა. მუსლიმანი ვაჭრები, საფოსტო სამსახურის მუშაკები და სხვა ათასი ჯურის მოვალურები აწოდებდნენ სადაზვერვო ცნობებს სელჩუკებს და საქართველოს სხვა მტრებს.


დავით აღმაშენებელმა შექმნა ისეთი სადაზვერვო სამსახური, რომელსაც თავი არ შეურცხვენია ქვეყნის წინაშე და ბევრი სახარგებლო ცნობა მოუწვდია მეფისათვის იმის შესახებ, თუ რა ზღვოდა მტრების ბანაკში.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ დავით მეფეს სწორედ დაზვერვის ორგანოებმა მიაწოდეს ცნობა სულთან მალიქ შაჰის (1072-1092) მიერ თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოში გატარებული სამხედრო რეფორმების შესახებ. სულთანმა შექმნა მუდმივი, კარგად ორგანიზებული და დისციპლინირებული არმია. ჩვენ ვეთანხმებით პროფ. ვ. გაბაშვილის აზრს, რომ შესაძლებელია დავითის მიერ მუდმივი ჯარის შექმნის ერთ-ერთი მიზეზი ისიც გახდა, რომ „თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში აუცილებელი იყო სელჩუკთა ახალი ორგანიზაციისათვის ახალი ძალის დაპირისპირება“.

დავით აღმაშენებლის ეპოქის საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა ისეთი იყო, რომ საჭირო გახდა ძლიერი, და კარგად ორგანიზებული მუდმივი ლაშქრის, არმიის შექმნა-ჩამოყალიბება. და რადგან ამისათვის საქმარისი არ აღმოჩნდა სამეფო დომენის, სამეფო სახლის ტერიტორიის გაფართოება, უშიშარი მეფე დგამს შეტად სარისკო ნაბიჯს — 1118 წელს ჩრდილოეთ კავკასიის ველებიდან საქართველოს სამეფოს ტერიტორიაზე ასახლებს ორმოცი ათასი ყივჩაღის ოჯახს. დავით აღმაშენებელს მოსწონდა ყივჩაღთა მეომრული თვისებები, ისინი მშვენიერი, საიმედო ჯარისკაცები იყვნენ და შედარებით ადვილი იყო მათი მატერიალური დაკმაყოფილებაც. პრობლემა იყო მხოლოდ მათი ასიმილაცია. დავითის მოწინააღმდეგეთა შორის უპირველესად თურქულენოვანი სახელმწიფო იდგა და სათუო იყო თუ როგორ იბრძოდებდნენ მათ წინააღმდეგ მონათესავე, ასევე თურქულენოვან ყივჩაღები. ცნობილი იყო მგავლითები, როდესაც ბიზანტიის მხარეზე მეომარი, დაქირავებული ყივჩაღები ბიზანტიის თურქულენოვანი მტრების მხარეზე გადადიოდნენ ხოლმე.

შესაძლებელია დავით აღმაშენებელი 1118 წლამდე იცნობდა ყივჩაღთა ლაშქრის თვისებებს და სარგებლობდა მათი დახმარებით, რადგან მეფის მეორე ცალი ყივჩაღთა მთავრის ასული იყო. საქართველოში გადმოყვანილ ყივჩაღებს ქართველები უხვად დაეხმარნენ, მისცეს ცხენები, სათანადო იარაღები, გამოუყვეს მიწის ნაკვეთები, სძოვრები. ამის საპასუხოდ კი ყივჩაღებისგან შეიქმნა ორმოცათასიანი არმია, რაც სახელმწიფოს ძლიერებას მნიშვნელოვნად ზრდიდა. დავით მეფემ ყივჩაღები „დააწყუნა გუარადგუარად და დაუდგინა სპასალარნი და მმართველნი“. ყივჩაღთა წყობილება სავარაუდო იყო. ამიტომ სამხედრო ნაწილებსა და შენარებულში ისინი გვარების მიხედვით ეწყობოდნენ. უნდა ვიფიქროთ, რომ მათ სპასალარებად და მმართველებად მეფის ერთგული პირები ეყოლებოდათ. მიუხედავად ამისა, მეფეს ყივჩაღთა ლაშქარშიც ჰყავდა მეთვალეურები და ამიტომ დროულად ნებდოდა ყივჩაღთა მხრიდან მეფისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული შეთქმულების ჩაფიქვა. დავითის ისტორიკოსის ცნობით, ყივჩაღებმა მრავალჯერ განიზრახეს ღალატი და „განაჩინეს კაცნი მხნენი, რომელნიმე ზრმლითა, რომელნიმე შუბითა, სხვანი ისრითა და ესე არა ერთ და ორ, განა სამ, არამედ მრავალგზის“.

ამის მიუხედავად, დავით აღმაშენებლის მიერ გადადგმული ნაბიჯი ისტორიულად მაინც სწორი აღმოჩნდა. ყივჩაღთა ნაწილი გაქრისტიანდა და გაქართველდა. ეს ნაყივჩაღარი ქრისტიანები შემდგომ დიდ როლს ასრულებდნენ სახელმწიფოში. მართალია, ყივჩაღთა ერთიანი ჯაჭრისტიანება და ქვეყანაში დამკვიდრება უცებ ვერ მოხერხდა, მაგრამ ყოფილმა მომთაბარებებმა მაღე იპოვეს გზა მაღალი კულტურისა და ინტენსიური მეურნეობისაკენ. დავით აღმაშენებლის დამსახურება ამ მხრივ მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობისაა. ყივჩაღთა ჩამოსახლება საქართველოში დემოგრაფიული ასპექტიც გააჩნდა. ქვეყნის შეთხლებული მოსახლეო-



ბისთავის ზრუნვა ინტერესები ხომ იმასაც მოითხოვდა, რომ რაც შეიძლება ნაკლები ანაღ-
გაზრდა მეომარი დაღუპულიყო ომებში. ყივჩაღთა მოხმობამ ქართველთა ლაშქარში და მათმა
ასიმილაციამ ქართველებთან დადებითი როლი შეასრულა აგრეთვე ქართულენოვანი და ქართუ-
ლი კულტურის ჰქონე მოსახლეობის ზრდის თვალსაზრისითაც.

ყივჩაღების გადმოსახლების შემდეგ დავით აღმაშენებელს უკვე შეეძლო აქტიური შე-
ტევითი ოპერაციები ეწარმოებინა საგარეო მტრების წინააღმდეგ. მეფეს ჰყავდა ზუთი ათასი
კაცისაგან შემდგარი გვარდია და დაახლოებით 80 ათასიანი მუღმივი ჯარი. გარდა ამისა, მე-
ფეს დამატებით შეეძლო ფეოდალური ლაშქრისა და დაქირავებულითა რაზმების ფორმირებაც.
არმისი ეს ნაწილი ხალხის დიდი ხიყვარულით სარგებლობდა. ისინი იყვნენ „რჩეულნი და მო-
კაზმულნი ცხენეთაონი და პირაშუქცეველნი“.

მამაც მებრძოლებს მეფე აქებდა, ასაჩუქრებდა, ხოლო ღაჩრებს გამაწილებელი სასჯე-
ლით სჯიდა: მედაკაცის ტანსაცმელში გამოაწყობდა ხოლმე.

დავით აღმაშენებელმა აკრძალა სამხედრო ოპერაციებისა და ომის შედეგად მოპოვებუ-
ლი ნაღვლის განაწილება მოლაშქრეთა შორის. ლაშქარს უღელფა და სარგო (ჯამაგირი) ეძ-
ლეოდა. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჯარში დისციპლინის დამყარებისათვის.


თავის ძირითად დასაყრდენ ძალად მეფე მიანც „სამეფო სპას“, ქართველთაგან შემდგარ
ლაშქარს თვლიდა და ამიტომ დიდგორის ბრძოლაში 40 ათასიანი ყივჩაღთა ლაშქრიდან, მხო-
ლოდ 15 ათასი გამოიყვანა.

როგორც ცნობილია, XII საუკუნეში საქართველო ახლო აღმოსავლეთის მოწინავე და
უძლიერესი სახელმწიფო გახდა, რაშიც დიდი დავით აღმაშენებლის დეაწილი და დამსახურება.

ძლიერი სახელმწიფოს შექმნა, რა თქმა უნდა შეუძლებელი იქნებოდა ძლიერი, ქმედო-
ბაჟნარაინი სახელმწიფოს აპარატის, მათ შორის დამსჯელი ორგანოების გარეშე. ასეთი ორგა-
ნოები არსებობდა კიდევ, მაგრამ მათი საქმიანობა, ისეთ ჩარჩოებში იყო მოქცეული, რომ
ადგილი არა ჰქონოდა სასტიკ, მასობრივ რეპრესიებს. ქართულ, სომხურ, არაბულ და სხვა
ქვეყნების საისტორიო წყაროებში დიდი ქართველი მეფის მორალური სახე ამ მხრივ ექვის
ქვეშ არ არის დაყენებული. პირიქით, ყველგან საუბარია მის კაცთმოყვარეობაზე, გონივრულ
ღმობიერებაზე, უცხოელთა და სხვა სარწმუნოების პირთა შემწყნარებლობაზე და ა. შ. არ
დასტურდება ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრება, რომ დავითი დამნაშავეებს „ძალზე მკაცრად
უსწორდებოდა“-ო.

ეს იმიტომ, რომ დავით აღმაშენებელი აღზრდილი იყო ექვთიმე მთაწმინდელის, გიორ-
გი მთაწმინდელის და ეფრემ მცირის იდეებზე, იზიარებდა მათ ზრებსა და შეხედულებებს,
რომლებშიც გატარებულია მართლმსაჯულებისა და კანონმდებლობის ჰუმანურობის პრინციპები,
გონივრული ღმობიერების აუცილებლობა. დავითი იყო ფილოსოფიურად განათლებული პიროვნე-
ბა, ქრისტიანული და მუსლიმანური რელიგიის დრმა მცოდნე, შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი,
რომელიც კარგად იცნობდა აგრეთვე მეზობელი ქრისტიანული ბიზანტიის სახელმწიფო ცხოვ-
რებას. იგი დიდ ანგარიშს უწყევდა ბიზანტიის სოციალურ პრაქტიკასაც, სადაც როგორც ის-
ტორიკოსი ნიკიტა ხონიაცი მოგვითხრობს, იოანე კომნენის დროს (1118-1142) სიკვდილით
არც ერთი კაცი არ დაუსჯიათ, ეს ტენდენცია იქ უფრო ადრეც არსებობდა. დავით აღმაშენებ-
ლის დროს ქართველი ფილოსოფოსები უშუალოდ ბერძნულ ენაზე კითხულობდნენ ანტიკურ
ფილოსოფიურ შემკვიდრებას და წერდნენ ფილოსოფიურ თხზულებებს. ლაშა გიორგის დრო-
ინდელი შემატაიანე დავით აღმაშენებლის შესახებ წერს: იგი „ერთგულთა შემწყნარებელი იყო
და შეცოდებულთა სამართლიანად მწყურთელი“-ო. თვით დავითის ისტორიკოსი კი აღნიშნავს:
ის „ვითარცა ღმერთი მართლსიკიდა სამწყსოთა თუსთა თვალუხუავითა მით ბეობითა თუსითა,
და არა სადათ მიდირიკებოდა „წჳამი სასწორისა“. შემატაიანე გვეუბნება, მეფე დავით აღმა-
შენებელი ღმერთის მსგავსად სასამართლო საქმეების გარჩევის დროს სასწორს არც ერთ
მხარეს არ ხრიდოა.

დაიხ, დავით აღმაშენებელი იყო დიდი მეფე, დიდი რაინდი და ჰუმანიტი. ისტორიულ
წყაროებში არ ჩანს, რომ ვინმე მას სიკვდილით დაესაჯოს. ასეთი სასჯელი დიდი და საშიში
პოლიტიკური მოწინააღმდეგეების წინააღმდეგაც არ გამოუყენებია იმ დროს, როცა მას
მართლაც ძლიერი ხელისუფლება გააჩნდა. ამით იგი აღიარებდა, რომ ადამიანის სიცოცხლე
გადაუღალავია ზღუდეა პოლიტიკური მიზნების მიღწევის გზაზე. ერთადერთი სიცოცხლე, რო-
მელსაც ის არ უფრთხილდებოდა, საკუთარი სიცოცხლე იყო და თავს არ ზოგავდა სამშობ-
ლოსათვის. ერთ-ერთ ბრძოლაში მეფეს „სამნი ცხენნი გამოუკლნეს და მეოთხეადა ზედა
მჯდომიან ხრულდ ეო მის დღისა ომი“. ასე მომხდარა თურმე არაერთხელ „და ესე მრავლისა-



გან უოვლად მცირედი და კნინი წარმოვტკვთ“-ო აღნიშნავს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი.

XII საუკუნის დასაწყისში იმგვარად წარიმართა ქართველი ხალხის ცხოვრება, რომ მისი გადარჩენისათვის აუცილებელი შეიქმნა პოლიტიკური გენია. სახახელო და საამაყო, რომ ეს გენია დაიბადა კიდევ მეფე დავით აღმაშენებლის სახით, რომელმაც ბრძოლით შესძლო ერთიანობა, ძლიერება და სიმშვიდე მოეტანა მრავალტანჯული საქართველოსათვის.

თეორიის საკითხები

დანაშაულის კვალიფიკაციის ორგანიზაციის შესახებ


გურამ ნაბუჯია

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ამოცანა, რომელიც სკკ XXVII ყრილობამ დასახა, მეცნიერებისადმი ღრმა მეთოდოლოგიურ მიდგომას მოითხოვს. ეს ეხება იურიდიულ მეცნიერებასაც, მათ შორის, რა თქმა უნდა, სისხლის სამართლის მეცნიერებას. ნეგატიური მოვლენებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა სოციალურ-ეკონომიკურ, იდეოლოგიურ და სხვა ღონისძიებებთან ერთად სამართლებრივ ღონისძიებათა გააქტიურებასაც გულისხმობს. მაგრამ ვინაიდან სამართლებრივი ღონისძიებების გამოყენების პროცესი ვიწრო პრაქტიციუზისა და პრაგმატისტული ტენდენციების საფრთხეს შეიცავს, აუცილებლად უნდა გამახვილდეს ყურადღება პრაქტიკული მოქმედების მეთოდოლოგიურ საკითხებზე. ამ საკითხების დამუშავება, პირველ ყოვლისა, მეცნიერების ამოცანაა, რათა დანაშაულისა თუ სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკამ მეთოდოლოგიურად გამართული ეფექტური წინადადებანი და რეკომენდაციები მიიღოს.

ლიტერატურაში სწორადაა ხაზგასმული, რომ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში დაიშვება მხოლოდ ისეთი საშუალება, რომელიც მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიას შეესაბამება და ამ იდეოლოგიის მუმანიტურ საზრისს პრაქტიკაში დამკვიდრებდა, ის, რაც დანაშაულობათა წინააღმდეგ ეფექტური ჩანს, შესაძლოა, სრულიად დაუსვებელი აღმოჩნდეს¹.

ამ მსჯელობაში სწორადაა მითითებული მიზნისა და საშუალების ურთიერთობის მარქსისტულ-ლენინური თეორიის პრაქტიკული გამოყენების აუცილებლობის შესახებ. ამგვარი მოთხოვნა პრაქტიკული საქმიანობის ყველა სფეროს ეხება, მაგრამ განსაკუთრებით აუცილებელია იგი მართლმსაჯულების განხორციელების წმინდა საქმეში. სამართლიანი გადაწყვეტილებებისა და განაჩენების დადგენა მართლმსაჯულების უმაღლესი ამოცანაა, მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ეს ამოცანა დიდ ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვს. სამართლიანობის ყველაზე მახვილ გრძობასაც კი არ შეუძლია უზრუნველყოს ფაქტების ისეთი შეფასება, რომელიც უტყუარი განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გამოტანის წინაპირობა იქნებოდა, მიუხედავად იმისა, რომ სამართლიანობის მახვილი გრძობა და რწმენა დიდ სი-

¹ П. П. Осипов, Теоретические основы построения и применения уголовно-правовых санкций, ЛГУ, 1976, с. 11.



კეთეს წარმოდგენენ. ინტელექტის თუნდაც გენიალური განჭვრეტა სამართლიანობის მუშა-
ნიშნის და სიკეთის რწმენის გარეშე წმინდა ადამიანური აქტი ვერ იქნება და ადამიანებს სიკე-
თისა და სამართლიანობის დასამკვიდრებლად ვერ განაწყობს.

ამ ცნობილ ჭეშმარიტებათა გამეორება აქ იმიტომ დაგვეჭირდა, რომ საბჭოთა იურიდიულ
ლიტერატურაში, სამწუხაროდ, არც თუ იშვიათია ინტელექტუალიზმისადმი მიდრეკილება,
როდესაც ადამიანი გარესინამდვილისადმი მხოლოდ შემეცნებით დამოკიდებულებაშია წარ-
მოდგენილი და უგულვებელყოფილია მისი, როგორც ადამიანის, პრაქტიკულ-ღირებულებით
პლანში არსებობა. ზოგჯერ იფიქრებენ, რომ ადამიანი, მარქსიზმის მიხედვით, პირველ რიგში,
პრაქტიკული არსებობა, თუმცა ეს სრულიადაც არ გამოირჩევა და არც უპირისპირდება ადა-
მიანის ყოფნას შემეცნებელ არსებად. ლაპარაკია ადამიანის ცალმხრივ დახასიათებათა და-
უსვებლობაზე. სხვათადაც ვერ შეფასდება საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებ-
ილი მტკიცება, რომ სამართალი თითქოს არის სინამდვილის შემეცნების შედეგი და ამიტომ
იგი ჭეშმარიტი ან მცდარი მსჯელობაა.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ ვერ მოვიტანთ ყველა იმ საბუთს, რაც სამართლის წმინდა
გნოსეოლოგიური გაგების სიმცდარეს თვალსაჩინოს გახდიდა. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ სა-
მართლის გნოსეოლოგიური გაგება წმინდა წყლის ინტელექტუალიზმია, ვინაიდან აქ უგულ-
ვებელყოფილია ის ცნობილი ფაქტი, რომ სამართალი ნების ფენომენთანაა დაკავშირებული
და გარესინამდვილისადმი შეფასებითი დამოკიდებულების გარეშე სამართლებრივი შეფასება
შეუძლებელია. სამართალი ფაქტობრივი სინამდვილისაგან მოწყვეტით არ არსებობს, მაგრამ
თუ სამართალი ჭეშმარიტობა-მცდარობის ნიშნით ხასიათდება, მაშინ როგორ უნდა გადაწყდეს
ფაქტების იურიდიული კვალიფიკაციის პრობლემა? სამართლის გნოსეოლოგიური ინტერპრე-
ტაციის ლოგიკით სამართალმა ფაქტები კი არ უნდა შეაფასოს, არამედ მხოლოდ შეიმეცნოს,
ვინაიდან ამ ლოგიკით ფაქტებისადმი მხოლოდ შემეცნებითი დამოკიდებულების დახასიათებაა
შესაძლებელი. მეორის მხრივ, ფაქტების იურიდიული კვალიფიკაცია, სასამართლოს გადაწყ-
ვეტილება და განაჩენები ჭეშმარიტობა-მცდარობის კრიტერიუმებით უნდა შემოწმდნენ. ამ
პოზიციიდან კი გამოდის, რომ მართლმსაჯულების განხორციელების ცნობილი პრინციპები
(კანონიერება, სამართლიანობა, მუშაინიშნი და ა. შ.) ჭეშმარიტობა-მცდარობის კრიტერიუმებით
უნდა შევამოწმოთ, მაშინ როდესაც ეს პრინციპები გარესინამდვილისადმი ადამიანის ღირებუ-
ლებით დამოკიდებულებას გამოხატავენ.

საქმე ის არის, რომ დანაშაული სრულიადაც არ არის წმინდა ფაქტობრივი მოვლენა. იგი
სოციალურ-კლასობრივი მოვლენაა და გარკვეულ სოციალურ ურთიერთობათა სისტემაში მნიშ-
ვნელობს. მაგალითად, კერძომწეწარმობითი საქმიანობა კაპიტალისტური საზოგადოებრივი
ურთიერთობის სრულიად „ნორმალური“ მოვლენაა, სოციალიზმის პირობებში კი დანაშა-
ულად ითვლება. ცხადია, არსებობენ საერთო მნიშვნელობის დანაშაულობანიც, მაგრამ ეს
სხვა საკითხია. ამგვარად მხედველობაში გვაქვს დანაშაულის ნორმატულ-შეფასებითი ასპექტი.
არ კმარა იმის თქმა, რომ დანაშაული ფაქტობრივ საფრთხეს უქმნის საზოგადოებას, ვინაი-
დან ამგვარი საფრთხე შეიძლება სხვა მოვლენებმაც გამოიწვიოს. დანაშაულის არსის გაგება
მოითხოვს პირველ ყოვლისა გავივლო ქმედობისადმი საზოგადოებისა (საზოგადოებრივი სა-
შიშროება) და სახელმწიფოს (მართლწინააღმდეგობა) დამოკიდებულება, როგორც ადა-
მიანთა გარკვეული საქციელისადმი ღირებულებითი დამოკიდებულების სპეციფიკური ფორ-
მები. მაგრამ საზოგადოებრივი საშიშროებისა და მართლწინააღმდეგობის გნოსეოლოგიური
დასაბუთება შეუძლებელია. ამიტომაც, რომ საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ავტორთა
ერთი ჩვეუი დანაშაულის კვალიფიკაციას წმინდა შეფასებით აქტად მიიჩნევს და უარყოფს
სისხლის სამართლის საქმეზე დასადგენი ჭეშმარიტების შინაარსში დანაშაულის კვალიფიკაცი-
ისა და სახელის ზომის შეტანის შესაძლებლობას. მოკლედ მიმოვიხილოთ ზოგიერთი ლიტერ-
ატურა.

მ. ს. სტროგოვიჩის აზრით, სისხლის სამართლის საქმეზე დასადგენი ჭეშმარიტების შინა-
არსში შედის საქმის ფაქტობრივი გარემოებანი და არა იურიდიული კვალიფიკაცია და სას-

2 Р. О. Халфина, Общее учение о правоотношении, М., 1974, с. 42; В. П. Кази-
мирчук, Право и методы его изучения, М., 1965, с. 198; А. А. Ушаков, Методологи-
ческие аспекты советского правотворчества, Ученые записки Пермского государст-
венного университета, № 119, 1968, с. 283.

ჭელის ზომა, ვინაიდან ამ უკანასკნელ შემთხვევაში საქმე ეხება ფაქტებისადმი გარკვეულ შეფასებით დამოკიდებულებას.

ასეთივე მოსაზრებას გამოთქვამენ მ. ა. ჩელცოვი⁴, მ. ლ. შიფმანი⁵, ბ. ბ. ხარაზიშვილი⁶ და სხვანი.

ამ მოსაზრების წინააღმდეგ ილაშქრებენ ვ. ნ. კულდრიავცევი⁷, ა. ს. შლიაპოჩნიკოვი⁸, ვ. ი. დოროხოვი⁹ და სხვანი.

ამ უკანასკნელთა აზრით, არავითარი საფუძველი არ არის, რომ დანაშაულის კვალიფიკაცია სისხლის სამართლის საქმეზე დასადგენი ჭეშმარიტების შინაარსში არ შევიტანოთ. სისხლის სამართლის საქმეზე დასადგენი ჭეშმარიტების შინაარსიდან დანაშაულის კვალიფიკაციის გატანა ხელოვნურია და ფაქტებისა და მათი იურიდიული მნიშვნელობის ურთიერთმოწყვეტის შედეგია.

ვიდრე ამ საკითხზე არსებულ თვალსაზრისებს შევფასებდეთ, საჭიროა მოკლედ განვიხილოთ დანაშაულის კვალიფიკაციის ცნება, რათა საკითხის არსი თავიდანვე იყოს გარკვეული

ვ. ნ. კულდრიავცევის აზრით, დანაშაულის კვალიფიკაცია შეიძლება განისაზღვროს „როგორც სისხლის სამართლის ნორმით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებისა და ჩადენილი ქმედობის ნიშნების ზუსტი შესაბამისობის დადგენა და იურიდიული დამატება“¹⁰.

როგორც ჩანს, დანაშაულის კვალიფიკაციის ცნებაში არსებითია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებისა და ჩადენილი ქმედობის ნიშნების ზუსტი შესაბამისობის დადგენა. მაგრამ ვ. ნ. კულდრიავცევი სრულიად არ უარყოფს, რომ დანაშაულის კვალიფიკაცია ქმედობის იურიდიული შეფასებაც არის, ოღონდ ავტორი სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის ნიშნებისა და ჩადენილი ქმედობის ნიშნების შესაბამისობის დადგენისაგან შეფასებით მომენტს ცალკე არ გამოყოფს, ვინაიდან მიაჩნია მას, რომ მთავარია მათი ერთიანობა, ვიდრე მათ შორის სხვაობის ძიება.

დაახლოებით ასეთივე მოსაზრებისაა ბ. ა. კურიხოვიც. მისი აზრით, დანაშაულის კვალიფიკაცია — ეს არის დასკვნა კონკრეტული ცხოვრებისეული შემთხვევის — დანაშაულისა და სისხლის სამართლის კანონში ამ დანაშაულის ცნების იგივეობის შესახებ¹¹. მაგრამ არც ეს ავტორი უარყოფს, რომ დანაშაულის კვალიფიკაცია ქმედობის იურიდიული შეფასებაც არის.

ამრიგად, ირკვევა, რომ დანაშაულის კვალიფიკაცია ქმედობის იურიდიული შეფასებაც არის და სისხლის სამართლის კანონში აღწერილი შემადგენლობის ნიშნებისადმი შესაბამისობაში მოყვანაც. მაშასადამე, დანაშაულის კვალიფიკაცია ორმაგი ბუნებისაა და ორ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ, მიდგომას მოითხოვს. ამიტომ ვიდრე ამ ორი მხარის ერთიანობაზე ვილაპარაკებდეთ, როგორც ამას ვ. ნ. კულდრიავცევი აკეთებს, საჭირო იქნება მათი განსხვავების დადგენა, რადგან ყოველი ერთიანობა განსხვავებულთა ერთიანობაა. ამგვარი განსხვავების იგნორირების შემთხვევაში სადავო საკითხი დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლის სამართლის საქმეზე დასადგენი ჭეშმარიტების მიმართების შესახებ ყოველთვის ერთმნიშვნელოვნად გადაწყდება და, მაშასადამე, მუდამ უნაყოფო დავის საგანი იქნება.

მართლაც, ის ავტორები, რომლებიც დანაშაულის კვალიფიკაციის ჭეშმარიტებას უარყოფენ, სწორად მიუთითებენ: შეფასების გარეშე დანაშაულის კვალიფიკაცია შეუძლებელია,

³ М. С. Строгович, Курс советского уголовного процесса, т. 1, 1968, с. 325.

⁴ М. А. Чельцов, Советский уголовный процесс, М., 1962.

⁵ М. Л. Шифман, Основные вопросы советского доказательственного права, М., 1956.

⁶ ბ. ბ. ხარაზიშვილი, ჭეშმარიტების ცნებისათვის სამართალში, «Правовые исследования», «Мецниереба», Тбилиси, 1977, с. 215-219.

⁷ В. Н. Кудрявцев, Общая теория квалификации преступлений, М., 1972, с. 50-60.

⁸ А. С. Шляпочников, Толкование советского уголовного закона, М., 1960, с. 50.

⁹ В. И. Дорохов, Цель, предмет и пределы доказывания, «Теория доказательств в советском уголовном процессе», М., 1973, с. 126-130.

¹⁰ В. Н. Кудрявцев, Общая теория квалификации преступления, 1972, с. 7-8.

¹¹ Б. А. Куринов, Научные основы квалификации преступлений, МГУ, 1984, с. 11.

ხლო რაკი შეფასება შემეცნება არ არის, ის არ შეიძლება პეშმარტიბა-მცდარობის ნიშნით დახასიათდეს. მაგრამ მათ მხედველობის გარეშე რჩებათ ის გარემოება, რომ ყოველი ჩადენილი ქმედობის ნიშნებისა და სისხლის სამართლის კანონში აღწერილი შემადგენლობის ნიშნების შესაბამისობის აღდგენა სრულიად გარკვეული ლოგიკურ-გნოსეოლოგიური აქტია და მაშასადამე, ჭეშმარიტობა-მცდარობის ნიშნით ხასიათდება.

მეორის მხრივ, ის ავტორები, რომლებიც დანაშაულის კვალიფიკაციის სისხლის სამართლის საქმეზე დასადგენი ჭეშმარიტების შინაარსად აცხადებენ, სწორად უსვამენ ხაზს სისხლის სამართლის კანონში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებისა და ჩადენილი ქმედობის ნიშნების შესაბამისობის ლოგიკურ-გნოსეოლოგიურ მომენტებს, მაგრამ მათ ყურადღების გარეშე რჩებათ დანაშაულის კვალიფიკაციის შეფასებითი ასპექტის სპეციფიკა, სახელდობრ ის, რომ შეფასება შემეცნება არ არის და ამდენად გნოსეოლოგიური თვალსაზრისით ვერც გაიგება და ვერც დასაბუთდება.

ამრიგად, დანაშაულის კვალიფიკაციის ორმაგი ბუნება აქვს და ამიტომ შემოთღამულ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ იქნება მართებული. მაგრამ ამით ე. წ. ეკლექტიზმის გზას ხომ არ დავადექით?

ფიქრობთ, დანაშაულის კვალიფიკაციის ორმაგი ბუნება უფრო გარკვევით მაშინ გამოჩნდება, როდესაც ზუსტად გავარკვევთ დანაშაულის შემადგენლობის ბუნებას და მას მართლწინააღმდეგობის ცნებისაგან განვასხვავებთ.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ყოველთვის არ არის გათვალისწინებული ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის კანონში აღწერილი შემადგენლობის ნიშნებისადმი ჩადენილი ქმედობის შესაბამისობაში მოყვანა შეფასებითი აქტი არ არის, ვინაიდან დანაშაულის შემადგენლობის საკანონმდებლო აღწერილობა შეფასებით-ღირებულებითი მსჯელობა კი არაა, არამედ აღწერილობითია¹².

მართლაც, დანაშაულის შემადგენლობის საკანონმდებლო აღწერილობის პოზიციიდან ქმედობის შეფასება გამორიცხულია, ვინაიდან დანაშაულის ცნობილი სოციალურ-ნორმატიული ნიშნების (საზოგადოებრივი საშიშროების, მართლწინააღმდეგობის და ა.შ.) აღწერა პრინციპულად შეუძლებელია. დანაშაულის ეს ნიშნები ე. წ. გაგების მეთოდს მოითხოვენ, ე. ი. ამ ნიშნების გასაგებად საჭიროა გარკვეული შეფასებითი პოზიცია, იმის მიხვედრა-გაგება, რომ კონკრეტული საქციელი სწორედ მოცემული საზოგადოებისა და სახელმწიფო თვალსაზრისით ხდება საზოგადოებრივად საშიში და მართლსაწინააღმდეგო.

ამრიგად, დანაშაულის ნიშნების საკანონმდებლო აღწერილობა ჩადენილი ქმედობის იურიდიული შეფასების უპირობო საფუძვლად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან ქმედობა შეიძლება ფორმალურად შეესაბამებოდეს სისხლის სამართლის კანონს და ამდენად არ იყოს საზოგადოებრივად საშიში და მართლსაწინააღმდეგო. უფრო მეტიც, დანაშაულის შემადგენლობის საკანონმდებლო აღწერილობის პოზიციიდან ქმედობა განიხილება არა როგორც „დანაშაული“, არამედ როგორც ფაქტი, რომელიც თავისებური სტრუქტურული ელემენტებისაგან შესდგება. აღწერას, გარკვეული ნიშნების მიხედვით, ექვემდებარება არა „დანაშაული“, როგორც შეფასებით-ნორმატიული ვითარება, არამედ ქმედობის ფაქტობრივი სტრუქტურა. დ. უზნაძე შემთხვევით არ წერდა, რომ ქცევის მორალურ-სამართლებრივ შეფასებებამდე „აუცილებელია, ჭერ ქცევა იყოს მოცემული, როგორც ფაქტი, რომლის აღწერაც ყველას შეუძლია“¹³.

მაშასადამე, თუ დანაშაულის შემადგენლობა აღწერილობითია და არა შეფასებითი, მაშინ ლოგიკური თანმიმდევრობა მოითხოვს ვალიაროთ, რომ აღწერის საგანიც ქმედობის ფაქტობრივი სტრუქტურა იქნება და არა მისი სოციალურ-პოლიტიკური და სამართლებრივი მნიშვნელობა. „მნიშვნელობის“ აღწერა შეუძლებელია. მაშინაც კი, როდესაც დანაშაულის შემადგენლობაში მოხმარებულია შეფასებითი ნიშანი (მაგალითად, „გარყვნილი ქმედობა“), შემადგენლობის პოზიციიდან ამგვარი ქმედობა განიხილება როგორც ფაქტი, ხოლო ის, თუ როგორი ქმედობა უნდა ჩაითვალოს გარყვნილად, შეფასებით მიდგომას მოითხოვს.

აქედან გამომდინარეობს, რომ დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებისა და ჩადენილი ქმედობის ნიშნების შესაბამისობაში მოყვანა სრულიად გარკვეული ლოგიკურ-გნოსეოლოგიური აქტია და ჭეშმარიტობა-მცდარობის ნიშნებით ხასიათდება. ნათქვამი გარკვეული ლოგიკური ოპერაციითაც შეიძლება დავადასტუროთ. მაგალითად: 1. ქურდობა არის სახელმწიფო

¹² Г. Т. Ткешелиадзе, Судебная практика и уголовный закон, «Мецниереба», Тбилиси, 1975, с. 53-64.

¹³ დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1940, გვ. 168.

ან საზოგადოებრივი ქონების ფარული გატაცება (საქართველოს სსრ სსკ 91-ე მუხლი); 2. აპირ-
მა ჩაიდინა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ფარული გატაცება. მაშასადამე, ა-მ
ჩაიდინა ქურდობა.

რა გავილის ხელს ვამტიცოთ, რომ ქურდობის კვალიფიკაცია, ამ ქმედობის ნიშნებისა
და მისი საკანონმდებლო აღწერილობის ნიშნების შესაბამისობაში მოყვანის თვალსაზრისით,
ჭეშმარიტია? შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ აღნიშნულ შემთხვევაში გაკეთებულია ლო-
გიკური დასკვნა და ის თავისი გნოსეოლოგიური შინაარსით ჭეშმარიტია. ამ თვალსაზრისით
ჩვენ ვერ დავეთანხმებით იმ ავტორებს, რომლებიც დანაშაულის კვალიფიკაციის ჭეშმარი-
ტებას საერთოდ უარყოფენ. მართალია, ისინი აღიარებენ, რომ სისხლის სამართლის საქმეზე
დასადგენი ჭეშმარიტების შინაარსში შედის საქმის ფაქტობრივი გარემოებანი, მაგრამ ეს
„ფაქტობრივი გარემოებანი“ მეტად ვიწროდაა გაგებული იმის გამო, რომ სისხლის სამართლის
კოდექსის ცალკეულ მუხლებში აღწერილი შემადგენლობა შეფასების საფუძველად მიჩნეუ-
ლი, მაშინ როდესაც ის, როგორც უკვე ითქვა, აღწერილობითია, ხოლო აღწერილობითი მსჯე-
ლობა შეფასების საფუძველად არ გამოდგება. აღწერილობითი პოზიციიდან შეფასება, ამ ცნე-
ბის აქსიოლოგიური გაგებით, არ ხდება და არც შეიძლება მოხდეს.

მაგრამ სინდელ ის არის, რომ დანაშაულის კვალიფიკაციას მეორედ და უფრო არსებითი
მხარე აქვს: ქმედობის შეფასება საზოგადოებრივი საშიშროებისა და მართლწინააღმდეგობის
თვალსაზრისით. ქმედობა შეიძლება ფორმალურად შეესაბამებოდეს სისხლის სამართლის კა-
ნონში აღწერილ ნიშნებს და არ იყოს საზოგადოებრივად საშიში და მართლსაწინააღმდეგო.
ახეთ პირობებში დანაშაულზე ლაპარაკი კი გამორიცხულია. მაშასადამე, ქმედობის ფაქტობ-
რივი სტრუქტურიდან და კანონთან მისი შესაბამისობის ფაქტიდან არ შეიძლება პირდაპირი
ლოგიკური გზით იქნეს გამოყვანილი „დანაშაული“, როგორც საზოგადოებრივად საშიში და
მართლსაწინააღმდეგო ქმედობა. სახალხო სასამართლოებს არაერთგზის განემარტათ, რომ
მათ ზუსტად შეაფასონ ჩადენილი ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება, რათა არ დაკმა-
ყოფილდნენ დანაშაულის შემადგენლობისადმი ქმედობის ფორმალური შესაბამისობით და
ადგილი არ ექნეს უკანონო მსჯავრდებას.

აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ ფაქტი და მისი სოციალურ-პოლიტიკური და
სამართლებრივი მნიშვნელობა ერთმანეთზე არ დაიყვანებიან, თუმცა არც მათი ერთმანეთი-
საგან მოწყვეტაა გამართლებული. ჭეშმარიტების შინაარსში დანაშაულის კვალიფიკაციის შე-
ტანის მომხრე კრიმინალისტები სწორად მიუთითებენ, რომ ფაქტისა და მისი იურიდიული
მნიშვნელობის ერთმანეთისაგან მოწყვეტა დაუშვებელია, მაგრამ ეს მითითება ლოგიკურად
ნიშნავს ფაქტისა და მისი მნიშვნელობის ერთმანეთზე დაყვანის დაუშვებლობასაც. მართლაც,
შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ დანაშაულის სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა ჭეშ-
მარიტობა-მცდარობის კრიტერიუმით ვერ გაიზომება. დანაშაულის ეს მნიშვნელობა გასაგები
ხდება მაშინ, როდესაც ქმედობის შეფასებას ღირებულების საფუძველზე განვახორციელებთ.

ყოველი შეფასება, ცხადია, გარკვეული სუბიექტური აქტია, მაგრამ თუ ის ღირებულე-
ბის ობიექტურობის პოზიციიდან ხორციელდება, მაშინ შეფასებაც ობიექტური აღმოჩნდება.
ამიტომ დანაშაულის კვალიფიკაციის გატანა სისხლის სამართლის საქმეზე დასადგენი ჭეშმა-
რიტების შინაარსიდან სრულიადაც არ არის სუბიექტივიზმის წინაპირობა, როგორც ეს ზოგი-
ერთ საბჭოთა იურისტს ესახება. მაგალითად, ვ. ი. დოროხოვი ფიქრობს, რომ დანაშაულის კვა-
ლიფიკაციის შეფასებითი ასპექტის აღიარება კვალიფიკაციაში თვითნებობის აღიარებაა¹⁴.
სინამდვილეში საქმე ეხება ლოგიკურ-გნოსეოლოგიური და აქსიოლოგიური ასპექტების გან-
სხვავებას. დანაშაულის სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა გნოსეოლოგიური თვალსაზ-
რისით ვერ გაიგება, მაგრამ შეფასებასაც თავისი ლოგიკა აქვს. საქმე ეხება შეფასების სა-
ფუძვლის პრობლემას. თუ შეფასების საფუძველი სწორადაა გამოძენილი, მაშინ შეფასებაც
ობიექტურია. შეფასება, როგორც აქტი, არ შეიძლება ჭეშმარიტობა მცდარობის ნიშნით დახა-
სიათდეს. სამწუხაროდ, გნოსეოლოგიურისა და აქსიოლოგიურის აღრევის შედეგია მტკიცება,
რომ სამართლის ნორმა — ეს არის სამართლებრივი შეფასების ობიექტური საშუალება და
შეფასების ჭეშმარიტების ობიექტური ეტალონი¹⁵.

სამართლის ნორმის ამგვარი გაგების შემთხვევაში შემეცნებისა და შეფასების მიმართე-

¹⁴ ვ. ი. დოროხოვის დასახ. ნაშრომი, გვ. 172.

¹⁵ А. В. Наумов, А. С. Новиченко, Квалификация преступления как логическая форма юридической оценки, «Правоведение», 1981, № 2, с. 88.

ბის საკითხი ლოგიკურად მოხსნილად უნდა ჩაითვალოს, რაც, თავის მხრივ, ჭეშმარიტების ცნებისა და დანაშაულის კვალიფიკაციის ცნების მიმართების მოხსნის ლოგიკურ საფუძველს წარმოადგენს.

იმის გამო, რომ დანაშაულის კვალიფიკაციას ორმაგი ბუნება აქვს, კითხვაზე: შედის თუ არა სისხლის სამართლის საქმეზე დასადგენი ჭეშმარიტების შინაარსში დანაშაულის კვალიფიკაცია, ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა, როგორც ითქვამს, სწორი არ იქნება. თუ მხედველობაშია სისხლის სამართლის კანონისა და ჩადენილი ქმედობის ნიშნების შესაბამისობა, მაშინ კვალიფიკაცია ლოგიკურად სწორი და გნოსეოლოგიურად ჭეშმარიტი უნდა იყოს. თუ მხედველობაშია დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათისა და ხარისხის დადგენა, მაშინ დანაშაულის კვალიფიკაცია აქსიოლოგიურად ობიექტური უნდა იყოს, უნდა გამოხატავდეს ქმედობის ობიექტურ საზოგადოებრივ მნიშვნელობას. ამ აზრით დანაშაულის კვალიფიკაციის ეს ასპექტი სისხლის სამართლის საქმეზე დასადგენი ჭეშმარიტების შინაარსში არ შედის.

როგორც ჩანს, დანაშაულის კვალიფიკაციაში ერთიანდებთან ჭეშმარიტების ობიექტურობა, რომელიც შემადგენლობის საკანონმდებლო ნიშნებისა და ჩადენილი ქმედობის ნიშნების ზუსტ შესაბამისობაში ვლინდება, და შეფასების ობიექტურობა, რომელიც ჩადენილი ქმედობის ობიექტურ საზოგადოებრივ მნიშვნელობათა დადგენაში ვლინდება, ამ ერთიანობაში ვლინდება, ზოგადად რომ ვთქვათ, ფაქტისა და მისი მნიშვნელობის ერთიანობა, როდესაც ჩადენილი ქმედობის ფაქტობრივი სტრუქტურა გარკვეულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში სრულიად გარკვეულ საზოგადოებრივ მნიშვნელობას იძენს და საქმე ამ მნიშვნელობის ზუსტ გაგებასა და დაფიქსირებას ეხება.

აქედან ისიც ჩანს, რომ ფაქტისა და მისი მნიშვნელობის არც ერთმანეთისაგან მოწყვეტა შეუძლებელია და არც ერთმანეთზე დაყვანა. ლიტერატურაში კი რატომღაც ყურადღებას მხოლოდ მათი ერთმანეთისაგან მოწყვეტის დაუშვებლობაზე ამახვილებენ და არაფერს ამბობენ იმ შედეგებზე, რომლებიც მათი ერთმანეთზე დაყვანის გამო ლოგიკურად ყალიბდებიან. თუ ფაქტის მნიშვნელობა ფაქტამდე დაფიქსირებულია, მაშინ ლოგიკურად რჩება მხოლოდ ფაქტი და იხსნება მისი მნიშვნელობა. უფრო განზოგადებული სახით რომ ვთქვათ, ფაქტამდე მისი მნიშვნელობის დაყვანა არის ღირებულების, როგორც შეფასების საფუძველის, ლოგიკური მოხსნა, რაც დანაშაულის კვალიფიკაციის ასპექტში ნიშნავს დანაშაულის კვალიფიკაცია გავიგოთ, როგორც მხოლოდ სისხლის სამართლის კანონისა და ჩადენილი ქმედობის შესაბამისობის დადგენა ჩადენილი ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათისა და ხარისხის მიუხედავად. ამ ლოგიკით კი ჩვენ იძულებული ვიქნებოდით დანაშაულის ჩადენაზე გველპარაკა მაშინაც, როდესაც ქმედობა ფორმალურად შეესაბამება სისხლის სამართლის კანონს, ე. ი. საზოგადოებრივად საშიში და მართლსაწინააღმდეგო არ არის.

გასაგები უნდა იყოს, რომ ფაქტამდე მისი მნიშვნელობის დაყვანა ფრიად საშიში სოციალური და პოლიტიკური შედეგების ლოგიკური წინამძღვარია. ამიტომ დანაშაულის კვალიფიკაციის ორმაგი ბუნება ყოველთვის უნდა გვქონდეს მხედველობაში, რათა ყოველი მოსალოდნელი უკიდურესობა თავიდან იქნეს აცილებული. ამგვარ უკიდურესობათა თავიდან აცილება ერთგვარად უზრუნველყოფილია იმით, რომ დანაშაულის საკანონმდებლო აღწერილობისა და ჩადენილი ქმედობის შესაბამისობა, როგორც წესი, ამ ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროებისა და მართლწინააღმდეგობის მაჩვენებელია. მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება ისინი ერთმანეთს დაშორდნენ, როდესაც ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება ეჭვს იწვევს და საგანგებო დასაბუთების მოითხოვს, ან არსებობენ საზოგადოებრივი საშიშროებისა და მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოებანი და საგანგებო ანალიზს მოითხოვენ.

ამრიგად, დანაშაულის კვალიფიკაცია ორმაგი ბუნებისა და ამიტომ ორნაირ მიდგომაში მოითხოვს. ლოგიკურ-გნოსეოლოგიური თვალსაზრისით, რამდენადაც აქ საქმე ეხება დანაშაულის საკანონმდებლო აღწერილობისა და ჩადენილი ქმედობის ზუსტი შესაბამისობის დადგენას, კვალიფიკაცია ჭეშმარიტია. აქსიოლოგიური თვალსაზრისით, რამდენადაც აქ საქმე ეხება ჩადენილი ქმედობის სოციალურ-პოლიტიკური და სამართლებრივი მნიშვნელობის დადგენას, კვალიფიკაცია უნდა იყოს ობიექტური, შეფასების საგნის ადექვატური. დანაშაულის კვალიფიკაციის ლოგიკურ-გნოსეოლოგიური და აქსიოლოგიური ასპექტების ერთიანობა სამართლიანი სასჯელის დანიშვნის აუცილებელი წინაპირობაა.

ავტორის თხოვნით ჰონორარი გადარიცხება 9 აპრილს დალუპულთა მე-მორილის ასაგებ ფონდში.

საჭიროა თუ არა პროფესიული დახასიათება?

ვარლან სიმონიშვილი,

საქართველოს სსრ პროკურატურის პროკურორ-კრიმინალისტი, იუსტიციის
უფროსი მრჩეველი

ძირითადად საუბარი გვექნება მხოლოდ იურიდიული პროფესიისათვის საჭირო დახასიათებაზე, ამიტომ გავიხსენოთ სსრ კავშირის გენერალური პროკურორის 1963 წლის 15 აგვისტოს ინსტრუქცია „პროკურატურის ორგანოების საპროკურორო და საგამოძიებო მუშაკების ატესტაციის შესახებ“, სადაც აღნიშნულია, რომ საპროკურორო და საგამოძიებო მუშაკის დახასიათებაში გაშუქებული უნდა იყოს მისი პოლიტიკური, საქმიანი და პირადი თვისებები. ეს კი, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, შესასრულებლად არც თუ ისე ადვილია. საატესტაციო დახასიათებაში თითქმის სრულიად გამორჩეულია დახასიათებისათვის გენერალური პროკურორის მოთხოვნის სამი შემადგენელი ნაწილის ორი პუნქტი: პიროვნების საქმიანი დახასიათება (რაც შეეცვლილია სტატისტიკური მონაცემებით) და პიროვნების პირადი თვისებების აღწერა (რაც საერთოდ გამორჩენილია არსებული დახასიათებიდან).

აღნიშნული მდგომარეობა ერთეული რომ იყოს, შესაძლებელია არც მიგვექცია დიდი ყურადღება, მაგრამ ინსტრუქციის აღნიშნული მითითება ფაქტობრივად, საერთოდ არ შესრულებულა და ამდენად იგი არასწორ სისტემას, უფრო ზუსტად, საერთოდ უსისტემობას უნდა მივაკუთვნოთ.

ვფიქრობთ, რომ სხვა პროფესიებიც განიცდიან მეცნიერულად დამუშავებულ შედარებით უნიფიცირებულ დახასიათების უქონლობას. გარდა იურისტებისა, შევისწავლეთ ექიმებისა და სარემონტო კანტორის მუშაკების დახასიათებებიც და მათი მსგავსება აშკარა გახდა. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ მხოლოდ მათ მიერ შესრულებული პროფესიული სამუშაოს დასახელებით. მაგალითად, რომ ისინი ჩაბმული იყვნენ პოლიტიკური სწავლების ქსელში, იმალდებდნენ იდეურ-პოლიტიკურ დონეს და სხვა ასეთი საერთო დეტალები; არცერთ დახასიათებაში არ არის მოცემული მათი ბუნებიდან გამომდინარე საქმიანი და პირადი თვისებები.

ბუნებრივია, იზადება კითხვა: გვინდა კი პროფესიული დახასიათება, ანდა რას წარმოადგენს იგი?

საკითხის აღნიშნული ფორმით დაყენება შეიძლება პრიმიტიულადაც კი მოგვეჩვენოს, მაგრამ, ვინაიდან მისი საჭიროება აშკარაა და გარდა ამისა, სსრ კავშირის გენერალური პროკურორიც ამასვე მოითხოვს, საეჭვო თითქოს აღარაფერია, მაგრამ იგი მაინც არ ხორციელდება, რადგან ადამიანთა შეგნებაში ჯერ კიდევ მყარად არის ფესვგადგმული კონსერვატიზმი და ბიუროკრატიზმი. ახლის დანერგვისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ თვით-შეგნებაზე დაყრდნობა; საჭიროა მისი ადმინისტრაციული წესით გატარება და რა თქმა უნდა, საძრახისი არ იქნება თუ ამ საქმის პიონერები კავშირის მასშტაბით ჩვენ ვიქნებით.

დღეისათვის არსებული დახასიათება ფაქტობრივად ადამიანის ფორმა-ლურ-ბიუროკრატიული უსახო აღწერაა, რომლის მიხედვითაც არა თუ სხვები, არამედ ახლობლებიც კი ვერ ამოიცნობენ „დახასიათებულს“.

ადამიანებს ყოველთვის აინტერესებდათ მათთან კონტაქტში მყოფ პიროვნებათა თვისებები, ის, რაც მათ ქცევაში ძირითადია, რითაც შეიძლება და დასახულიყო მათი ქცევის პროგნოზი და პრიმიტიულად არჩევდნენ კიდევ ამ თვისებებს. შემდეგ საზოგადოების განვითარების კვალობაზე რეალურად გახდა შესაძლებელი ადამიანის ქცევის შესწავლა. ფსიქოლოგებმა შეიმუშავეს ამ თვისებების გამომჟღავნების ხერხები. ერთ-ერთ უმარტივეს ფორმას წარმოადგენს ტესტები, რითაც საზღვარგარეთ და ჩვენს ქვეყანაშიც სარგებლობენ დანტერესებული უწყებები, მაგრამ ჭრჭერობით იურიდიულ დარგში არ ხდება არც პროფშერჩევა და არც პროფესიული დახასიათების მოდელი არსებობს, მაშინ, როცა ჯერ კიდევ XVIII საუკუნის დიდი ფრანგი განმანათლებელი დენი დიდრო აღნიშნავდა, რომ ადამიანი რაიმეს გარეშე არ იბადება, ყოველი ადამიანი იბადება რაიმეს მიმართ განსაკუთრებული ნიჭით¹.

იურიდიულ მეცნიერებაში, სხვა დარგებთან შედარებით, განსაკუთრებით ძნელია პროფესიული შერჩევა. მხატვრებს, მუსიკოსებს, ფილოლოგებს, მათემატიკოსებს და სხვებს აშკარად გამოხატული მიდრეკილება გააჩნიათ, ხოლო იურისტებისათვის საჭირო აუცილებელი მონაცემების გამოვლენა კი პრაქტიკულად ძნელია და არ ხერხდება, რაც მხოლოდ მუშაობის დროს იჩენს ხოლმე თავს, როცა უკვე დაგვიანებულია და შეცდომებიც გარდუვალია.

დაბალი პროფესიული დონის გამო სამართლიანი პრეტენზიები იურიდიული კადრების მიმართ, არ არის ახალი პრობლემა და საკითხი პროფესიული შერჩევის არარსებობისა და სუსტი კადრების შესახებ მარტო დღეს არ დასმულა. სამწუხაროა, რომ იურიდიული ფაკულტეტები კმაყოფილებიან მაღალი კონკურსების არსებობით და ივიწყებენ, რომ ყველა აბიტურიენტი, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს მისაღები გამოცდები, არ შეიძლება გახდეს კარგი იურისტი, რომ მაღალ თეორიულ ცოდნასთან ერთად, საჭიროა პროფესიისათვის საჭირო მორალური თვისებები. ს. ა-იანი აღნიშნავდა: „პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ პირებს, რომლებსაც არ გააჩნიათ მოცემული პროფესიისათვის საჭირო საკმაო თვისებები, არა თუ უჭირთ ამ პროფესიის დაუფლება, არამედ არც შეუძლიათ მიადწიონ მაღალ შედეგებს. აღნიშნული ფაქტი დადასტურებულია მრავალწლიანი პრაქტიკით, მაგრამ ამაზე არავინ არ დაობს და არც არავითარი დასკვნები გამოაქვს ვისმეს. ისმება კითხვა, მიზანშეწონილია თუ არა წლების მანძილზე იხარჯებოდეს ძალები და თანხები ისეთი პირების მოსამზადებლად, რომელთა მუშაობის ეფექტი იქნება დაბალი, ხოლო „საიმედოების ხარისხი“ ძალზე მცირე“².

¹ ცნება ადამიანის თანდაყოლილი მიდრეკილების შესახებ დაკავშირებულია პლატონის სახელთან (428-348 წ. წ.), რაც შემდეგში განვითარდა ესპანელი ექიმის ზუან უარტეს შრომებში:

² «Советское государство и право», 1968, № 10, ст. 129.

იურიდიული კადრების დაბალი პროფესიული დონე დამოკიდებულია ორ გარემოებაზე: 1. არ ხდება იურიდიული კადრების პროფესიული შერჩევა (იურიდიულ ფაკულტეტებზე აბიტურიენტები ჩაირიცხებიან მხოლოდ დაგროვილი ქულების მიხედვით და არა იურიდიული პროფესიისათვის საჭირო თვისებების მიხედვით), რასაც ხელს უწყობს პროფესიული დახასიათების კითხვარის არარსებობაც. პროფესიული შერჩევისათვის გამოყენებული ტესტები გზას გადაუღობავს პროტექციონიზმს, პრესტიჟულობის მიზეზით არჩეული პროფესიის მსურველებს და იმ პირებს, რომლებსაც აქვთ ცრუ მიდრეკილება იურისპრუდენციისადმი და არა აქვთ ამ პროფესიისათვის საჭირო რეალური მონაცემები. 2. სურვილი, რომ იურიდიული კადრები იყოს კვალიფიციური, საერთო მიზანია, რაც დამოკიდებულია კონკრეტული ცოდნისა თუ თვისებების მოთხოვნაზე. ამ ამოცანის პრაქტიკული განხორციელების საშუალება პროფესიული დახასიათების კითხვარია, რაც კადრების პროფესიული ხარისხისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის გაუმჯობესების მეცნიერული საფუძველია.


პროფესიული შერჩევის საჭიროებას კ. კ. პლატონოვი ხუთი ნიშნით განსაზღვრავს³. 1. არსებობს თუ არა მოცემული დარგის შემსწავლელ მოსწავლეთა განთესვა ან ნაკლებად კვალიფიციური კადრების გამოშვება; 2. პროფესიული მოქმედების შედეგებზე დიდი პასუხისმგებლობა; 3. პროფესიული სწავლების განსაკუთრებული სიძვირე და სირთულე; 4. სწავლების შემჭიდროებული ვადები; 5. მოსწავლეთა მრავალრიცხოვნება.

შეიძლება ითქვას, რომ იურისპრუდენციას ხუთივე ნიშანი ახასიათებს, რადგან პროფესიული დახასიათებისა და პროფესიული შერჩევისათვის საწყისი ეტაპია პროფესიული დახასიათების კითხვარი, ამიტომ განვიხილოთ თუ რას წარმოადგენს იგი.

საერთო დახასიათებისათვის აუცილებელია ადამიანის ქცევის მრავალი თვისების კლასიფიკაცია და მათგან გამოყოფა იმ ძირითადისა, რაც მის გენეტიკურ კოდში არის დაპროგრამებული და ცხოვრების პირობებით მყარ ქცევად აქვს გადაქცეული. საერთოდ, როგორც ცნობილია, დახასიათება ეს არის ადამიანის იმ ძირითად შედარებით მდგრადი ფსიქოლოგიური თვისებების ერთიანობა, რაც გამოვლინდება მის მოქმედებებსა და ქცევებში.

განსხვავებით ადამიანის საერთო დახასიათებისა, პროფესიული დახასიათება, უპირველეს ყოვლისა, პროფესიისათვის წასაყენებელ მოთხოვნათა კითხვარია, და თუ ასეთი კითხვარი არ გვაქვს, ბუნებრივია, ვერც პროფესიულ დახასიათებას მოვითხოვთ. ხოლო მართო თვითშეგნებაზე დაყრდნობა, როგორც ცხოვრებამ გვიჩვენა, არ არის მართვის ბერკეტი, იგი მართო კეთილი სურვილია, სასურველი კი მოთხოვნის გარეშე მხოლოდ სურვილად რჩება და მოთხოვნის უქონლობის პირობებში სასურველიც თავისთავად თანდათან გაქრება. აღნიშნულს შედეგად მოჰყვება იურიდიული პროფესიის ავტორიტეტის დაცემა, რაც თავისთავად დაკავშირებულია სახელმწიფოს ავტორიტეტთან და მას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს.

³ К. К. Платонов «Проблемы способностей», «Наука», М., 1972, ст. 211.



ზემოაღნიშნული ინსტრუქციით გათვალისწინებული პროფესიული დახასიათება მოითხოვს ადამიანის საერთო საქმიან და პირადი თვისებების ჩამოთვლას, აგრეთვე იმ თვისებებს, რაც დამახასიათებელი და აუცილებელია მხოლოდ იურიდიული პროფესიისათვის. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ იურიდიული პროფესიული დახასიათება თავისთავში მოიცავს საერთო და სპეციალურ თვისებებს, რაც მას სპეციალურ დანიშნულებას ანიჭებს. აქედან გამომდინარე, ყველა პროფესიის დახასიათებას აქვს საერთო და კერძო თვისებების აღმნიშვნელი კითხვები.

ჩვენ მიერ, საპროკურორო და საგამოძიებო მუშაკებისათვის შემუშავებულ პროფესიული დახასიათების კითხვარში, გარდა სტანდარტული ნაწილისა, გათვალისწინებულია შემდეგი კითხვები: საგამოძიებო პროფესიის სიყვარული, საგამოძიებო პროფესიისადმი მიდრეკილება, პრინციპულობა, თანმიმდევრულობა, ნებისყოფა, დამოუკიდებლობა, აქტიურობა, ვაჟკაცობა, პუმანურობა, კანონისადმი პატივისცემა, გულულობა, თავმდაბლობა, ეგოისტობა, კულტურულობა, ყურადღებიანობა, მოხერხებულობა, შემოქმედებითი უნარი, შრომისმოყვარეობა, სიზარმაცე, საგამოძიებო ფანტაზია, მოქნილობა, სწორი მეცნიერული ორგანიზაციის უნარი, ურთიერთობა ზემდგომ ხელმძღვანელ მუშაკებთან, ადამიანებთან კონტაქტის დამყარების უნარი, ურთიერთობა კოლექტივის წევრებთან, ურთიერთ დამოკიდებულება ოჯახისადმი, ავტორიტეტულობა, აკმაყოფილებს თუ არა პროფესიულ მოთხოვნებს, როგორი წარმოდგენა აქვს თავის თავზე და სხვა პროფესიული ცოდნის, თვისებებისა და უნარის აღმნიშვნელი საკითხები⁴.

ახლა, როცა კადრების საკითხი განსაკუთრებულად მწვავედ დგას და დღის წესრიგშია ჩვენი მუშაობის გარდაქმნისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების გადაუდებელი ამოცანები, წარმოდგენილია მათი წარმატებით განხორციელება თუ სხვა ღონისძიებებთან ერთად, არ გვექნება იურიდიული პროფესიისადმი წაყენებულ მოთხოვნათა რეალიზაციის ისეთი საშუალება, როგორიცაა იურიდიული პროფესიოგრაფია — პროფესიული დახასიათების კითხვარი.



⁴ ჩამოთვლილი კითხვები ნაწილია ჩვენ მიერ შემუშავებული პროფესიონალური თვისებების აღმნიშვნელი კითხვარისა, რის სრულყოფილებაზეც პრეტენზია არ გავაჩნია, იგი ჩამოყალიბების პროცესშია და გათვალისწინებულია მისი შემდგომი დახვეწა.

საქართველოს იურისტთა კავშირის დაფუძნებელი ყრილობა

სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის იდეამ ძალიან ბევრი რამ სრულიად ახალი კუთხით წარმოაჩინა. დღის წესრიგში დადგა სოციალური პროცესების ქმედითი სამართლებრივი რეგულირების საკითხი, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცება, კანონმდებლობის ერთიანი სრულყოფა, კანონიერებისა და მართლწესრიგისათვის ბრძოლის გაძლიერება. ქვეყანაში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმის განუყოფელი ნაწილი კი უპირველესად სწორედ იურისტთა ავტორიტეტის ზრდა, მათი მასობრივი ორგანიზაციის შექმნის აუცილებლობაა, რაც ასე დაბეჯითებით მოითხოვა თვითონ ცხოვრებამ.

და აი, 1989 წლის 12 ივნისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის დამფუძნებელი ყრილობა, რომელშიც მონაწილეობდნენ რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების მიერ არჩეული დელეგატები, სტუმრად მოწვეული თვალსაჩინო პრაქტიკოსი და მეცნიერი იურისტები, რედაქციებისა და შემოქმედებითი ორგანიზაციების წარმომადგენლები. იურისტთა კავშირის შექმნის მიზნები და ამოცანები არა მარტო კეთილშობილური, არამედ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა, მან ხელი უნდა შეუწყოს იურისტთა პოზიციის გააქტიურებას სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირებაში, გააუმჯობესოს მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდა და საყოველთაო იურიდიული სწავლების ორგანიზაცია, განავითაროს იურისტებთან თანამშრომლობა, უზრუნველყოს გარდაქმნის მიერ დასახული გადაწყვეტილებების აუცილებელი შესრულება და სხვ.

ყრილობა გახსნა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა ვ. შარაშენიძემ, რომლის წინადადებითაც დელეგატებმა აირჩიეს ყრილობის პრეზიდიუმი, მისი მუშაობის ხელმძღვანელი ორგანოები და ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი:

1. მოხსენება — იურისტთა კავშირის მიზნები და ამოცანები;
2. სამანდატო კომისიის მოხსენება;
3. იურისტთა კავშირის წესდების პროექტის განხილვა-დამტკიცება;
4. არჩევნები: იურისტთა კავშირის გამგეობის, სარევიზიო კომისიის, სსრ კავშირის იურისტთა კავშირის დამფუძნებელი ყრილობის დელეგატების.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სახელით ყრილობას მიესალმა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ანჩაბაძე.

ძირითადი მოხსენება — „იურისტთა კავშირის მიზნები და ამოცანები“, გააკეთა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ ზ. რატიაშვილმა.

სამანდატო კომისიის შესახებ მოხსენება გააკეთა მისმა თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იურიდიული განყოფილების უფროსმა დ. ლორიაშვილმა.

დამფუძნებელ ყრილობაზე ფართო და საინტერესო დისკუსია გაიმართა იმ პრობლემატურ საკითხებზე, რომლებიც მოხსენებებში იყო წამოყენებული. განსაკუთრებული სჯა-ბაასი გაჩაღდა კავშირის წესდების პროექტის გარშემო. დელეგატთა აზრი ერთსულოვანი იყო იმაში, რომ იურისტთა გაერთიანების საქმიანობა მრავალმხრივი და მრავალფეროვანი უნდა იყოს, იგი აქტიურად უნდა უწყობდეს ხელს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლების განმტკიცებას, სოციალური პროცესების სამართლებრივ მოწესრიგებას, ხაზი გაესვა იმას, რომ კავშირის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია უნდა გახდეს თვით იურისტების უფლებებისა და ინტერესების დაცვა, მათი სულიერი და მატერიალური ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის ზრუნვა. ისიც დაუფარავად ითქვა, რომ ჩვენს საზოგადოებაში ბოლო ათწლეულების მანძილზე დაშვებული შეცდომების შედეგად წარმოიქმნა ისეთი სამართლებრივი ნიჰილიზმი, როდესაც კანონიერებამ, კანონისადმი პატივისცემამ თანდათანობით დაკარგა ავტორიტეტი, ხოლო ცხოვრებაში დამკვიდრებულმა უკანონობამ, სათანადო წესრიგის უქონლობამ, შრომის დისციპლინის მოშლამ, კანონების შემცველი უწყებრივი ინსტრუქციების გაუმართლებელმა სიუხვემ მკვეთრი გავლენა მოახდინა ქვეყნის სამეურნეო მართვის დონეზე: დელეგატთა გამოსვლებში სხვაც ბევრი იყო ისეთი საკითხები, რომელთა განხორციელებამაც მკვეთრად უნდა აამაღლოს ქვეყანაში სამართლებრივი კულტურა და განამტკიცოს კანონიერება.

ყრილობაზე სიტყვებით გამოვიდნენ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის პირველი მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი **მ. უგრეხელიძე**, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი, პოეტი **ჯ. ჩარკვიანი**, ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი **გ. ტყეშელაძე**, ქ. რუსთავის პროკურორი **ა. ლომიძე**, უხუცესი ადვოკატი **ბ. ხომერიკი**, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო განყოფილების უფროსის მოადგილე **ჯ. ვახოკიძე**, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი **ი. გოჯილაშვილი**, საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი **ო. კაციტაძე**, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი, დ. აღმაშენებლის სახელობის საზოგადოების თავმჯდომარე, მწერალი **გ. ფანჯიკიძე**, უხუცესი იურისტი **გიგენავა**, ადვოკატი **ვ. კერესელიძე**, ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი **მ. კეკელია**, ქ. თბილისის აგრომრეწვის იურიდიული განყოფილების უფროსი **შ. მახარაძე**, გაზეთ „თბილისის“ რედაქციის მუშაკი **თ. ქორიძე**, ადვოკატი **ქ. ღარიბაშვილი**, იურიდიული ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტი **გ. თავდიშვილი**. ყრილობამ აირჩია რესპუბლიკის იურისტთა კავშირის ხელმძღვანელი ორგანოები, კავშირის გამგეობა და სარევიზიო კომისია. აირჩიეს აგრეთვე სსრ კავშირის იურისტთა კავშირის დამფუძნებელი ყრილობის დელეგატები.

საქართველოს იურისტთა კავშირის თავმჯდომარე გახდა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე **ზ. რატიანი**.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები **ო. გონაძე**, **ვ. ლორთქიფანიძე**, **პ. ჩხეიძე**, განყოფილების გამგის მოადგილე **ა. პაპუაშვილი**, საქართველოს

კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის თავდგომარე **ს. რიგვავა**, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე **ა. კარანაძე**, საქართველოს სსრ პროკურორი **ვ. რაჭმაძე**, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი **შ. გორგოძე**, საქართველოს სსრ სახალხო განათლების მინისტრის პირველი მოადგილე **ნ. ვასაძე**, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების უფროსი **ი. ჩიქოვანი**, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თავმჯდომარე **ნ. წერეთელი**.

ვრცელ მასალებს დამფუძნებელი ყრილობის შესახებ მოგაწვდით ჩვენი ჟურნალის უახლოეს ნომერში.

იურიდიული ლიტერატურის გამომცემის სრულყოფისათვის

მიმდინარე წლის 7 ივნისს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ ინიციატივით მოეწყო „მრგვალი მაგიდა“ შეცნიერ და პრაქტიკოს იურისტებთან სამართლებრივი ლიტერატურის გამოცემის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

შეხვედრა გახსნა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ დირექტორმა **ჯ. ჩარკვიანმა**. დღეს, თქვა მან, ისე როგორც არასდროს, ჩვენ ქვეყანას კირდება რაც შეიძლება მეტი განათლებული იურისტი. ჯერჯერობით ჩვენთან იურისტებს ფაქტიურად ფუნქცია არა აქვთ. დაბალია მოსახლეობის მართლშეგნების დონე. ყრილობის დღეებში, როცა ჩვენი დებულებების საქმიანობას ვფასებდით, ყველამ ნათლად დავინახეთ იურიდიული განათლების აუცილებლობა.


„საბჭოთა საქართველო“ ერთადერთი გამომცემლობაა, რომელიც იურიდიულ ლიტერატურას გამოსცემს. ჩვენთვის ძალიან საინტერესოა თქვენი აზრი ჩვენი მუშაობის შესახებ, თქვენგან ველოთ საქმიან წინადადებებს, შენიშვნებს, რჩევებს თუ როგორ უნდა ვითანამშრომლოთ მომავალში, როგორ წარგმართოთ ჩვენი შემდგომი საქმიანობა.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ დირექტორის მოადგილე **ა. ჩიქოვანმა** ისაუბრა გამომცემლობის მუშაობის სირთულეებზე და აღნიშნა: ჩვენი გამომცემლობისათვის დიდძალი ვენელოვანია ის გარემოება, რომ XIX საკავშირო პარტიულმა კონფერენციამ დასახა სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის ამოცანა. ამის განხორციელებისათვის კი აუცილებელია მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის შემდგომი სრულყოფა. საჭიროა სათანადო ტი-

რადიტი გამოდიოდეს იურიდიული ლიტერატურა, როგორც სპეციალისტებისათვის, ასევე ფართო მკითხველისთვის.

ბოლო წლებში გამომცემლობამ იურიდიული ლიტერატურის გამოცემის თვალსაზრისით კოლოსალური მუშაობა ჩატარა. გამოვეცით „საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებულები“ 19-19 ტომი რუსულ და ქართულ ენებზე; დავასრულეთ „კანონთა წიგნის“ გამოცემა (ესეც რუსულ და ქართულ ენებზე 7-7 ტომი), დავსტამბეთ სხვადასხვა კოდექსები, ნორმატიული აქტების კრებული. თუ ამას დავუმატებთ მასობრივი მკითხველისათვის და სპეციალისტებისათვის გამომცემულ სხვა წიგნებსაც, ნათელი გახდება თუ რა სიძნელების გადატანა მოგვიხდა. 12 წლის მანძილზე ფაქტიურად შევასრულეთ 40-45 წლის მოცულობის სამუშაო. სამწუხაროდ, იურიდიული ლიტერატურა რატომღაც გავლენას ვერ ახდენს მასობრივ მკითხველზე. ეს ალბათ იმიტომ ხდება, რომ ლიტერატურის უმეტესობა სპეციალისტებისათვის არის განკუთვნილი და თავისი სპეციფიკურობის, მოუქნელი ენის გამო მისი გაგება ძნელდება. მიმაჩნია, რომ ჩვენს შემდგომ მუშაობაში აქცენტი უნდა გადავიტანოთ მცირე მოცულობის გამომცემებზე, რომლებშიც გათვალისწინებული უნდა იყოს ფართო საზოგადოების ინტერესები.

ხომ უამრავი სამუშაოს შესრულება შეეძლებოდა ბოლო 12 წლის მანძილზე, მაგრამ მაინც განვიცდით ისეთი საჭირო და აუცილებელი ლიტერატურის ნაკლებობას, როგორც არის კანონის კომენტარები. თუ არ ჩავთვლით საკ-



მაოდ დიდი ხნის წინათ გამოცემულ სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის კომენტარებს, სხვა კომენტარები არ ვაგვანია. სამარცხინოდ მიმაჩნია ის ფაქტი, რომ დღემდე არა გვაქვს იურიდიული ლიქსიკონი, ცნობარები, მაშინ როცა, ზოგჯერ იძულებული ვართ გამოვცეთ წყალწყალა ლიტერატურა, რადგან მათ ავტორებს მოტანილი აქვთ „შესანიშნავი“ რეცენზიები. სწორედ წიგნების რეცენზირებაზე მინდა კიდევ შევაჩერო თქვენს ყურადღება. ხშირად უხერხულ სიტუაციაში ვვარდებით. არის შემთხვევები, როდესაც რედაქციის მიერ დაწუნებულ მასალაზე ავტორს მოაქვს დადებითი რეცენზია, რომელიც მიღწეული აქვს არაკეთილსინდისიერი გზით. ამ საქმეში მეტი პრინციპულობა და ობიექტურობა გვმართებს. თითოეული უნდა გაუფრთხილდეს თავის და რაც მთავარია ქართული იურისპრუდენციის ავტორიტეტს.

იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა **ვ. მეტრეველმა** აღნიშნა, რომ ბოლო დროს მართლაც დადებითი ძვრები შეიმჩნევა იურიდიული ლიტერატურის გამოცემის საკითხში, მაგრამ მაინც მძიმე მდგომარეობა გვაქვს კონსტიტუციური ანუ სახელმწიფო სამართლებრივი ლიტერატურის გამოცემის თვალსაზრისით. ასე თუ ისე, გვაქვს ლიტერატურა სისხლის და სამოქალაქო სამართალში, თუმცა, შიშველი რიგი დარგები, რომ იტყვიან, მიტოვებული გვაქვს. დღეს საქართველოში მხოლოდ ერთი კაცი მუშაობს შრომის სამართალში, ასევე სამეურნეო და საფინანსო სამართალში. ეს იმიტომ კი არ მოხდა, რომ ნიჭიერი კაცი დაელოა საქართველოს, არამედ იმიტომ, რომ თვით დარგმა დაკარგა ფუნქცია. დღემდე იურისტი ესმით როგორც მოსამართლე და პროკურორი, რადგან იურისტის ადგილი უკავიათ პარტიულ მუშაკებს და საკითხებსაც ისინი წყვეტენ. თუ გვინდა შევქმნათ სამართლებრივი სახელმწიფო, იურისტმა თავისი ადგილი უნდა დაიკავოს ქვეყანაში.

რაც შეეხება წიგნების რეცენზირებას, ჩემი აზრით, უნდა დაიბეჭდოს ყველაფერი, რა თქმა უნდა მცირე ტირაჟით, როცა მკითხველი შეაფასებს, ვაირკვევა რა არის კარგი და რა არა, მოწონებული წიგნი უკვე სათანადო ტირაჟით უნდა გამოიცეს.

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **გ. როინიშვილმა** აღნიშნა, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს გამოცემის ხარისხი, ის რაც იურისტის სამაგიდო წიგნია ერთ-ორ ხმარებაზე არ უნდა გვადნებოდეს ხელში.

ოვ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიუ-

ლი ფაკულტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგემ, პროფესორმა **ხ. ჯორბენაძემ** წამოაყენა წინადადება გამოიცეს საქართველოს ხუთივე კონსტიტუციის ტექსტი, რადგან დღეს მწვავე ნაკლებობა გვაქვს სწორედ კონსტიტუციური კანონმდებლობისა. მიუხედავად, რომ უნივერსიტეტის პროფესორს **გ. ერემოვს** უკვე მზად აქვს საამისო მასალა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფო სა და სამართლის კვლევის ცენტრის დირექტორმა **თ. შავგულიძემ** თქვა, რომ წერა მეტად მძიმე საქმეა, იგი უდიდეს ფიზიკურ და გონებრივ დაძაბულობას მოითხოვს. მიუხედავად ამისა, ავტორს არა აქვს გარანტია, რომ თემატური გეგმით მომზადებული მისი წიგნი გამოიცემა. გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ კი მასალა ძველდება და ფაქტიურად გამოგვდის წყალში ჩაყრილი შრომა. ამიტომ მიმაჩნია, რომ ხელშეკრულებები ავტორსა და გამომცემელს შორის უნდა იყოს გრძელვადიანი და ორივე მხარისათვის ითვისაწინებდეს ეკონომიკურ პასუხისმგებლობას პირობების დარღვევისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ **გ. დევდარიანმა** ისაუბრა მასობრივი მკითხველისათვის საჭირო ლიტერატურის ნაკლებობაზე. აღნიშნა, რომ არა გვაქვს იურიდიული ცნობარები, რაც დიდ დაზარებას გაუწევდა მოსახლეობას.

რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლის პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების გამგემ **ო. ჩიქვაძემ** სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიაში არ არის არც ერთი იურისტი. უამრავი ხარვეზი აქვს კანონის ქართულ ტექსტებს. გამოითქვა სურვილი მჭიდრო კონტაქტი იქონიონ ენათმეცნიერებთან, რომ კანონი მარტივი, ლაკონური ენით იწერებოდეს და გასაგები იყოს ყველასათვის.

რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ **ზ. რატინამ** თქვა: ჩვენში დამკვიდრდა პრაქტიკა — ნორმატიული მასალის ორენოვანი გამოცემა. დროა უარი ვთქვათ ამაზე, რადგან რუსული ტექსტი იმ რაოდენობით არ არის საჭირო როგორცაა ქართული. ისინი უნდა გამოვცეთ ცალ-ცალკე შესაბამისი ტირაჟებით, გამოთავისუფლებული ქალაქი კი დღევანდელი მწვავე დეფიციტის პირობებში გამოვიყენოთ საჭიროებისამებრ.

საქციების სამმართველოს უფროსმა **რ. ჭიჭინაძემ** ისაუბრა მათ მუშაობაში არსებულ სიძინელებზე. აღნიშნა, რომ 12 წელიწადში დაგროვდა უამრავი ლიტერატურა, რაც სირთულეებს უქმნის მის რეალიზაციას.

ამჟამად დიდი როდენობითაა დაგროვილი

„კანონთა წიგნი“. დღეს სრული სამეურნეო ანგარიშის პირობებში გაუსაღებელი ლიტერატურა ტვირთად აწვება საქწიგნს. რთული გადასაწყვეტია ტირაჟის საკითხიც. ხშირად წიგნების რაოდენობა და მოთხოვნილება არ ემთხვევა ერთმანეთს, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს მათ ფინანსურ მდგომარეობაზე; გამოთქვა რწმენა, რომ იურისტებთან თანამშრომლობა დაეხმარებათ პრობლემების გადაჭრაში.

გამსახკომის თავმჯდომარემ რ. ლლონტა აღნიშნა, რომ პოლიგრაფიული დონე ეროვნული კულტურის გამოხატულებაა, ამიტომ მას ზრუნვა და ყურადღება სჭირდება. ელოდებიან უცხოურ ტექნიკას, რაც აამაღლებს გამოცემების ხარისხს. იურიდიული ლიტერატურა — თქვა მან, უნდა გამოდიოდეს სახელმწიფო შეკვეთის დონეზე. განზრახული გვაქვს შევქმნათ პოლიტიკური ლიტერატურის ცალკე გამომცემლობა. ჩემი აზრით, უნდა იყოს სპეციალური მაღაზიც, სადაც საქმის მცოდნე სპეციალისტები დაეხმარებიან მკითხველს სათანადო ლიტერატურის შერჩევაში. ჩვენში ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ფაქტობრივად ორჯერ გაიზარდა იურიდიული ლიტერატურის ტირაჟი. ახალი

ტექნიკა მეტ შესაძლებლობას მოგვცემს, თუმცა, მე მგონი, რაც გვაქვს არც ესაა ცოტა, თუ გამოვიჩენთ პრინციპულობას, ობიექტურობას და სუსტ წიგნებს, რომლებიც თავიდანვე მაღაზიის თაროებზე ჩასაწოლადაა განწირული, არ გამოვუშვებთ.

თქვენი ყურადღება მინდა შევაჩერო ერთ ფაქტზე. რატომღაც ისე ხდება, რომ ჩვენ ნაკლებად ვსტამბავთ ნათარგმნ ლიტერატურას. სპეციალისტები არ იღებენ მონაწილეობას მის შერჩევაში, ამიტომ ლიტერატურა არ შემოდის მიზნობრივად. სწორედ ამის გამოა, რომ საზღვარგარეთის საუბიბლიოტეკოებში ნაკლებად იცნობს ჩვენი მკითხველი. დღეს, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისათვის კიდევ უფრო მეტი კვალიფიციური იურიდიული ლიტერატურა გვჭირდება.

დასასრულ გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორმა ჯ. ჩარკვიანმა პასუხი გასცა მრგვალი მაგიდის მონაწილეთა შეკითხვებს.

**ზაირა მარტიავილი,
თეო ზაქარაძე.**

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული იუსტიციის ორგანოების მუშაობა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსების თაოსნობით ჩატარდა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე — „სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის პრობლემა და იუსტიციის ორგანოების ამოცანები“. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკურ კურსებზე კვალიფიკაციის ასამაღლებლად მყოფი სახალხო სასამართლოების თავმჯდომარეები, სახალხო მოსამართლეები, სსდომის მდივნები და სხვა დაინტერესებული თუ მოწვეული პირები.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა ვ. შარაშენიძემ.

შემდეგ დაიწყო მოხსენებების მოსმენა. კონფერენციაზე პირველი მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა, კურსების მსმენელმა თ. დარჩიაშვილმა. მისი თემა იყო — „XIX საკავშირო პარტიული კონფერენცია სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის შესახებ“. „საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის რეფორმა, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოების პრიორიტეტის დამკვიდრების გზები და საშუალებანი“ — ასეთი იყო ზაშურის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის მ. მულაშვილის გამოსვლა. მოხსენება თემაზე — „საბჭოთა ფედერაციის სრულყოფა, მოკავშირე რესპუბლიკების სტრუქტურულ უფლებათა გაფართოება — ეპო-

ქის მოთხოვნა“ გააკეთა სახალხო სასამართლოების სხდომის მდივნების ჩაუფის მსმენელმა **ზ. ველიჩანაშვილმა**.

მოსენებებში ნათლად გამოიკვეთა ის აზრი, რომ სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირება და განვითარება მკიდრულად დეკავშირებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლების განმტკიცებასთან, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის ურყევ დაცვასთან, დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერებასა და მისი წარმოშობი მიზეზების აღმოფხვრასთან. სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამართალდაცვითი ორგანოების სტრუქტურას, მათი უფლებამოსილებისა და სტატუსის დადგენას, რადგანაც სწორედ მართლმსაჯულების ორგანოებზე დამოკიდებული ადამიანთა ბედი და მათი კანონიერი უფლებების განხორციელება. ამიტომ, აუცილებელია რეალურად აღდგეს და განხორციელდეს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ლენინური პრინციპი, შეიქმნას მათი მხოლოდ კანონისადმი დამორჩილებულობის გარანტია. ჩვენი ქვეყანა ნამდვილად სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფო მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება, თუ კანონს ყველგან და ყოველთვის მტკიცედ დაიცავენ უპირველესად თვით სახელმწიფო ორგანოები, თანამდებობის პირები, შრომითი კოლექტივები, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები,

მოქალაქეები. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ეროვნულმა საკითხმა, კერძოდ კი სოციალისტური ფედერალიზმისა და დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინურმა გადაწყვეტამ, ერთაშორისი ურთიერთობების სრულყოფამ, რესპუბლიკების სუვერენულ უფლებათა გაფართოებამ, ამ მხრივ ჩვენს რესპუბლიკაში შექმნილმა მდგომარეობამ.

მოსენებათა განხილვაში მონაწილეობდნენ **ლ. კუპატაძე, მ. ჯანელიძე, ტ. ტაბატაძე** და სხვა მსმენელები.

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მუშაობა შეაჯამა რესპუბლიკური კურსების მეტოდიკური საბჭოს წევრმა, პროფესორმა **ა. ბენდიანიშვილმა**, რომელმაც ღირსეულად შეაფასა მომსენებელთა და კამათის მონაწილეთა გამოსვლები, აღნიშნა როგორც დადებითი ისე შემჩნეული ხარვეზები და მთლიანობაში მოიწონა ღონისძიება, რომელიც იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მულდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსების მიერ ჩატარდა.

სამეცნიერო-პრაქტიკულმა კონფერენციამ, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდნენ აგრეთვე საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე **ზ. რატიანი** და რესპუბლიკური კურსების დირექტორი **მ. კომახიძე**, მიიღო შესაბამისი რეკომენდაციები.

ნონა გოვიჩაიშვილი

ცნობილი სისხლის სამართლის საქმეები

თავდასხმა გლაჯგო — ლონდონის საფოსტო მატარებელზე

პოლ გაკი

უცვლელი ღიმილი

ჰუდს ორი ადვოკატი — ჯეიმსი და უიტერი იტავდნენ, აგრეთვე მათი მთავარი კლერკი ბრაიან არტურ ფილდი, რომელმაც წარმართა ეს საქმე. ბრაიან ფილდი მეტად ალერსიანი ადამიანი იყო, ხალხს ერთვად თავის უცვლელ ღიმილს სთავაზობდა. მეორედ იყო დაქორწინებული, მაგრამ შვილები ჯერ არ ჰყავდა. მისი მეორე ცოლი კარინი, წარმოშობით გერმანელი, მოგვიანებით ეურნალ „შტერნისათვის“ დაწერს წერილების სერიას საფოსტო მატარებლის გაძარცვის თაობაზე.


ჰუდსა და ფილდის ურთიერთობა გაცილებით მკვიდრო უნდა ყოფილიყო, ვიდრე ადვოკატსა და უბრალო კლიენტს შორის. მოგვიანებით ფილდთან კონტაქტს კი დაამყარა, რათა მას მონაწილეობა მიეღო ლეზერსლიდის ფერმების შესყიდვის თაობაზე გამართულ მოლაპარაკებაში, ხოლო კარინ ფილდი ერთ-ერთ თავის სტატიაში დაწერს, რომ მრავალ განგსტერს იცნობდა გაცილებით ადრე, ვიდრე ლონდონის აეროპორტში მოხდებოდა თავდასხმა.

უფრო მსხვილი ნადავლის ხელში ჩაგდებასათვის საფოსტო მატარებელზე თავდასხმა დაგეგმილი იყო უიკ-ენდზე, უშუალოდ წინასაღდესასწაულო უქმე დღეს, ადღგომა იქნებოდა ეს თვე შობა. რჩებოდა მხოლოდ ოპერაციის გეგმის დეტალების საბოლოო დაზუსტება, მატარებლების თაობაზე სხვადასხვა ცნობების — განრიგი, მარშრუტი, სიგნალები, მანევრები — გაანალიზება, ესე იგი, იმ ცნობებისა, რომელთაც სრულიად იოლად შეიტყობდნენ ვაგზლების კოსკებსა თუ სპეციალურ ეურნალებში.

გამოიყენეს აგრეთვე უშუალოდ რკინიგზებისაგან მიღებული ცნობები. მესამეხარისხოვანი პირები რამდენიმე ხანს დადიოდნენ საფოსტო განყოფილებებსა და ვაგზლებში, რათა „საქმისათვის“ აუცილებელი ინფორმაცია შეეკრიბათ. ეს ექვს არ აღძრავდა, რადგან ასეთ ადგილებში ყოველთვის მრავალი მგზავრი ტრიალებს ხოლმე.

როგორც გამოძიებისას გამოირკვა, ფსიქულოგებისა და ფილოსოფიის განკუთვნილი ვაგონი 7 აგვისტოს არ იყო სათანადოდ აღჭურვილი ამ მიზნისათვის და არც უსაფრთხოების უზრუნველყოფის განსაკუთრებული სისტემა გააჩნდა მას. სამი ასეთი სპეციალური ვაგონი თითქოსდა შემოხვევით გასარემონტებლად იდგა. ამან განგსტერებს ამოცანა გაუიოლა და ათჯერ ნაკლები დრო დასჭირდათ ვაგონის ხელში ჩაგდებისათვის. რკინიგზელები მოსყიდულები ხომ არ იყვნენ, ის ვაგონები მწყობრიდან რომ გამოეყვანათ?

ვაგონის ჩამოხსნა რთული არ იყო და შეიძლება ამის უხმაუროდ გაკეთებაც ესწავლათ, მაგრამ ბანდის მეთაურები თვლიდნენ, რომ მეტი საიმედოობისათვის ეს საქმე ნამდვილ რკინიგზელებს უნდა შეესრულებინათ.



ედვარდსი და კიდევ ერთი განგსტერი ტექნიკური საკითხებით იყვნენ დაკავებულნი. „საქმის“ მომზადებაში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ისეთი ვითარების შექმნა, რომ ნებისმიერი შემთხვევითობა გამორიცხული ყოფილიყო. ჯიმი უაიტის ემხრობოდა ბანდის წევრთა ყოველი მოვალეობის დუბლირების საკითხს.

საგზაო მუშაობით ჩაცმულნი

გეგმის დეტალურმა შესწავლამ ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი გამოავლინა. პირველი ის იყო, რომ თავდასხმისათვის გათვალისწინებულ ადგილზე მხოლოდ ლონდონიდან შოტლანდიისაკენ მიმავალი მატარებლები მოძრაობდნენ. თუ ყველაფერი ისე ჩაივლიდა, როგორც ეს გათვალისწინებული იყო და მატარებლებიც განრიგის მიხედვით იმოძრაავდნენ, მაშინ ძარცვა შემდეგი მატარებლის მოსვლამდე უნდა დამთავრებულიყო. მეორე ფაქტორი განგსტერების სასარგებლოდ იყო: შეამჩნიეს, რომ ბოლო ხანს ღამობით რკინიგზაზე მუშები რეკსებს არემონტებდნენ ხოლმე, ამიტომ საგზაო მუშებივით ჩაცმულ განგსტერებს ყველა შანსი ექნებოდათ რათა ეშპი არ აღეძრათ ვინმეს თვალში.

როცა ყველაფერი მზად იყო, შეუდგნენ ოპერაციის ყველა ფაზის რეპეტიციას. გაითამაშეს მთავარი სენეაც კი: ბანდიტებმა შეუტყეს წარმოსახვით ვაგონს და ძებნა დაუწყეს უხილავ საფოსტო ჩანთებს.

1963 წლის მაისის მოახლოებისას იმ პრობლემებზე დაიწყეს ფიქრი, რომლებიც ძარცვის შემდეგ წარმოიქმნებოდნენ. როგორ უზრუნველყოთ გაქცევის სხვადასხვა ვარიანტი? დამნაშავემ გარკვეულ შემთხვევაში შეიძლება საკუთარი სიცოცხლეც კი ანდოს მეორე დამნაშავეს, მაგრამ არასოდეს ანდობს მას თავის ფულს. ამდენად, ნადავლი დანაშაულის ადგილზე თუ არა, უკიდურეს შემთხვევაში, სადმე იქვე ახლოს მაინც უნდა გაენაწილებინათ.

ფირმა ლეზინსლიდვი

თავდაპირველად ნადავლის გაყოფას ბრაიან ფილდის სახლში ვარაუდობდნენ, მაგრამ უკანასკნელ წუთს შეცვალეს ეს გეგმა და სხვა ადგილს დაუწყეს ძებნა. მძარცველთა ყურადღება მიიპყრო ფერმა ლეზინსლიდვიში. ეს ფერმა თავის სახელზე შეიძინა 31 წლის ლონარდ დენის ფილდმა, რომელიც დროდადრო სავაჭრო ფლოტში მუშაობდა. ბრაიან ფილდთან არავითარი ნათესაური კავშირი არ ჰქონია. ლონარდმა იგი თავისი უფროსი

ძმის გარის მეშვეობით გაიცნო, რომელიც ჯემსი და უიტერის საადვოკატო კანტორის კლიენტი იყო და იმ დროს ცინემო იჯლა დღონის ცხენების დოპინგისათვის. ლონარდ ფილდს არცთუ ისე ძალიან უნდოდა ამ ოპერაციაში გარევა, მაგრამ ბრაიან ფილდთან ერთად მაინც გაემგზავრა ლეზინსლიდვი მდებარე ფერმაში.

ფერმა ეკუთვნოდა ფოსტის მოსამსახურეს ბერნარდ რექსონს. მოგვიანებით მან თქვა, რომ ვიღაც მამაკაცი მოვიდა „ფორდ-ზოლიაქოთი“, დაათვალიერა ფერმა და მთხოვა ოქს-ფორდში დავკავშირებოდი მის ადვოკატს. ჯონ დენბი უიტერმა უარყო ეს, თუმცა ბე 550 გირვანქა სტერლინგი — ფერმის ღირებულების მეთაფი ნაწილი — თვითონ შეიტანა.

ჯონ უიტერი ოპენჰეიმში სწავლობდა, ხოლო შემდეგ, 1941 წლის ოქტომბერში არმიაში შევიდა. 1945 წლის დეკემბერში მუშაობა დაიწყო არმიის იურიდიულ სამსახურში. მაიორის ჩინით განთავისუფლდა იქიდან და ხელი მიჰყო საადვოკატო პრაქტიკას. ჰყავს ცოლი და ორი ქალიშვილი.

სინამდვილეში ფერმის ყიდვას არც აპირებდნენ. უიტერი საქმის კურსში არ იყო და ფერმაში საქმიანობის დაწყება უკანონოდ მიჩნდა, ვიდრე მის ღირებულებას მთლიანად არ გადაიხდიდნენ. მაგრამ იგი დაარწმუნეს, რომ კლიენტი აუცილებლად 29 ივლისს უნდა გადმოსულიყო, რათა ჩამოეკიდა ნახატები, და რომ, ყოველგვარ ფულად ანგარიშებს 13 აგვისტოსათვის გასწორებდნენ. სინამდვილეში კი ამ დროისთვის ძარცვა უკვე დამთავრებული იყო და ბანდაც შორს იმყოფებოდა! რექსონი დაეთანხმა ამ უჩვეულო პრობებს და მყიდველი დაავალდებულა, რათა მისთვის დამატებით კიდევ გადაეხადა ვალის 9 პროცენტი.

ფერმის გასაღები მეზობელთან იყო. მოგვიანებით მან მასთან გასაღებისათვის მისული ადამიანი ასე აღწერა: მაღალი და მომზიბლავი მამაკაცი, ლონდონური აქცენტით, „ფორდ-ინგლისი“ მფლობელი.

ვითომ მხატვრები ან დეკორატორები იყვნენ ბანდის წევრები ისე მოდიოდნენ და მოდიოდნენ, რომ არავის ყურადღებას არ იქცევდნენ. მათ აქ ნებისმიერი მასალბიც კი შეეძლოთ მოეზიდათ და ამით ოდნავ ექვსაც კი არ აღძრავდნენ. თუმცა, კვების პროდუქტების ახლომახლო ყიდვას გაურბოდნენ, ძირითადი სანოვავე მათთვის ლონდონიდან მოჰქონდათ. მიუხედავად ამდენი სიფრთხილისა, რომ არავითარი კვალი არ დეტოვებინათ სახლში, ბანდის ერთ-ერთმა წევრმა უკეთესი ვერაფერი

მოფიქრა და ძარცვის წინ ერთი შეკვრა კარაქის საყიდლად ახლომდებარე სოფელში წავიდა.

ტრანსპორტის ორგანიზება დავალებული ჰქონდა 27 წლის ავტობოლოთ გატაცებულ რთი ჯონ ჯემსს. ისეთი ავტომობილები შე- არჩია, რომლებზედაც ორასი საფოსტო ტომარა დაეტოვდა. მოგვიანებით ერთ საბარგოზე უარი თქვა, რითაც შესაძლო ტვირთი 120 ტომარამდე შემცირდა.

ერთი „ლონდროვერი“, BMD 757 A ნომ- რით, შეისყიდეს, მეორე კი ლონდონის ლეი- ჩესტერ სკვერში 21 ივლისს მოიპარეს. ეს მანქანა ლურჯი იყო, მაგრამ ლეზერსლიედში მისვლისას უკვე ხაისფერი გახდა და ნომე- რიც BMD 757 A ჰქონდა. შემდეგ იყიდეს პატარა სატვირთო „ოსტინი“, მაგრამ საჭირო იყო ნომრის გამოცვლა: მანქანას „გრემი“ გაუ- კეთეს და ისეთ მანქანას დაამზავეს, როგო- რებიტაც რამდენიმე წლის წინ გაზეთებს და- ატარებდნენ. ტექნიკური ტალონი „გაფორ- მეს“ სწორედ ასეთ მანქანაზე. როცა ამ პაწია სატვირთოს მიაგნეს, პოლიცია ავტომობილად მცდარ გზას დაადგა.

ზოფრობა ყველამ უნდა იცოდეს

მომზადების შემდეგი ფაზა იყო ბრიდგოო ბრიჯსა და ლეზერსლიედს შორის არსებული გზის შესწავლა. გზა ბევრი იყო, ოღონდ ყვე- ლა ვიწრო და დაკლანძობილი. შოფრები და მათი დუბლიორები ყველა მათგანს ითვისებდნენ. ისინი თავდაპირველად დღისით ვარჯიშობდნენ, შემდეგ კი ღამითაც, რათა საჭირო შემთხვე- ვაში ჩამქრალი ფარებიტაც შეძლებოდათ სია- რული. ამას გარდა, ისიც გაითვალისწინეს, რომ ყველას, ვინც თავდასხმაში მიიღებდა მონაწილეობას, სკოდნოდა ავტომობილის მარ- თვა, რათა ყველა შესაძლო სიტუაციისათვის მზად ყოფილიყვნენ. გადაწყვიტეს კვალში დადევნების შემთხვევის დროს ყველაზე მნიშ- ვნელოვან ადგილებში გაენაწილებინათ სწრაფ- მავალი ავტომობილები.

პორტარტიული რადიოსალაპარაკო აპარატები და ა. შ.

„სარჩელის“ დღეს, დღით ჰუდი ირლანდი- აში გაემგზავრა, რათა ალიბი ჰქონოდა. ლაპა- რაკია დედასთან და ერთ მეგობარ ჯეკ კნო- ულსთან ერთად ფსევდოთევზობაზე. სინამდ- ვილეში კი ჰუდი ინგლისში დაბრუნდა შუად- ლის შემდეგ, ბილეთი კი მაკ-კონიგლის სა- ხელზე შეიძინა.


თავდასხმის ზოგიერთი მონაწილე ლეზერს- ლიედის ფერმაში მოვიდა ორშაბათს დღისით, საღამოს წავიდნენ და სამშაბათს შუადღის შემდეგ კვლავ დაბრუნდნენ. მომავალი ოპერა- ციის გამო აწრიალებულები იყვნენ. გრძელდე- ბოდა ეკიბირების შეგროვება: ელექტროფანა- რები სიგნალიზაციისათვის, პორტატიული რა- დიოსალაპარაკო აპარატურა. ამდაგვარად, შუ- ადღის შემდეგ ყველაფერი მზად იყო. სამხ- რეთ-აღმოსავლეთის ბანდა უკვე გამოემგზავ- რა ლონდონიდან, რათა პირდაპირ ადგილზე ჩამოსულიყო. რენიოლდსი ერთ-ერთ მახლობელ სოფელში იმყოფებოდა და სატელეფონო-სა- ლაპარაკო პუნქტში ზარს ელოდებოდა.

ბაშთვალისწინებელი გენერალური რეპეტიცია

მთელ ოპერაციას ფერმიდან ჰუდი ხელ- მძღვანელობდა. მას სამხრეთ-აღმოსავლეთის ბანდის ერთ-ერთი წევრი ეხმარებოდა. შენიღბ- ვის მიზნით ყოველდღიური ტანისამოსის ნაც- ვლად ნახევრადსამხედრო ფორმაში გამოეწყე- ნენ. ზოგიერთმა ზემოდან სპექტანისამოსიც გა- დაცვა, რათა რკინიგზის მუშებს დამგავებ- ბოდნენ. გარდა ამისა, თითოეულ მათგანს სა- ხეზე ჩამოსაფარებელი კაბიუშონიც ჰქონდა.

ოთხშაბათს, 7 აგვისტოს 00 საათსა და 30 წუთზე თავდასხმელები ფერმიდან გამოვიდ- ნენ. ზუსტად 2 საათსა და 30 წუთში თავი მოიყარეს ბრიდგოო ბრიჯში, მწვანე ბარდებში დაიმალნენ და მთელ კავშირს ახორციელებდნენ პორტარტიული რადიოსალაპარაკო აპარატებით.

იმ დროს, როცა რენიოლდსი სალაპარაკო პუნქტთან იყო და ახალ ამბებს ელოდებოდა, ჩარლი ვილსონი და სამხრეთ-დასავლეთის ბან- და ლონდონში იმ ნიშანს უტედიდნენ, რომლის მიღების შემდეგაც უნდა გამგზავრებულყვნენ პრიდგოო ბრიჯში. პირველი ცნობა გლაზ- გოდან ადასტურებდა, რომ მატარებელი გავი- და სადგურიდან. მეორე ცნობით კარლაისლი- დან დაზუსტდა (და ეს მეტისმეტად მნიშვნე- ლოვანი იყო), რომ საფოსტო ვაგონს ძალიან ცოტა ფული მოჰქონდა. არც ერთმა მძარც- ველმა არ იცოდა, რომ ფული დიდხანს ხარის- ხდებოდა, ვიდრე შოტლანდიის ბანკიდან გას- ცემდნენ. რენიოლდსმა გადაწყვიტა თავდასხ- მის მეორე დღისათვის გადადგმა. მან ამის თა-



ობაზე ტელეფონით აცნობა ლეზერსლეიდის ფერმასთან შორიასლოს მყოფ თანამონაწილეს და განკარგულება მისცა, რომ ეს აზრი ყველასათვის ეცნობებინა.

ესე იგი, კიდევ 24 საათი უნდა მოეცადათ. თავდამსხმელებმა ფერმაში მოიყარეს თავი და დროს ატარებდნენ კარტის თამაშითა და მზის აბაზანების მიღებით.

სამი რამ აწუხებდათ მძარცველებს. უწინარესად, სვამდნენ კითხვას, იქნებ ხვალ მოაბან გარემონტებული სპეციალური საფოსტო ვაგონი, რომელიც აღჭურვილია უსაფრთხოების სისტემით. შემდეგ მოულოდნელად გამოჩნდა ვინმე ბატონი უეიტტი, რომელსაც ანტერესებდა ფერმის ახალი მფლობელი შემდგომშიც მიაქირავებდა მას აგარაკს თუ არა. ამ გართულბულ ვითარებას რეინოლდსმა მოხერხებულად დააღწია თავი — განუცხადა, რომ ფერმის მფლობელისაგან შეიტყობდა მის გეგმებს და პასუხს მისცემდა კვირის დამლევის შემდეგ გართულება მაშინ შეიქმნა, როცა ფერმის მახლობლად ვიღაც სუბიექტი შენიშნეს, რომელიც ცდილობდა ახლოს მისულიყო საბარგო მანქანასთან. როცა მოგვიანებით გამოირკვა, რომ ეს იყო ბატონ უეიტტის ვაჟიშვილი, თავდამსხმელებმა გადაწყვიტეს აღარ გამოეყენებინათ ეს მანქანა, მიუხედავად იმისა, რომ მას ორმაგი ძარა ჰქონდა და რეინოლდსი სწორედ ამით აპირებდა ნადავლიდან თავისი წილის აგრეთვე ვილსონისა და ჰუდის ფულის გადატანას.

თანამონაწილე რკინიგზაელი

აღნიშნული ცვლილებების შემდეგ ნაძარცვის წასაღებად გთვალისწინებული იყო ორი „ლენდროვერი“, ერთი პატარა სატვირთო და ორი „იაგუარი“. კოლონას წინ მოტოციკლეტი უნდა გაძლოდა. 8 აგვისტოს ფერმაში არსებული მანქანების ნაწილი გაემართა ბრიდგო ბრიჯის მიმართულებით. ამჯერად რეინოლდსმა უკვე კარგი ცნობები მიიღო თემურტიდან კარლასლისაგან.

1 საათსა და 30 წუთზე კოლონა, რომელმაც გზაზე ერთ ავტომობილს გაასწრო, ადგილზე მივიდა და აქ მანქანები დააშორიშორეს. როგორც წინააღმდეგ, 2 საათსა და 30 წუთზე განგსტერებმა პოზიციები დაიკავეს. კორდრი მოაჯდა ველოსიპედს და გაემართა რკინიგზისაკენ, რათა სასიგნალო ნიშნები მოემზადებინა. თან გაიყოლა თანამონაწილე რკინიგზელი, რომელმაც კარგად იცოდა ეს ადგილმდებარეობა და იცნობდა მესრებებსაც. ნათელი

ღამე იყო და ჯიბის ფანრები არ დასკირვებიათ.

იმ დროს, როცა ორი მამაკაცი კაპუშონიან ლაბადებს იცვამდნენ საფოსტო ვაგონის კარებების გასატეხად განკუთვნილ წერაქვებსა და ძალაყინებს იმარჯვებდნენ, კორდრა და მისმა თანამზრახველმა დააყენეს სიგნალოზაციის მოწყობილობა და გადაჭრეს სატელეფონო ხაზი.

რელსები გუგუნებაზე

დალოდინება იყო საჭირო. თავდამსხმელები ნერვიულად აბოლებდნენ. სიფრთხილის მიზნით დამწვარი ასანთის ღერებსა და სიგარეტის ნამწვავებს მიწაზე არ ჰყრიდნენ. ჰუდი, ედვარდსი, ჰასეი, ვისბეი, ველჩი და კიდევ რამდენიმე ადამიანი განაწილდნენ რკინიგზისა და გზატკეცილის გადაკვეთასთან. რეინოლდსი, ბიგსი, უაიტი და დანარჩენი ბანდიტები ადგილიდან არ იძვროდნენ. კორდრი ველოსიპედით გაჰყვა რკინიგზის ზოლს და მალე უკან დაბრუნდა.

რელსებმა დაიგუგუნეს. მატარებელი ახლოვდებოდა. მესრის ჯიბურთან დაკავშირებული სადენები გადაჭრილია, ხოლო შექნიშნათა სიგნალები — შეცვლილი.

სწრაფი გაუჩინარება

როცა განგაშის სიგნალი მისცეს, განგსტერები უკვე ლეზერსლეიდის ფერმაში იყვნენ. მინდვრებით გარშემორტყმულ გორაკზე აგებული ფერმა შესანიშნავ სათვალთვალ პუნქტს წარმოადგენდა. აქედან თავდამსხმელებს შეეძლოთ რამდენიმე კოლომეტრის რადიუსით ეთვალთვალბინათ შემოგარენისათვის. აქედან უახლოეს გზამდე 800 მეტრი, ხოლო ბრიდგო ბრიჯამდე 30 კილომეტრზე მეტი იყო და თავს მშვიდად გრძნობდნენ.

განგსტერებს უაღრესად ზუსტად ჰქონდათ გამოთვლილი, რომ ფერმაში დაბრუნებას მოასწრებდნენ ვიდრე პოლიცია ყველა გზას გადაკეტავდა. სინამდვილეში განგაში იმდენად დაგვიანებით გამოცხადდა, რომ თავდამსხმელებს შეეძლოთ სრულიად უსაფრთხოდ გაეცლოთ ორჯერ მეტი გზა.

რეინოლდსის წინადადებით გადაწყდა თავიდანვე აქეთ-იქით გამგზავრებულიყვნენ კვირას, როცა დაბნეულობის პირველი წუთები გაივლიდა. მაგრამ ვითარებამ აიძულათ დაეჩქარებინათ გაქცევა და იგი დაეწყათ ნადავლის განაწილებისთანავე. ბატონ უეიტტის ვაჟიშვილის

მეორე გამოვლენილი ცნობისმოყვარეობა ყველას აწუხებდა.

თავდამსხმელები რამდენჯერმე გამოვიდნენ ფერმიდან და ნათესავენსა თუ მეგობრებს ტელეფონით თხოვდნენ სამგზავრო ჩემოდნებს.

საჭირო გახდა ხელახლა გაეანალიზებინათ ყველა მიღებული განკარგულება ბანდის გაფანტვის თაობაზე. ისინი, ვინც ამ „სამუშაოში“ იყვნენ ჩაბმული და ოპერაციამდე რამდენიმე დღით ადრე შეხვედრები ჰქონდათ პოლიციასთან, უეჭველია, მეთვალყურეობის ქვეშ იქნებოდნენ. რეინოლდსმა გადაწყვიტა, რომ მათ თვითონ უნდა ეზრუნათ საკუთარ თავზე, როგორც კი ფულს მიიღებდნენ.

ფერმის ელექტრომომარაგება უზრუნველყოფილი იყო დიზელის ძრავით, რომელიც ფარდულში იდგა. რადგან იგი ძალიან ხმაურობდა და შეიძლება ყურადღება მიექცია უღრო-ორროს მუშაობით, ფულს ითვლიდნენ სანთლებისა და ავტომობილის ბატარეაზე შეერთებული ბატარა ნათურის სინათლეზე.

თავიანთი წარმატება განგებდნენ ლუდის სუფთა რამდენიმე ყლუპით აღნიშნეს. ისე იყვნენ დაქანცულები, რომ აღარც სმისა და აღარც ჭამის თავი არ ჰქონდათ. ჩარლი ვილსონიც კი, ბანდის ეს მხიარული ჰაბუკი, დათრგუნული და დადაუძებელი იყო. გაახსენდათ, რომ ბიგსის დაბადების დღე იყო და როცა ნადავლი განაწილეს ყველამ თავისი წილიდან ხუმრობით ხუთი გირვანჯა სტერლინგის ბანკნოტი მიართვა იუბილარს.

თანამონაწილე რკინიგზელები სათითაოდ მოდიოდნენ ფერმაში, რათა მიეღოთ „ღვეზელის“ მათთვის განკუთვნილი ნაწილი. 8 აგვისტოს დილით ნადავლის განაწილება დაამთავრეს და გაქცევა დაიწყეს.

როი ჯემსი პირველი წავიდა ჯერ კიდევ ღამით. რეინოლდსი, ჰუდი და ედვარდსიც ძალიან ადრე გავიდნენ, რადგან იმ დილით ისინი ლონდონის გარეუბანში ნახეს. მეთაურებმა თავიანთი „არმია“ ბედის ანაბარა როდი მიტოვეს — მანქანებით დაბრუნდნენ, რათა ბანდის სხვა წევრებიც წაეყვანათ ნადავლითურთ.

მთავარი შეცდომა

ფერმაში დარჩენილები რამე ცნობის მიღების მოლოდინში მთელი ხუთშაბათის მანძილზე ნერვიულად დაეხეტებოდნენ წინ და უკან. იმდენად იყვნენ შეშფოთებულები, რომ ფერმაში მათი ყოფნის კვლის წაშლის მეტს

არაფერს აკეთებდნენ: ბაღში დანთებულ კოცონების ნაცარს გულდაგულ ფლავდნენ მიწაში. შვებით ამოისუნთქეს, როცა შეიტყეს, რომ თითქოსდა ჰუდმა იზრუნა, რომ მათი წისვლის შემდეგ ვიღაც მოვიდოდა ფერმაში და ყველაფერს მოაწყისრიებდა. მაშინ მათ თითების ანბეჭდებზე ფიქრს თავი ანებეს და კუთხეში მიყრილ საფოსტო ჩანთებით დაინტერესდნენ. ნაბრძანები იყო, რათა არ დაეტოვებინათ თითების ანბეჭდები, რისთვისაც ყველას ხელთათმანებით უნდა ემუშავათ, მაგრამ მხოლოდ ჰუდი იცავდა ამ წესს სკრუპულოზურად.

ასეა თუ ისე, დაღლილობა, მოწყენილობა და მოუთმენლობა გახდა მიზეზი მრავალი დაუდევრობისა, რაც აბსოლუტურად მიუტყვევბელია ასეთი მალალი კვლითიკაციის მქონე პროფესიონალებისათვის.

როცა მეორე დღეს, 9 აგვისტოს, პარასკევს განგებდნენ ფერმა მიატოვეს, აქ ისეთი კვალი დატოვეს, რაც სრულიად საკმარისი იყო ნივთიერი მტკიცებულებისათვის. თავდამსხმელებს ამ საფრთხეზე არ უფიქრიათ, რადგან იცოდნენ, რომ ვიღაც უნდა მისულიყო ფერმაში და ყოველგვარი კვალი გაენადგურებინა. მართლაც, ის, ვისაც ეს უნდა გაეკეთებინა, კვირას დაუკავშირდა რეინოლდს და დაარწმუნა, რომ ყველაფერი გააკეთა, რაც საჭირო იყო. ყოველი შემთხვევისათვის, რეინოლდსმა გადამოწყობისათვის ადგილზე გააგზავნა თავისი ახლობელი, რომელმაც ფერმის მახლობელ ბაღში ბევრი ისეთი რამ დაინახა, რაც აუცილებლად უნდა გაეტანათ. ყოველივე ეს რეინოლდს ოთხშაბათ დილით აცნობა. მან სასწრაფოდ გამოიძახა ვილსონი და დანაშაულის სხვა თანამონაწილე, რათა გაერკვიათ თუ ვინ გაეგზავნათ ფერმაში. ყველა ღონე უნდა ეხმარათ, რომ გაენადგურებინათ ნებისმიერი კვალი, რაც კი რამ დადასტურებდა მათს ფერმაში ყოფნას. მათ კიდევ ჰქონდათ იმის იმედი, რომ ფერმაში ადრე გაგზავნილი კაცი, ბოლოსდაბოლოს სახლში მინც გაენადგურებდა ყველა კვალს და მხოლოდ ბაღში არსებულ შეფუთულ მისაღებზე ვერ ახლებდა ხელს იმის შიშით, რომ ვინმეს ყურადღება არ მიექცია. ახლა საჭირო იყო ფერმის მთლიანად გადაწვა, რათა ყველაფერი წესრიგში ყოფილიყო. ვიდრე ისინი იმ პრობლემას წყვეტდნენ თუ მათ შორის ვისთვის უნდა დაევალებინათ ამ მისიის შესრულება, ოთხშაბათი უაღრესად შემოვარდა და თქვა, რომ ბეკინჰემის საგრაფოს პოლიციის ტალღაზე ჩაერ-

თით რადიომიმღები. აღშფოთებული ხმა იტყობინებოდა ლეზერსლეიდის ფერმის აღმოჩენას.

მთელი საბრაზო საბრძოლო განგაზის ვითარებაში

როგორც კი მიიღეს ცნობა ჩადენილი ძარცვის თაობაზე, სადგურ ესტონიდან დარეკეს უშუალოდ სკოტლანდ-იარღში. 4 საათი და 24 წუთი იყო. სკოტლანდ-იარღმა კავშირი დაამყარა ეილსბერში ბეკინჰემის საგრაფოს პოლი-

ციასთან, რომელმაც დაუყოვნებლივ გააფრთხილა საგრაფოს საგამოძიებო პოლიციის უფროსი კომისარი მალოლმ ფიურტრელი.

როცა მზე ამოიწვერა, რაიონში განგაზი ატყდა და ყველა პოლიციელი ფეხზე დადგა: ისინიც, ვისაც ეძინათ და ისინიც, ვინც საპატრულო მანქანებში იმყოფებოდნენ. ამგვარი სიტუაციებისათვის ჰქონდათ მოქმედების საგანგებო გეგმა, რომლის მიხედვითაც თითოეულმა პოლიციელმა იცოდა თავისი გარკვეული ამოცანა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).



იგავი

ტყეური კანონი

ერთი მეტისმეტად უღრანი ტყის მეფე-ლომი, იგრძნო თუ არა, რომ ტახტი შეერყა და ტყის ბინადრებმა მალულად თუ აშკარად მისი გინება დაიწყეს, ღრმად ჩაფიქრდა და შემდეგ ასეთი ტყეური კანონი გამოცხადა:

„ის ვინც ჩემს სამფლობელოში ბალახს მოძოვს ან ნანადირევს მოიპოვებს და შეჭამს ან წყალს დაღევს — ისჯება ათიდან თხუთმეტ წლამდე ბნელ ორმოში ჩამწყვდევით ან ისჯება ჩამოხრჩობით“.

გაოგნებულმა ვეზირმა შეაპარა: — ასე ხომ ყველა ერთიანად დაიხოცებიანო.

მეფე-ლომმა ჩაიციინა და ვეზირი დაამშვიდა: — არ დაიხოცებიან, პირიქით, მალულად უფრო მეტს მოძოვენ, შეჭამენ და დაღევენ კიდევ, ჩვენ კი ისე მოვიქცევით, ვითომ ვერაფერს ვამჩნევთ, ხოლო იმათ, ვინც სამეფო ტახტსა და ჩემს ხელისუფლებას ხელყოფს, როცა მომეპრიანება, ამ კანონის მიხედვით დავიჭერ და დავსჯო.

ვეზირი მიუხვდა ჩანაფიქრს და თავი მდაბლად დაუკრა ბრძენ მეფე-ლომს.

ველა ვერული.

მკითხველთა საყურადღებოდ!

1989 წლის აპრილიდან შურნალი „საბჭოთა სამართალი“ გამოვა უოველთვიურად, ამიტომ მიმდინარე ველს მკითხველები მიიღებენ მის 10 ნომერს. ამ სიახლესთან დაკავშირებით საჭირო გახდა ხელმომწერებმა, ვისაც იგი 1989 წლისათვის აქვს გამოწერილი, დამატებით გადაიხადონ ოთხი ნომრის ღირებულება.

შურნალის ერთი ნომერი ღირს 60 კაპ. ოთხი ნომრის გადასახდელი თანხა შეადგენს 2 მან. 40 კაპ. ხელმომწერებმა ეს თანხა დაუყოვნებლივ უნდა გადაიხადონ „სოიუზპეჩატის“ განყოფილებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში სეპტემბრიდან შურნალის მიღება შეზღუდვებით.

«САБЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»), № 4, 1989 (на грузинском языке), Ежемесячный научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Министерства внутренних дел ГССР, Прокуратуры ГССР, Верховного Суда ГССР.

Адрес редакции: Тбилиси, пр. Давида Агмашенебели, 103, тел.: 95-88-49; 95-58-87.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

6 75/106



ქართული
ბიბლიოთეკა

ფასი 60 კპ

ინდექსი 76185